

1239  
2001

ISSN 1512-0880



# საქართველოს ბიბლიოთეკა

№2(3), 2001

ნოდარ ამალლობელი  
შოთა აფაქიძე  
ლევან ბერძენიშვილი  
თამაზ გამყრელიძე  
სესილი გოგიბერიძე  
მალხაზ ზაალიშვილი  
დავით თარხან-მოურავი  
ნანა კანდელაკი  
ალექსანდრე კარტოზია  
თეიმურაზ კომახიძე

ლია ნადარეიშვილი  
თემურ ჟღენტი  
ვახტანგ სართანია  
აკაკი სიხარულიძე  
ბაკურ სულაკაური  
ირაკლი ლარიბაშვილი  
რევაზ ლლონტი  
თეიმურაზ ჩხენკელი  
გულნარა წიკლაური  
ირინა ჭანტურიშვილი

### ჟურნალის რედაქცია:

ალექსანდრე ლორია – მთავარი რედაქტორი  
გურამ თაყნიაშვილი – პასუხისმგებელი მდივანი, მთავარი რედაქტორის მოადგილე  
მზია რაზმაძე – კომერციული დირექტორი  
გულნარა სტურუა – სამეცნიერო-მეთოდური და კორექსონდენტებთან მუშაობის  
რედაქტორ-კოორდინატორი  
ნანა ქავთარაძე – საქმის მწარმოებელი და კორექტორი

ინდსაწარმო “ალი”

**გამომცემლები:** საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

### რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007; გუდიაშვილის ქ. 7  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა  
ტელ.: 93-26-82

**„საქართველოს ბიბლიოთეკა“**

2 (3), 2001

**შინაარსი**

სასკოლო ბიბლიოთეკაროგორც ინფორმაციული, სასწავლო და კულტურული ცენტრი.....3

**ოფიციალური განცოფილება**

სასკოლო ბიბლიოთეკების მანიფესტი.....5  
საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების გამიური ღებულება.....7

**ჩვენი ბიბლიოთეკები:**

**მათი მდგომარეობა საუკუნის დასაწყისში**

ელენე ქეციბიშვილი—  
სიღნაღის კულტურისა და მწიგნობრობის კერა.....10  
ლუბა ბუკაძე-კიშვილი—  
დაღება დრო აღმავლობისა.....12  
ინგა არგუგინსკაია—  
ჩვენ 35 წლისანი ვართ.....13  
მზევინარ ბურძინიშვილი—  
იუბილარი ბიბლიოთეკა.....16

**წიგნი, კითხვა, ბიბლიოთეკა**

რემოსურგულაძე—  
წიგნის კომუნიკაციური ბუნება: წერილი 1;  
წიგნი როგორც საგანი.....19  
ნანა კანდელაკი—  
წიგნს— ჩვენი სიყვარული.....24

**ისტორიის ფურცლებიდან**

ალექსანდრე ლორია, ნინელი მეღუაძე—  
პირველი ქართველი საბიბლიოთეკო საქმის მოღვაწე.....26

**სპეციალისტი მსჯელობს, გვთავაზობს**

თენგიზ ჩხიჭუაძე—  
სტუდენტი, წიგნი, ბიბლიოთეკა.....30

**მეთოდური სამსახური: სპეციალისტი გვიჩვენებს**

გუგული ვინჯარაძე—  
ფონდების ორგანიზაცია ბავშვთა  
შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში.....32

**მეთოდური სამსახური:  
გზა მოღერნიზაციისაკენ**

თეა იოსავა—  
საბიბლიოთეკო მარკეტინგი.....33

**გვესაუბრება პროფესიონალი**

გულნარასკურუა—  
წიგნის აღრესატი— ბიბლიოთეკა.....36  
ირინე უფრემიძე—  
ბიბლიოგრაფიული მუშაობა ჩემი საყვარელი საქმეა.....37

**გვიზიარებენ გამოცდილებას**

გოგი გარდაფხაძე—  
ქართული სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წლისთავი:  
(ღირსშესანიშნავი ღონისძიება).....38

**ბავშვ მკითხველებს**

ნაგომეკლიშვილი—  
წიგნი და მკითხველი.....39  
ალექსანდრე ლორია—  
ვიკითხოთ ერთად.....41  
ოლეგ გველესიანი (ლექსები)—  
მარმაცი გელა.....42  
დედა ენა.....42  
ზუმრუდ გოლერბიშვილი (ლექსები)—  
ქართულ წიგნს.....42  
მრავალკამიერი.....42

**ამბები უცხოეთიდან**

ირინა ლორია—  
„შექსპირი და კომპანია“.....43

**უცხოელის თვალთ**

ინგო კოლასა—  
საქართველო, დავიწყებული ქვეყანა?.....45

**კონსულტაცია**

ნანა ქავთარაძე—  
ბიბლიოთეკა და რელიგიური ნეიგრალიგეტი.....47

**საერთაშორისო ფონდები საქართველოში**

გურამ თაყნიაშვილი—  
ჯორჯ სოროსი და მისი ფონდი საქართველოში.....49

**ინფორმაცია**

ირაკლი ღარიბაშვილი—  
საქმიანი შეხვედრები.....51  
გურამ თაყნიაშვილი—  
მე-8 საერთაშორისო კონფერენცია: „ყირიმი 2001“.....52

**პროფესია და პროფესიონალები**

მზია გოგონიძე—  
უებრო პიროვნება და პროფესიონალი.....54

**ბავშვთა უფლებები**

საინგერესო კრებული—  
ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა.....56

**ქრონიკა**

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა:  
მოვლენები, ფაქტები.....57

**ჩვენი შემოქმედება**

სასიამოვნოდ მოულოდნელი.....59  
დავით გიგინეიშვილი—  
რევიუ: კინო და მუსიკა.....61

წინა ნომერში გამოქვეყნებული  
ანდაზვორდის პასუხები.....63  
სასიამოვნოდ შეხვედრა.....64  
კონწარას გამოფენა.....64

**Содержание:**

Школьная библиотека как информационный,  
учебный и культурный центр.....3

**Официальный раздел**

Манифест школьных библиотек.....5  
Типовое положение школьных библиотек Грузии.....7

**Наши библиотеки:**

*их состояние в начале века*

Элене Кевхишвили—  
Очаг культуры и литературы в Сигнахи.....10  
Люба Зуакишили—  
настанет время возрождения.....12  
Инга Аргутинская—  
Нам 35 лет.....13  
Мзевинар Бердзенишвили—  
Библиотека-юбиляр.....16

**Книга, чтение, библиотека**

Резо Сургуладзе—  
Коммуникационная природа книги;  
Письмо 1; книга как предмет.....19  
Нана Канделаки—  
Книге—наша любовь.....24

**Страницы истории**

Александр Лория, Нинели Мелкадзе—  
Первый грузинский деятель библиотечного дела...26

**Специалист рассуждает, предлагает**

Тенгиз Чхитунидзе—  
Студент, книга, библиотека.....30

**Методическая служба:**

*специалист советует*

Гугули Джинчарадзе—  
Организация фондов библиотек,  
работающих с детьми.....32

**Методическая служба: путь к  
модернизации**

Теа Иосава—  
Библиотечный маркетинг.....33

**Беседует профессионал**

Гульнара Стураа—  
Адресат книги- библиотека.....36  
Ирине Эпремидзе—  
Мое любимое дело—библиографическая работа.....37

Гоги Гардапхадзе—  
Три тысячелетие грузинской государственности  
(знаменательное мероприятие).....38

**Читателям-детям**

Нато Мchedlishvili—  
книга и читатель.....39  
Александр Лория—  
Прочитаем вместе.....41  
Олег Гвелесиани (стихи)—  
Ленивый Гела.....42  
Родная речь.....42  
Зумруд Годердзишвили (стихи)—  
Мравалжамьер.....42  
Грузинской книге.....42

**Вести из-за рубежа**

Ирина Лория—  
„Шекспир и компания,“.....43

**Глазами иностранца**

Инго Коласа—  
Грузия, забытая страна?.....45

**Консультация**

Нана Кавтарадзе—  
Библиотека и религиозный нейтралитет.....47

**Международные фонды в Грузии**

Гурам Такниашвили—  
Джордж Сорос и его фонд в Грузии.....49

**Информация**

Иракли Гарибашвили—  
Деловые встречи.....51  
Гурам Такниашвили—  
8-ая международная конференция «Крым 2001».....52

**Профессия и профессионалы**

Мзия Тогонидзе—  
Безупречная личность и профессионал.....54

**Права детей**

Интересный сборник—  
библиографическое обозрение.....56

**Хроника**

Хроника библиотечной жизни Грузии:  
события, факты.....57

**Наше творчество**

Приятная  
неожиданность.....59  
Давит Гигинеишвили—  
Ревю: кино и музыка.....61  
Ответы на кроссворд,  
опубликованный в предыдущем номере.....63  
Приятная встреча.....64  
Выставка Концары.....64

## სასკოლო ბიბლიოთეკა როგორც ინფორმაციული, სასწავლო და კულტურული ცენტრი

XX საუკუნის მიწურულისათვის მსოფლიოში საბიბლიოთეკო საქმის სრული გარდაქმნა მოხდა: მთლიანად შეიცვალა წარმოდგენა ბიბლიოთეკაზე, გაფართოვდა მისი ფუნქციები, დაინშნულა და ამოცანები, შეიქმნა ახალი კონცეფცია; ბიბლიოთეკები მანამდე უცნობი მეთოდოლოგიითა და გექნოლოგიებით აღიჭურვა; იუნესკომ თავის დეკლარაციაში პირდაპირ განაცხადა, რომ ამჟამად ყველა მასობრივი ბიბლიოთეკა ინფორმაციის ცენტრს წარმოადგენს, აღიარებულია, რომ ბიბლიოთეკის საქმიანობის უმთავრეს ხარისხობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს ის, თუ როგორაა აქ დაყენებული ინფორმაციული უზრუნველყოფის საქმე. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას სასკოლო ბიბლიოთეკების სრული რეორგანიზაცია, სასკოლო ბიბლიოთეკის ახალი კონცეფციის შექმნა.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ეს უკვე მიღწეულია. საჭიროა მათი გამოცდილების გაზიარება და ადგილობრივ ნიადაგზე მისი დანერგვა. ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი სკოლის, ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თავისებურებანი, არსებული გრადიციები.

ჩვენი სასკოლო ბიბლიოთეკების გადამჭრელი უმრავლესობა უბადრუკ მდგომარეობაშია – იქნება ეს ეკონომიური, მაგერიალურ-გექნიკური თუ მეთოდიკური თვალსაზრისით. არავითარი ყურადღება ხელმძღვანელი ორგანოებისაგან მათ არ ექცევათ. არც ადგილებზე აქვთ რაიმე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. ბევრ სკოლაში ორგანიზაციული გარდაქმნები ბიბლიოთეკარის შტაგის შემცირებით დაიწვეს, ზოგან სულაც გააუქმეს ბიბლიოთეკა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების მსოფლიოში არსებობდა საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ სასწავლებელი ბიბლიოთეკის გარეშე – ეს დედამიწაა მზის გარეშე. როცა რომელიმე სასწავლებელს აარსებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოთეკას შექმნიდნენ. იყო შემთხვევები, თვით ბიბლიოთეკები იქცეოდნენ სასწავლებლებად. რამდენად პარადოქსულია, რომ დღეს ჩვენ ამის შესწინება გვჭირდება.

სამწუხაროდ, ამჟამად კვლავ ძალაშია ის სამოგადოებრივი აზრი, რომ ბიბლიოთეკა სკოლაში ერთგვარი დანამატია და არა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განუყოფელი ორგანული ნაწილი. ეს მომენტი მუსკად იქნა გათვალისწინებული „საქართველოს საბიბლიოთეკო კა-

ნონში“ და ამიგომაც ჩაიწერა შიგ ნათლად და მკაფიოდ: „სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი“. ეს დაფიქსირებულია აგრეთვე „საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების გიპიურ დებულებაშიც“. ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯია. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1997 წელს განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული ბრძანებები სასკოლო ბიბლიოთეკების ფონდების საქმის მოწესრიგებისათვის. ამ მიმართულებით მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ყოველივე ეს ვერ უზრუნველყოფს საქმის სწრაფ გარდაქმნას. ამას ხელს უშლის ის, რომ სასკოლო ბიბლიოთეკებს არ გააჩნია გარდაქმნის არც სტრატეგია და არც გაქტიკა, არ არის ჩამოყალიბებული მათი ფუნქციონირების პრინციპები, განვითარების გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი პროგრამები. ყოველივე ამის გაკეთება ურთულეს საქმეს წარმოადგენს და სახელმწიფოებრივ დონეზე თუ არ იქნა აყვანილი, კერძო პირთა თუ ჯგუფების ინიციატივა ვერ გამოიღებს საჭირო ნაყოფს.

ყველაზე რთულია ბიბლიოთეკის საქმიანობის ორგანულად შერწყმა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან. ამისათვის ჩვენი არც ბიბლიოთეკარები არიან მზად და არც პედაგოგები. ბიბლიოთეკარებისათვის (ცხადია, პროფესიონალებისათვის) შედარებით იოლად წარმოსადგენია ეს, მაგრამ პედაგოგებისათვის ამგვარი რამ სავსებით უცხოა და, რაც მთავარია, ამ საქმეს არავითარი თეორიული და მეთოდიკური ბაზა არ გააჩნია. ამის გარეშე კი პრაქტიკულად საქმის დაძვრა შეუძლებელია. ამიგომაც საჭიროა, პედაგოგიკურ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო პროცესში ბიბლიოთეკის გამოყენების საკითხი, მოხდეს ამ მიმართულებით ექსპერიმენტების დაყენება და კვლევა, რეკომენდაციების შემუშავება. ამ ასპექტით უდავოდ მოსაგვარებელია პედაგოგიური და ბიბლიოთეკათმცოდნეობითი მოღვაწეობის ინტეგრირების საქმე.

დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში პედაგოგები და ბიბლიოთეკარები ინტენსიურად მუშაობენ იმაზე, რომ როგორმე სწავლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ წიგნს, ელექტრონულ ვიზუალურ საშუალებებს, აუდიოტექნიკის გამოყენებას, რაც ძირითადად სწორედ სასკოლო ბიბლიოთეკებშია თავმოყრილი. ამიგომაც გაისმის მოწოდებები – „სწავლების დიდი ნაწილი სასკო-

ლო ოთახებიდან ბიბლიოთეკებში გადავიტანოთ”. ცხადია, ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკა არ წარმოიდგინება ისეთად, როგორც ჩვენში. ბიბლიოთეკა იქ წარმოადგენს მედია-ცენტრს (ასევე უწოდებენ მას), რომელსაც ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის ყოველგვარი საშუალება გააჩნია – ელექტრონული კატალოგები, კომპიუტერები, ინტერნეტის სისტემა, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები და სხვ. ცხადია, ყველა სკოლაში არ არის ასე, მაგრამ ეს ის ეტალონია, რომლისკენაც ყველა სკოლა მიისწრაფვის და ადრე თუ გვიან მიაღწევს კიდეც. თუ კონკრეტულად არ გამოვხატეთ ჩვენი მიზნები, არ განვსაზღვრეთ, რას უნდა მივალწიოთ, არ დავისახეთ სამომავლო გეგმა, თუ არ ვიცით, რა უნდა იყოს საბოლოო შედეგი, ყოველგვარ გარდაქმნაზე ლაპარაკი ბედმეგია. მაგრამ ამის გაკეთება წარმოუდგენელია არსებული პირობების, მდგომარეობისა და სიტუაციის გარკვევისა და ანალიზის გარეშე, მათი გამომწვევი მიზეზების დაუდგენლად. მიზეზ-შედეგობრივი არსის გაურკვეველად შეუძლებელია პრობლემების დანახვა, ხოლო პრობლემების ჩამოყალიბებლად ვერ შედგება მომავლის რაციონალური გეგმა და პროგრამები, ვერ მოხერხდება მოქმედების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა.

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გარდაქმნა მათი განვითარების მიზნით, სასკოლო ბიბლიოთეკების ფუნქციების მკვეთრ ცვლილებებს მოითხოვს. რა ევალება დღეს სასკოლო ბიბლიოთეკას? უკვე საყოველთაოდაა აღიარებული ეს ფუნქციები, რაც ბიბლიოთეკის დანიშნულებისა და ძირითადი ამოცანებისაგან გამომდინარეობს. ჩვენთვის მთავარი სიახლე მაინც ისაა, რომ ბიბლიოთეკა შეერწყას სასწავლო პროცესს. ეს რომ მოხდეს, მას უნდა დაეკისროს შემდეგი ფუნქციები:

1. შესაგყვისი სასწავლო ლიტერატურის მოპოვება და დაცვა;
2. საძიებო საშუალებების წარმოება და სრულყოფილად გამოყენება;
3. ფართო მასშტაბით ინფორმაციის შეკრება და სასწავლო პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა;
4. სასწავლო-სამუშაო კითხვისათვის ხელშეწყობა;
5. კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია;
6. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება;
7. კითხვის კულტურისა და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვა;

8. მომხმარებელთა მაღალკულტურული მომსახურება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით.

ყველა ეს ფუნქცია კომპლექსურად მოქმედებს და ხელს უწყობს ძირითადი მიზნის განხორციელებას – მოსწავლეებმა მიიღონ მათთვის საჭირო ცოდნის მაქსიმუმი და მაღალმოქალაქეობრივი მორალისა და მწიგნობის მქონე პიროვნებებად აღიზარდონ.

ამისათვის შესაგყვისი პირობების შექმნა საჭირო. უპირველეს ყოვლისა, პედაგოგიურ სისტემაში უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეული მიმართულება, რომელიც ამ საქმის განხორციელებაზე იზრუნებს და ეცდება შესაგყვისი თეორიული და პრაქტიკული ბაზა იქონიოს. ეს განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელმძღვანელობის ნება იქნება გამოვლენილი. მეორე მხრივ, დიდი მუშაობა მართებთ სასკოლო საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტებს, განსაკუთრებით მეთოდიკურ სამსახურს, რათა უზრუნველყონ ბიბლიოთეკართა პროფესიული დაოსტატება.

ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უნდა დაიგეგმოს ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარების ღონისძიებები, შეიქმნას სპეციალური პროგრამები, მომზადდეს ახალი კადრები ბავშვთა კითხვის მართვის სპეციალიზაციით. ყველა რეზერვი უნდა ამოქმედდეს იმისათვის, რომ გზა გაეხსნას საქართველოში სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკების გარდაქმნის, განვითარებისა და კოორდინაციის პროცესს.

ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ყველა სპეციალისტს მოვუხმობთ, ფართოდ გაშალონ საქმიანობა მდგომარეობის რადიკალურად და სწრაფად გაუმჯობესებისათვის, როგორც თეორიული, ისე მეთოდიკური და პრაქტიკული თვალსაზრისით.

რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს სასკოლო ბიბლიოთეკების პრობლემებს; უპირველეს ყოვლისა, დასაზუსტებელია საქართველოში სასკოლო ბიბლიოთეკების რაოდენობა რეგიონების მიხედვით; მეორე და უფრო მწვავე პრობლემათაგანია სასკოლო ბიბლიოთეკების ფონდების შევსება ახლადგამოცემული ლიტერატურით. თუ ასე გაგრძელდა სასკოლო ბიბლიოთეკების დაკომპლექტების მდგომარეობა, ამ ბიბლიოთეკებში დარჩება მხოლოდ მხაგვრული და მოძველებული მეთოდური ლიტერატურა.

### სასკოლო ბიბლიოთეკების მანიფესტი

უკვე რამდენიმე წელია საბიბლიოთეკო სამყაროში მოქმედებს იუნესკოს „მანიფესტი საჯარო ბიბლიოთეკის შესახებ“. ეს მანიფესტი თარგმნილია მსოფლიოს 20 ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზედაც გამოქვეყნებულია ცალკე ბროშურის სახით 1995 წელს. იგივე მანიფესტი გამოაქვეყნა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკამ“ (№1(2) 2001). საერთაშორისო თანასაზოგადოებრიობათა 66-ე გენერალურმა კონფერენციამ იერუსალიმში 2000 წელს მიიღო „სასკოლო ბიბლიოთეკების მანიფესტი“. ეს მანიფესტი თავის მხრივ აჭყებს პირველ მანიფესტს საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ და უთუოდ დაინტერესებს ჩვენი ჟურნალის მკითხველებს.

The school library in teaching and learning for all

The School Library Manifesto

სასკოლო ბიბლიოთეკა გაცემს ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოებისათვის, სადაც ცოდნა თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს. სასკოლო ბიბლიოთეკა აწვდის მოსწავლეებს წარმოსახვის უნარს, მუდმივი თვითგანვითარების მოთხოვნილებებს, ზრდის მათში მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.

სასკოლო ბიბლიოთეკა სკოლის დირექციას წარუდგენს სასწავლო პროგრამებს, წიგნებსა და სხვა სახის საინფორმაციო რესურსებს, რითაც მომხმარებელში აწვდის კრიტიკულ აზროვნებას და ინფორმაციის ყველა სახის ეფექტურად გამოყენების უნარს.

„საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ“ იუნესკოს მანი-

ფესტში ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად, სასკოლო ბიბლიოთეკა წარმოადგენს საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემების ორგანულ ნაწილს. სასკოლო ბიბლიოთეკების თანამშრომლები მომხმარებლებს უზრუნველყოფენ წიგნებითა და საინფორმაციო წყაროების სხვა ფორმებით – მხატვრული და დოკუმენტური, ბეჭდური, ელექტრონული, ლოკალური და შორეული საინფორმაციო საშუალებებით. ეს მასალები შეიცავენ დამატებით მონაცემებს, რომლებიც აფართოებენ სახელმძღვანელოებსა და მეთოდურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულ ცოდნას.

დადასტურებულია, რომ ბიბლიოთეკარებისა და პედაგოგების ურთიერთანამშრომლობა ამაღლებს მოსწავლეთა განათლების დონეს, უყალიბებს მათ კითხვის ჩვევებს, დამახსოვრების, ამოცანების გადაჭრის, აგრეთვე საინფორმაციო – კომუნიკაციური გექნოლოგიების გამოყენების უნარსა და შესაძლებლობებს.

სასკოლო ბიბლიოთეკების რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის: მოსწავლეთათვის, სკოლის პერსონალისათვის, ასაკის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, რელიგიური მრწამსის, ენის, პროფესიული და სოციალური სტატუსის მიუხედავად. სპეციალური მომსახურებით სარგებლობენ ისინი, ვისაც არ შეუძლია ისარგებლოს ძირითადი მომსახურებითა და მასალებით.

მომსახურების სხვადასხვა ფორმებთან და ფონდებთან მკითხველთა ხელმისაწვდომობა დაფუძნებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების საერთაშორისო დეკლარაციის პრინციპებზე და არ უნდა ხდებოდეს მისი შეზღუდვა იდეოლოგიის რაიმე ფორმით, პოლიტიკური თუ რელიგიური ცენზურით, კომერციული თვალსაზრისით.

### საკანონმდებლო ბაზა. დაფინანსება და საბიბლიოთეკო – საინფორმაციო სისტემები

სასკოლო ბიბლიოთეკა არის ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანი, რომლის მოქმედება მიმართულია განათლებისა და საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ. სასკოლო ბიბლიოთეკა იმყოფება ადგილობრივ,

რეგიონალურ და სახელმწიფო ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში. მისი ფუნქციონირების პრინციპები განისაზღვრება სპეციალური საკანონმდებლო აქტებითა და პოლიტიკური პროგრამებით. სასკოლო ბიბლიოთეკას უნდა გააჩნდეს სტაბილური და საკმარისი რაოდენობის დაფინანსება, რომელიც საშუალებას მისცემს მას იყოლიოს კვალიფიციური თანამშრომლები, შეიძინოს აუცილებელი მასალები, ტექნიკა და მოწყობილობა. სასკოლო ბიბლიოთეკებში მომსახურება უფასოა.

სასკოლო ბიბლიოთეკა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პარტნიორს ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემაში. იქ, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკა ერთობლივად სარგებლობს სხვა ტიპის, მაგალითად მასობრივი (საჯარო) ბიბლიოთეკის ფართობით, რესურსებითა და მოწყობილობებით, სასკოლო ბიბლიოთეკის უნიკალური მისია და ამოცანა გაცნობიერებული და დაცული უნდა იქნეს.

### სასკოლო ბიბლიოთეკის ამოცანები

სასკოლო ბიბლიოთეკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელ ნაწილს.

მოწოდებულია რა ხელი შეუწყოს განათლების, საინფორმაციო საქმიანობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სწავლებისა და თვითგანვითარების, აგრეთვე კულტურის გაცნობისა და დაცვის ამოცანებს, სასკოლო ბიბლიოთეკა მოწოდებულია შეასრულოს შემდეგი ამოცანები:

1. ხელი შეუწყოს სკოლის წინაშე არსებული ამოცანების გადაჭრას, რომელიც ჩამოყალიბებულია სკოლის კონცეფციასა და სასკოლო პროგრამაში;
2. განავითაროს ბავშვებში კითხვისა და სწავლის უნარ-ჩვევები, აგრეთვე ბიბლიოთეკით სარგებლობის მოთხოვნილება მთელი ცხოვრების მანძილზე;
3. მისცეს მოსწავლეებს ინფორმაციის შექმნისა და გამოყენების საშუალება როგორც ცოდნის მიღების, გაგებისა და წარმოსახვის, ასევე მათი ცნობისმოყვარეობის და კმაყოფილების მიზნით;
4. ხელი შეუწყოს მოსწავლეებს ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებასა და გამოყენებაში, მიუხედავად ინფორმაციის საშუალებებისა და სახეებისა; ყოველმხრივ წაახალისოს მოსწავლეები ინფორმაციის საშუალებებით მიღებული მონაცემების პრაქტიკაში გამოყენებისათვის, ამასთან მთავარი ყურადღება მიექცეს კომუნიკაციის საშუალებებს საზოგადოების შიგნით;
5. უზრუნველყოს ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო რესურსებთან ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გამოიყენოს ყველა საშუალება, რომლებიც მოსწავლეებს გააძლიერებს სხვადასხვა იდეებს, მოსაზრებებსა და გამოცდილებას;
6. ორგანიზება გაუკეთოს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურულ და

სოციალურ თვითშეგნებას, იმოქმედებს მათ ემოციურ განვითარებაზე;

7. სკოლის წინაშე არსებული ამოცანების რეალიზაციის მიზნით თანაბრად იმუშაოს როგორც მოსწავლეებთან, ასევე პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან და მშობლებთან;
8. ყოველმხრივ დაიცავს იდეა და ამრიგად იმის შესახებ, რომ ინფორმაციასთან საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ინტელექტუალური თავისუფლება წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული აქტიური სამოქალაქო პოზიციის აღზრდისათვის;
9. პროპაგანდა გაუწიოს კითხვას, აგრეთვე სკოლის ბიბლიოთეკის რესურსებსა და სამსახურს როგორც სკოლის პირობებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ამ ამოცანების შესრულების მიზნით სასკოლო ბიბლიოთეკა გამოიმუშავებს საკუთარ პოლიტიკას, აფართოებს მომსახურებას, იძენს აუცილებელ რესურსებს, უზრუნველყოფს ინფორმაციის წყაროებთან ფიზიკურ და ინტელექტუალურ ხელმისაწვდომობას; მკითხველებს სთავაზობს კონსულტაციებს და სხვა სახის მომსახურებას; ამ მიზნით სამსახურში ღებულობს პროფესიულად განსწავლულ სპეციალისტებს.

### პერსონალი

სკოლის ბიბლიოთეკის გამგე არის სკოლის კოლექტივის პროფესიულად მომზადებული წევრი, რომელიც პასუხს აგებს სასკოლო ბიბლიოთეკის დაგეგმვასა და მუშაობაზე; გამგე აყალიბებს ბიბლიოთეკის შტაბს არსებული შესაძლებლობების ფარგლებში; მუშაობს რა სასკოლო კოლექტივის ყველა წევრთან, იგი სისტემატურ და საქმიან კავშირს ამყარებს სხვა ტიპის ბიბლიოთეკებთან და დაწესებულებებთან.

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა აგებულია სკოლის ფინანსურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, საკუთარი სასკოლო პროგრამებისა და სასწავლო მეთოდების ბაზაზე და სრულდება სახელმწიფო სამართლებრივი და ფინანსური სისტემის ფარგლებში. სკოლის ბიბლიოთეკის პირობებში არსებული მუშაობისა და ფორმების მრავალფეროვნების მიუხედავად, არსებობს ცოდნის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც უნდა იცოდეს თითოეულმა ბიბლიოთეკარმა, რათა ეფექტურად წარმართოს ბიბლიოთეკის საქმე – ეს არის საინფორმაციო რესურსების, საბიბლიოთეკო საქმის, საინფორმაციო პოლიტიკისა და საინფორმაციო განათლების მეთოდის ცოდნა.

საინფორმაციო სივრცის განუწყვეტელი გაფართოებისა და საინფორმაციო ქსელების განვითარების პირობებში სკოლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე შეასწავლოს მოსწავლეებსა და პედაგოგებს





გოგებს ინფორმაციული მუშაობის ჩვენები და ელემენტები, რაც თავის მხრივ მოითხოვს მისი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ ზრდას.

### სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობა და მართვა

ბიბლიოთეკის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელია:

1. განისაზღვროს სასკოლო ბიბლიოთეკის პოლიტიკა, გამოიკვეთოს ამოცანები, პრიორიტეტები და სამსახური სასკოლო პროგრამების შესაბამისად;
2. ბიბლიოთეკის მთლიანი მუშაობა და მართვა აგებული უნდა იქნეს პროფესიული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად;
3. საბიბლიოთეკო მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იქნეს სასკოლო კოლექტივის თითოეული წევრისათვის, ამასთან, მხელველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი სამოგადოებრიობის მოთხოვნები;
4. ყოველმხრივ წახალისებული უნდა იქნეს სკოლის ბიბლიოთეკარის თანამშრომლობა პედაგოგებთან, აღმინისკრაციასთან, მშობ-

ლებთან, სხვა ბიბლიოთეკებთან და ინფორმაციის სექტორის ცენტრთან, სხვადასხვა სამოგადოებრივ ჯგუფებთან.

#### მანიფესტის პრინციპების განხორციელება

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები განათლებაზე პასუხისმგებელი სამინისტროების საშუალებით მოწოდებულნი არიან განავითარონ მანიფესტში ჩამოყალიბებული სტრატეგია. პოლიტიკა და დაგეგმარება, აგრეთვე პოპულარიზაცია გაუწიონ მანიფესტის იდეებს ბიბლიოთეკართა და პედაგოგთა პედაგოგიური განათლების სისტემის, აგრეთვე საბაზო კურსებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმებითა და საშუალებებით.

*სასკოლო ბიბლიოთეკის მანიფესტი ცალკე ბროშურის სახით გამოქვეყნებულია ინგლისურ ენაზე 2000 წელს.*

*წინამდებარე ტექსტი რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით (Библиотека, №8, 2001.) თარგმნა გურამ თაყნაშვილმა.*



### საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპიური დებულება

#### ზოგადი დებულებები

1. სკოლის (კოლეჯის, გიმნაზიის) ბიბლიოთეკა სასწავლებელში აუცილებელი ქვეგანყოფილებაა, რომელსაც გააჩნია თავისი ფუნქციები და დადგენილი წესებითა და მეთოდებით ემსახურება მკითხველებს.
2. სკოლის ბიბლიოთეკა იცავს სასწავლებლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, მუშაობას აგებს სკოლის დებულებასა და სამუშაო გეგმის მიხედვით, ექვემდებარება სასწავლებლის მიზნებსა და ამოცანებს.
3. მისი საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი; იგი ხელმძღვანელობს კანონით „საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, კანონით „განათლების შესახებ“, კანონქვემდებარე აქტებითა და ნორმატიულ – გექნიკური დოკუმენტაციით საბიბლიოთეკო საქმის შესახებ.

#### ბიბლიოთეკის დანიშნულება და ამოცანები

4. სკოლის ბიბლიოთეკა სასწავლებელში წარმოადგენს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული

მუშაობის ცენტრს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორს, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხელშემწყობსა და კლასგარეშე კითხვის ორგანიზატორს.

სასკოლო ბიბლიოთეკის დანიშნულებაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მოსწავლეთა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობას და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას. უზრუნველყოს მკითხველთა ინფორმაციული მოთხოვნილებები.

5. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველებს საჭირო ლიტერატურით, ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიდრმაონ სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა, აიმაღლონ კითხვის კულტურა, დაეუფლონ მასობრივი მუშაობის ჩვენებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლებელში წიგნიერი გარემოს შექმნაში.
6. ბიბლიოთეკა მოვალეა დაეხმაროს მკითხველებს საჭირო მასალის გამოვლენასა და შერჩევაში, მათ შეუფერხებლად მიღებაში, ინფორმაციის მოპოვებაში.
7. პედაგოგებთან ერთობლივი მუშაობით ქმნის პირობებს მოსწავლეთა კულტურულ-



ესთეტიკური, მნებობრივი და ეთიკური ღონის ამალღებისათვის. ხელს უწყობს მათი მრწამსის ჩამოყალიბებას, სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთების აღზრდას, გავლენას ახდენს მოსწავლეთა უნარისა და შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარებაზე, ეხმარება მათ შემოქმედებითი თვისებების წარმოჩენასა და განვითარებაში, პროფესიულ ორიენტაციაში.

8. ბიბლიოთეკა მოსწავლეებს ემსახურება დიფერენცირებულად სასკოლო ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

### ბიბლიოთეკის ფუნქციები

9. სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციები განპირობებულია ამ ბიბლიოთეკის დანიშნულებითა და ამოცანებით. სრულდება იგი ყველა საბიბლიოთეკო ციკლის გამოყენებით, დადგენილი ტექნოლოგიური პროცესების მეშვეობით, სათანადო ფორმებითა და მეთოდებით.
10. ბიბლიოთეკა იცავს თავის ფონდს, აკომპლექტებს მას ახალი პროფილური ლიტერატურით, სხვადასხვა სახის დოკუმენტებით, პერიოდიკით, აუდიოვიზუალური მასალით სკოლის პროფილის, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ახდენს მათ ინდივიდუალურ და ჯამობრივ აღრიცხვას დადგენილი წესით.
11. ბიბლიოთეკა ფონდის სისტემატიზაციას აწარმოებს შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით, პერიოდულად ეწევა მის გამონთავისუფლებას შინაარსობრივად მოძველებული და ფიზიკურად გაცვეთილი საბიბლიოთეკო დოკუმენტებისაგან, შეისწავლის ფონდის გამოყენების მდგომარეობას, ბრუნვალობას, იღებს ზომებს მისი ფიზიკური დაცვისა და შეკეთებისათვის, აგარებს პროფლაქტიკურ ღონისძიებებს.
12. ბიბლიოთეკა ახდენს ლიტერატურის სისტემატიზაციას საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის შესაბამისად, ადგენს ანბანურ და სისტემატურ კატალოგს, დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის დგება თემატური კატალოგი. ბიბლიოთეკა აწარმოებს აგრეთვე სხვადასხვა სახის კარგოთეკებს, რომელთა შორის პრიორიტეტულია ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კარგოთეკა. სისტემატიზაციისათვის გამოიყენება საერთაშორისო ათწილადი კლასიფიკაციის სქემის ვარიანტი საბავშვო-სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის.
13. ბიბლიოთეკა ემსახურება მოსწავლეებს, პედაგოგებს, სკოლის სხვა თანამშრომლებს და მშობელთა იმ ნაწილს, რომელიც ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობით არის დაინტერესებული. ამ მიზნით ბიბლიოთეკაში ორგა-

ნიზებულია საერთო აბონემენტი და ადგილზე დამოუკიდებლად კითხვის სისტემა (სამკითხველო დარბაზი ან დარბაზული მომსახურების ფორმა).

14. ბიბლიოთეკა შეისწავლის მოსწავლეთა საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმის მდგომარეობას, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მოთხოვნილებებს, მკითხველურ ინტერესებს; დადგენილი წესით ქმნის მკითხველთა ჯგუფებს და განსაზღვრავს მათ შემადგენლობას.
15. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ლიტერატურის ფართო ინფორმირებასა და რეკომენდირებას – იყენებს ბეპირ, წერილობით და თვალსაჩინო ფორმებს, აგარებს საუბრებს, აწყობს გამოფენებს, აფორმებს საბიბლიოთეკო პლაკატებსა და ალბომებს, მხაგრულ სტენდებსა და გრანსპარანტებს სხვადასხვა მოწოდებებით, ციგატებითა და აფორიზმებით, მართავს სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებებს – დილა-საღამოებს, შეხვედრებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, მკითხველთა კონფერენციებს, იუბილევებს, ლიტერატურულ თამაშობებს, ვიქტორინებს, გარჩევა-განხილვებს, დისკუსიებსა და დიალოგებს, პრეზენტაციებს, მკითხველის ფორმულარის დაცვას და სხვა. ქმნის ნორჩ შემოქმედთა, წიგნის და ბიბლიოთეკის მოყვარულთა, ინფორმატორთა და სხვა წრეებს.
16. საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული ცოდნის დანერგვის მიზნით, ბიბლიოთეკა სისტემატურად ეწევა სხვადასხვა სახის სამუშაოებს – ქმნის აქტივს, აწყობს წიგნისა და ბიბლიოთეკის დღეებს, ადგენს ბიბლიოთეკის დამხმარე ჯგუფს, რომლის წევრები პრაქტიკულად ეხმარებიან ბიბლიოთეკას სანიტარული დღის, ინფორმაციული მუშაობისა და სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზაციაში, წიგნების შეკეთება-რესტავრაციაში, დავალიანებათა ლიკვიდაციაში, საერთო სარგებლობისათვის წიგნების შეგროვებაში, სახელმძღვანელოების შეკრება-განაწილებაში.
17. პედაგოგებთან შეთანხმებით, ბიბლიოთეკაში მზადდება მასალა კლასგარეშე გაკვეთილებისათვის, დგება ბიბლიოგრაფიული სიები და კითხვის გეგმები ცალკეული კლასების, საგნებისა და თემების მიხედვით.
18. თავისი საქმიანობით ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მოსწავლეთა დარგობრივ წრეებს, აწვდის მათ საჭირო ლიტერატურასა და ინფორმაციას, ეხმარება წრის წევრებს ლიტერატურის გამოვლენასა და მიღებაში, გამოყოფს მათგან ინფორმატორ-აქტივისტებს წრეების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის.

**ბიბლიოთეკის  
ხელმძღვანელობა, ორგანიზაცია  
და მართვა**

19. სკოლის ბიბლიოთეკა უშუალოდ ექვემდებარება სკოლის დირექტორს, ასრულებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებს: იგი ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. ბიბლიოთეკარი პედაგოგიური საბჭოს წევრია.
20. ბიბლიოთეკის საქმიანობას ბიბლიოთეკარი წარმართავს, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია და პროფესიონალური ცოდნა. ის პასუხისმგებელია ბიბლიოთეკაზე მთლიანად – მის ფონდზე, მაგერიალურ-ტექნიკურ საშუალებებსა და მუშაობაზე. ადგენს სამუშაო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი; დადგენილი წესის თანახმად, აწარმოებს მუშაობის აღრიცხვას, რომლის საფუძველზე ხელმძღვანელობას წარუდგენს შესრულებული სამუშაოს სრულ ანგარიშს.  
ბიბლიოთეკარი პერიოდულად იმადლებს კვალიფიკაციას სპეციალურ კურსებსა და სემინარებზე, აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობით.
21. ბიბლიოთეკარი პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის ფონდის ფორმირებასა და მიზანშეწონილად გამოყენებაზე, მისი დაცვის უზრუნველყოფაზე, კითხვასა და წიგნბრუნვის ორგანიზაციაზე და ტექნოლოგიური ციკლების მეთოდიკურად სწორად ჩატარებაზე.
22. სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში ბიბლიოთეკართა საშტაგო ერთეულების რაოდენობა განისაზღვრება განათლების სამინისტროს შესაბამისი ნორმატიული აქტის შესაბამისად.
23. სკოლის ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს იმ სამართლებრივი ბაზით, რომელიც შექმნილია ქვეყნად საბიბლიოთეკო საქმის შესახებ და საერთოდ შრომის კანონმდებლობითი დოკუმენტებით. იგი ითვალისწინებს მეთოდური ცენტრების მითითებას, მათ გადაწყვეტილებებს, ასრულებს ზემდგომი ორგანოების განკარგულებებსა და ბრძანებებს.
24. სკოლის ბიბლიოთეკა თავისი საქმიანობის სრულყოფისათვის კავშირს ამყარებს ცენტრალურ პედაგოგიურ სამეცნიერო, რესპუბლიკურ საბავშვო და რეგიონის ყველა უწყების ბიბლიოთეკებთან, სკოლისგარეშე განათლების დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან, მჭიდრო კონტაქტი აქვს წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან, პედაგო-

- გებსა და მშობლებთან, ბიბლიოთეკატმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო ცენტრებთან.
25. სკოლის ბიბლიოთეკასთან იქმნება საბიბლიოთეკო საბჭო, რომელშიც შედიან როგორც ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, ისე პედაგოგები, მაღალი კლასის მოსწავლეები და მშობლები. ყალიბდება საბიბლიოთეკო აქტივი, რომელიც ხელს უწყობს ბიბლიოთეკას მუშაობის სრულყოფილად წარმართვაში.
26. სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობას აკონტროლებს სკოლის ადმინისტრაცია. პედაგოგიური საბჭო, საბიბლიოთეკო საბჭო და განათლების ზემდგომი ორგანოები.
27. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ხდება ბიბლიოთეკის მზადყოფნის მდგომარეობის შესწავლა მუშაობის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.

**სასკოლო ბიბლიოთეკის  
მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა**

28. სკოლის ბიბლიოთეკის მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია იმ სუბსიდიებით, რომელიც არსებობს სკოლისათვის და რომელშიც გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის მუშაობის ფინანსური უზრუნველყოფაც.
29. ბიბლიოთეკას შექმნილი აქვს ფიზიკური პირობები წიგნების, პერიოდიკის, აუდიოვიზუალური საშუალებებისა და ბიბტექნიკის განთავსებისათვის, უზრუნველყოფილია სათანადო ავეჯითა და მოწყობილობებით. მასზე განპიროვნებულია, სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, შესაფერისი სათავსი ფონდების დაცვისა და მკითხველთა მომსახურებისათვის, ბიბლიოთეკარისათვის სამუშაო პირობების შესაქმნელად.
30. კოორდინირების გზით ბიბლიოთეკა იყენებს იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომელიც სკოლას გააჩნია საერთო მოხმარებისათვის – კომპიუტერი, აუდიოვიზუალური საშუალებები, გრანსპორტი.
31. სკოლის ბიბლიოთეკა იღებს მაგერიალურ დახმარებასა და შეწირულებებს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან უშუალოდ ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის.
32. სკოლის ბიბლიოთეკის სათავსის გამოყენება არაშესაბამისი მიზნით დაუშვებელია.

## სიღნაღის კულტურისა და მნიშვნელობის კერა



ელენე ქევიციანი

დამსახურებული ბიბლიოთეკარი, პენსიონერი

გასული საუკუნის დასასრულს სიღნაღის მოწინავე ინტელიგენციის მიერ დიდი შრომა იქნა გაწეული, რომ აქ სახალხო ბიბლიოთეკა გახსნილიყო. 1892 წელს „ივერიის“ 261-ე ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქში ამ დროს მხოლოდ წიგნის სავაჭრო არსებობდა, რომელიც სიღნაღის სახალხო ბიბლიოთეკად მოიხსენებოდა. ეს სავაჭრო-სამკითხველო აღ. მაჭავარიანს დაუარსებია და მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში არსებულა. 1893 წელს „ივერიაში“ მასზე ლაპარაკია ქვემო-მაჩხაანისა და გურჯაანის სახალხო ბიბლიოთეკებთან ერთად. როგორც ირკვევა, ეს წიგნსაცავი არამც თუ პოპულარობით არ სარგებლობდა, ხალხმა არც კი იცოდა რამ მის შესახებ.

როგორც ცნობილია, ეს სავაჭრო-წიგნსაცავი სავაჭროს მფლობელ ალექსანდრე მაჭავარიანსა და ამხანაგობას დაუარსებია. გაუხსნიათ სამკითხველო ოთახი, შეუქმნიათ წიგნები, გამოუწერიათ ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ერთ წელიწადში დაუკეციათ, რაკი მომხმარებელი არ ჰყოლიათ.

„სიღნაღში ერთი სამკლასიანი სასწავლებელი გვაქვს და ისიც უხეირო“, გულისკვირით აცხადებს ვინმე „სიღნაღელი“. სიღნაღის მწიგნობრული საქმიანობის უბადრუკობას მეგყველებს „ცნობის ფურცელში“ 1901 წელს (1379) გამოქვეყნებული ვრცელი წერილი კარდნახის წიგნსაცავ-სამკითხველოზე, რომელშიც ავტორი სიამაყით აცხადებს, რომ „ეს სამკითხველო-წიგნსაცავი ერთად-ერთია მთელ მაზრაში და ამ მხრივ თვით ქალაქმა სიღნაღმაც ქედი უნდა მოიხაროს და პირველობა სოფელს უნდა დაულოცოს“. მაგრამ ეს სავსებით სწორი არ უნდა იყოს, რამდენადაც „ივერიის“ ცნობით (1900, 151) 1900 წ. სიღნაღში ბიბლიოთეკა სვიმონ ბეგიშვილს დაუარსებია, რომლისთვისაც მას თავისი სახლი დაუთმოა უსასყიდლოდ.

ასეთი იყო ამ ქალაქის კულტურული ვითარება გასული საუკუნის დამდეგს. უსახსრობა არ იძლეოდა საშუალებას წიგნიერი საქმის განვითარებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სიღნაღის მაზრა იმ დროისათვის ერთ-ერთი მდიდარი ყოფილა მთელ საქართვე-

ლოში, მაგრამ მისი შესვლური ნაკლებად ფიქრობდნენ სწავლა-განათლებაზე. სანაცვლოდ წარჩინებულთა გასართობები – წირვა-ლოცვები, სადღესასწაულო რიტუალების მოწყობა და დროსგარება მთავარ საქმედ იყო მიჩნეული.

მოგვიანებით, 1905 წელს სიღნაღის ამხანაგობას დაუარსებია ბიბლიოთეკა-სამკითხველო არგემ გერასგვაცაგროვის სახლის პირველ სართულზე, სადაც ამჟამად სასტუმრო „სიღნაღის“ ეზოა. ამხანაგობას შეუქმნია წიგნები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, გამოუწერიათ ჟურნალ-გაზეთები ზოგი ინტელიგენციის დახმარებითა და დამაარსებლების შესაგანის ხარჯით ზოგიც საქველმოქმედო წარმოდგენის შემოსავლით, რომელიც წელიწადში ერთხელ იმართებოდა.

სამკითხველოს გამგედ დაუნიშნავთ მუშა არმენიკ სვირანოვი. ცნობილია, რომ იგი იმ დროის კვალობაზე საკმაოდ განათლებული ყოფილა.

1921 წლიდან საქალაქო ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა პედაგოგი, უაღრესად სიმპატიური და განათლებული ქალბატონი ევა ქალაგიშვილი. მას თბილისის ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. შემოუკრებია გარს მოწინავე, გამოჩენილი ახალგაზრდობა, ისეთები, როგორც იყვნენ ექიმები გრიგოლ ვაჩნაძე და გრიგოლ შავერდოვი, ვექილი ვაბო გამრეკელი, პოეტები ილო მოსაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ჟურნალისტი გრიგოლ იარალოვი, ვაზეთ „ხმა კახეთისას“ რედაქტორი კოტე გყავაძე, პედაგოგები: არგაშექ ნონეზოვი, ეკატერინე ბეჟაშვილი, ზინა გოცირიძე, ელიზავეტა შავერდოვა, მართა გყავაძე, მრავალი სხვანი, და აქტიურ საქმიანობას შესდგომია. მაშინ 8-9 წლის ვიყავი და კარგად მახსოვს ქალბატონი ევა, რომელიც მთელი ქალაქის მოსახლეობის სიმპატიებით იყო გარემოცული. შემდეგში ის თბილისში გადავიდა, მაგრამ სიღნაღელებთან არ გაუწყვეტია კავშირი. მისი გრადიციები განაგრძეს სხვა გამგეებმაც – მარო ქმუცაშვილმა, ელადიმერ ქათამაძემ, ელიკო მახარაშვილმა, რაისა მანჯაფარაშვილმა, თამარ ისაევმა. 1947 წელს ამ ბიბლიოთეკის გამგედ მე დავინიშნე. ცხადია, ყველა ღონე უნდა მეხმარა, განმეგრძო ჩემს წინ მომუშავე ღირსეული ადამიანების მიერ გაკვალილი გზა. ბიბლიოთეკა იმრდებოდა, იხვეწებოდა მუშაობის მეთოდები, მოდიოდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები. 1952 წელს ბიბლიოთეკას სარაიონო სტატუსი მიენიჭა და პასუხისმგებლობაც ერთი-ორად გაიზარდა. ამავე წელსვე ჩატარებულ სარაიონო ბიბლიოთეკების საკავშირო დათვალეიერებაში ჩვენმა ბიბლიოთეკამ პირველი ადგილი მოიპოვა. საკავშირო და რესპუბლიკური კულტურის სამინისტროების მიერ იგი პირველი ხარისხის დიპლომითა და ინვენტარით დაჯილდოვდა, ჩემი ღვაწლი „წარჩინებული ბიბლიოთეკარის“ სამკერდე ნიშნით აღინიშნა. დიპლომებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა ჩვენი რაიონის 20 სასოფლო და ერთი საქალაქო ბიბლიოთეკის გამგეები.



1977 წლის ოქტომბერში სიღნაღის სარაიონო ბიბლიოთეკის ბაზაზე განხორციელდა საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციის ექსპერიმენტი, რომელმაც საესეებით გაამართლა. აქედან მოყოლებული, სარაიონო ბიბლიოთეკა იქცა რაიონის ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალურ ბიბლიოთეკად, რომელშიც 50 სასოფლო, 3 საქალაქო, 6 საბავშვო და ერთი მოძრავი ბიბლიოთეკა ფილიალებად გაერთიანდა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 6 განყოფილება შეიქმნა, შტატი 18 კაცამდე გაიზარდა. თანამშრომლები თავდაუზოგავად შრომობდნენ ახალი სისტემის დანერგვისათვის. დიდი ძალისხმევა დაჭირდა რაიონის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების ერთიანი ანბანური და სისტემატური კატალოგების შედგენას, რისთვისაც საჭირო გექნა კური ბაზა ჯერ კიდევ სუსტი იყო.

სამუშაოდან ჩემი წასვლის შემდეგ – 1979 წლიდან ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად ღია ხაგიაშვილი დანიშნა, რომელსაც სპეციალური უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. იგი ცნობილია როგორც საუკეთესო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, შესანიშნავი მოქალაქე, დიდებული ოჯახის დიასახლისი. მას ყველა სიყვარულით ახსენებს – როგორც თანამშრომლები, ისე მკითხველები. მიუხედავად ჩვენში არსებული უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა, იგი ახერხებს, არ მოაღუნოს ბიბლიოთეკის მავასიკემა.

დღეისათვის რაიონში 30 ბიბლიოთეკა-ფილიალი ფუნქციონირებს 55 სამშტატო ერთეულით. მძიმე პირობები, განსაკუთრებით დაკომპლექტების თვალსაზრისით. ბიბლიოთეკა ძირითადად შემოწირული პერიოდიკითა და წიგნებით ფუნქციონირებს.

გაოცებას იწვევს ჩვენი ბიბლიოთეკარების ერთობაშია და საქმისადმი თავდადება. იმათ ხომ თვეობით არ მიუღიათ ხელფასი, აკლიათ ბრუნვა ხელისუფლებისაგან, მაგრამ საქმეს არ დალაგობენ. სწორედ ამის შედეგია, რომ დღითიდღე იზრდება სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთა რიცხვი და ფართოვდება აქტივისტთა წრე.

ბიბლიოთეკაში კვლავ იმართება სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები – ლექციები, წიგნის განხილვები, კონფერენციები; ეწყობა ლიგერატურის თემატური გამოფენები; ქალბატონ ღიას თაოსნობით აღსდგა მივიწყებული, მაგრამ ადრე საკმაოდ პოპულარული „ჩაის საღამო“, რომელიც ერთგვარ ოჯახურ გარემოში წიგნზე საუბრის ეფექტური ღონისძიებაა. მომხმარებლებს ძალიან მოსწონთ ე.წ. „კაფე – საღამოები“. ამგვარი იყო, მაგალითად, ერთ დღეს გამართული საღამო – „სიღნაღის წარსული“, რომელსაც ქალაქში დიდი რეზონანსი ჰქონდა, რასაც მოწმობს გაზეთების „დროს“ და „ლიგერატურული სიღნაღის“ გამოხმაურებები. ჩაგარდა იუმორის საღამო, შეხვედრა რაიონის მწერლებთან – ვლადიმერ ალხაშიშვილსა და ამირან გოდერძიშვილთან, მოეწყო თენგიზ ბექაშვილის ლექსის „ქალისადმი“ და ამირან გოდერძიშვილის ლექსთა კრებულის „მისამართების“ პრემენტაცია, გიციან გაბიძის ხსოვნის დღე – „მე დავიბადე აპრილის თვეში“, ლიგერატურული საღამო – „შენს სადიდებლად, სამშობლო ჩემო!“. მოეწყო კარნავალი, რომელზედაც

გათამაშდა ლოგო და დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები, გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდებთან, მიძღვნილი 26 მაისისადმი, რომელსაც რაიონის ხელმძღვანელები დაესწრნენ, განხილულ იქნა მკითხველთა ნაწარმოებები – ნ.ხმაღაძის კრებული „ორნი ლუმელთან“ და უ.სახლთხუციშვილის მიერ ლაგვიურიდან თარგმნილი რომანი „გელა“, დიდი გამოხმაურება გამოიწვია პოეტ ანზორ აბულაშვილის ლექსთა კრებულის გარჩევამ. ძალიან საინტერესოდ ჩაგარდა ახალგაზრდობისათვის გამართული „საღამო ბულვარში“ ნაძვის ხესთან, როდესაც XX საუკუნის გაცილება მოხდა. ღონისძიებას ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაესწრო. საფუძველი ჩაეყარა ტრადიციას – ყოველი წლის გასაყარზე მოხდეს გასული წლის გაცილება და ახლის შეხვედრა.

ბიბლიოთეკას მჭიდრო კავშირი აქვს წარმოებულაწესებულებებთან, სიღნაღში გამოძავალ გაზეთებთან – „ქიზიყი“, „წუთისოფელი“, „ლიგერატურული სიღნაღი“, საბავშვო გაზეთი „წიკო-მაკო“, აგრეთვე უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალთან, ადგილობრივ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან.

ბიბლიოთეკის კოლექტივი დირექტორთან ერთად რაიონის სამოგადოებას მხარში უდგას კულტურისა და განათლების საქმეში. გარდება ერთობლივი ღონისძიებები, რომლებიც რწმენას უნერგავს ჩვენს ხალხს, რომ უეჭველად გამოსწორდება მდგომარეობა და ჩვენ უკეთესი მომავალი გველის.

### რედაქციისაგან:

*როგორც ვხედავთ, ერთობაშიაში დიდი ძალაა, მაგრამ მუდმივად მის იმედზე ყოფნა, ბოლოს და ბოლოს, მაინც კრახით დამთავრდება. ძნელია მოთხოვო ბიბლიოთეკას მაღალწარმადული საქმიანობა, როდესაც მის თანამშრომლებს 16-20 თვე ვერ მიუღიათ ხელფასები, არც ადგილობრივი ხელმძღვანელობის რაიმე ქმედითი დახმარება ჩანს. ცხადია, საქმეს ვერ უშველის ის, რომ ერთხელ ერთ-ერთი ღონისძიების დროს ადრინდელმა გამგებელმა მ.ბეგიშვილმა და საფინანსო განყოფილების გამგემ ლ.მურაშვილმა მოახერხეს და ბიბლიოთეკას 50 ლარი გამოუყვეს. ასეთი ეპიზოდები ვერ გამოასწორებს მდგომარეობას, თუ სისტემატური დაფინანსების მექანიზმი არ ამუშავდა.*

*როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, ბიბლიოთეკაში დამკვიდრებულია კარგი ტრადიციული მეთოდები, მაგრამ არ არის სიახლე – არ ჩანს ბრუნვა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, პროგრესულ საინფორმაციო საშუალებათა გამოყენებაზე, თანამედროვე საბიბლიოთეკო კონცეფციის გატარებაზე. საერთოდ, ეს დამახასიათებელია თითქმის ყველა ბიბლიოთეკისათვის, რაც განპირობებულია უაღრესად მძიმე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რის გამოსწორებაც ჩვენი საბიბლიოთეკო საქმისა და რაიონის მესვეურთა უპირველეს ამოცანად უნდა იქნეს.*

*მიუხედავად ამისა, რედაქცია სიამოვნებით აღნიშნავს სიღნაღელთა თავდადებას საქმიანობას და ყოველმხრივ უჭერს მათ მხარს.*

## დადგება დრო აღმავლობისა (№3 ბიბლიოთეკა-ფილიალი 75 წლისა)

თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების №3-ე ბიბლიოთეკა-ფილიალი 1926 წელს დაარსდა. იგი ერთ-ერთი პირველი მასობრივი ბიბლიოთეკა იყო ქალაქში, ისიც ისეთ რთულ უბანში, როგორც ავლაბარი იყო. როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკა ერთ პაგარა ოთახში მოუთავსებიათ. ახლა თითქმის აღარავინაა მისი პირველი ბიბლიოთეკარის – ქალბატონ ანაიდას მცნობი და მხოლოდ არქივის მეშვეობით თუ შეიძლება მისი ვინაობის სრულყოფილად გაცნობა. ზეპირი გადმოცემით ვიცით, რომ ფონდი ძალიან მცირე იყო და თანდათან იზრდებოდა ძირითადად შეწირული წიგნებით. ასევე ნელ-ნელა იზრდებოდა ბიბლიოთეკის შტატიც.

1938 წელს ბიბლიოთეკას გამოუყვეს ახალი ბინა მაშინდელი შაუმიანის ქუჩა №56-ში – ორი ოთახისაგან. სულ ამ დროს აქ 3 საშტატო ერთეული იყო. შეიქმნა აბონემენტი და სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკამ თანადროული სახე მიიღო.

1949 წლიდან გამგედ ახალგაზრდა სპეციალისტი თამარ ცაბუგაშვილი დაინიშნა. აქედან იწყება ახლებური მუშაობა. ჩაგარებულმა ღონისძიებებმა ერთბაშად გაზარდეს მკითხველთა რიცხვი, ბიბლიოთეკამ შემოიკრიბა აქტივისტები, შეიქმნა საბიბლიოთეკო საბჭო. ცოცხალ, ენერგიულ საქმიანობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ირგვლივ რამდენიმე სკოლაა, მრავალი წარმოება-დაწესებულება, რომლებშიც იხსნება მოძრავი ბიბლიოთეკები. იქმნება ლიგერატურული, ჭადრაკის, ხაგვის წრეები, რომლებსაც აქტივისტი მკითხველები ხელმძღვანელობენ; გაიხსნა გაცემის პუნქტი, რამაც ხელი შეუწყო მკითხველთა მოზიდვას. თამარ ცაბუგაშვილის ხელმძღვანელობით მრავალი ღირსშესანიშნავი ღონისძიება ჩატარდა: აღწერილ იქნა მიკრორაიონი, რის საფუძველზეც მოხდა მკითხველთა შესწავლა. ამან კიდევ უფრო მეტად მოიზიდა მოსახლეობა ბიბლიოთეკაში. ერთ-ერთი პირველი მასობრივი ღონისძიება იყო შეხვედრა მწერალ სანდრო შანშიაშვილთან. შეხვედრები გაიმართა პირველი მექანიკური ქარხნის მუშა-ახალგაზრდებთან, გამოიყენებოდა წიგნის პროპაგანდის თითქმის ყველა საშუალება. ბიბლიოთეკა მუშაობდა ორ ცვლაში. იმდენად ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა, რომ ამ პერიოდში აქ სისტემატურად აგზავნიდნენ პრაქტიკანტებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან.

1958 წელს ბიბლიოთეკას გამოაკლდა მისი ენერგიული ხელმძღვანელი, დიდი პროფესიონალი

თამარ ცაბუგაშვილი. მისი ადგილი დაიჭირა ბიბლიოთეკის თანამშრომელმა დავით ქოჩლაძემ. იგი 31 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამ ბიბლიოთეკას, იგი იცავდა და ამრავლებდა მის საუკეთესო გრადიციებს. მას გვერდში ედგნენ ცნობილი პროფესიონალები: მ.ლომაია, ლ.ზუკაკიშვილი, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარისა და შრომის ვეტერანის წოდებები. ბიბლიოთეკის საქმიანობა არაერთხელ იქნა გაშუქებული საქართველოს ტელევიზიითა და პრესით.

1967 წელს მეგრის მშენებლობასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის შენობა ნგრევაში მოჰყვა. დროებით თავშესაფარი დარეჯანის ეკლესიაში მოგვეცეს, სადაც 2 წელი დავეყავით. ამ პერიოდში გავწმინდეთ ფონდი მოძველებული ლიგერატურისაგან და ჩავატარეთ რეინვენტარიზაცია. ეს პერიოდი ჩვენთვის სამუშაოდ მძიმე იყო, მაგრამ უკეთესის მოლოდინში გულს არ ვიგეხდით. მოლოდინი მართლაც გაგვიმართლდა – 1969 წელს მივიღეთ 200 მ<sup>2</sup> ფართობის ახალი კეთილმოწყობილი ბინა, ქეთევან წამებულის ქ.№61-ში. ფონდი 40 ათასამდე გაიზარდა. დავიბრუნეთ ჩვენი ძველი შეჩვეული მკითხველი და შევუდექით მუშაობას.

1989 წლის მაისი ჩვენთვის მეტად მძიმე განცდებით დაგვიერთული აღმოჩნდა. გარდაიცვალა ბიბლიოთეკის გამგე დავით ქოჩლაძე. გრაგიკული იყო მისი აღსასრული. სიკვდილამდე ორი დღით ადრე მან დედა დაასაფლავა, რამაც მას დიდი სულიერი გრავა მიაყენა. მისმა თანამშრომლებმა მტკიცედ გადაწყვიტეს გავეგრძელებინა მისი გრადიციები, კვლავ ენერგიულად გვემუშავა, დაგვეცვა ჩვენი ლომუნგი – „წიგნი ყველა ადამიანს!“. ძნელი იყო ეს, რადგანაც საქართველოს მთელი საბიბლიოთეკო საქმე უმაგალითო სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. სისხლისღვრა ქუჩებში, სამოქალაქო ომი, ქონების დაგაცემა, დაწესებულებების შევიწროება. არც ბიბლიოთეკები დარჩენილან ამ უბედურების მიღმა, მაგრამ ჩვენი ბიბლიოთეკა მისი გამგის – მერი ლომიას ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ როგორმე არ ჩამკვდარიყო ბიბლიოთეკის სისხლსავსე საქმიანობა. მას გვერდში ედგნენ სამკითხველო დარბაზის გამგე ლუბა გუკაკიშვილი, ქართული ლიგერატურის სექტორის ხელმძღვანელი ლეილა ნადარაია, რუსულ-სომხური ლიგერატურის სექტორის ხელმძღვანელი ლენა სი-



რუხიანი და საბავშვო სექტორის ხელმძღვანელი ნინო რიქაშაძე. ცნობილ ავბედით დღეებში თითოეულ თანამშრომელს ცხადად ჰქონდა შეგნებული თავისი საპატიო მოვალეობა. ბიბლიოთეკა ერთი დღითაც არ დაკეტილა. თანამშრომლები სხვადასხვა რაიონებში ვცხოვრობთ და ფეხით დავდიოდით სამსახურში, რომ არ მოგვეშალა მკითხველებისათვის თავიანთი მყუდრო საფანე. ამიგომაც უწოდეს მათ ჩვენს ბიბლიოთეკას „რაზისი“ და „უნის აკადემია“.

ცხადია, ჩვენი ბიბლიოთეკაც ისეთსავე სიღუბნურს განიცდის, როგორც ყველა ჩვენი ბიბლიოთეკის მაგვარი ბიბლიოთეკა – უსახსრობა, ენერგორესურსების ნაკლებობა, სიცივე, ხელფასების დაგვიანება, ახალი წიგნების დეფიციტი, მაგრამ ერთი წამითაც არ გვინდა დავთმოთ პოზიციები. ყველას შეგნებული გვაქვს, რომ ვმუშაობთ ხალხისათვის, რომელიც ჩვენზე უკეთეს დღეში როდია. ეს შეგნება ძალას გვმაგებს, ბრძოლის უნარს გვიძლიერებს. სწორედ ამის წყალობით შევძელით შეგვენარჩუნებინა ფართობი, რომელსაც არაერთხელ გვედავებოდნენ და წართმევას გვიპირებდნენ. მაინც ავი სენივით დამკვიდრდა ბიბლიოთეკების შენობებზე სხვადასხვა საეჭვო პირთა და დაწესებულებათა შე-

მოგება, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ. რომ არა ჩვენი მკითხველების აქტიური თავდადება და მოწადინება, ალბათ ბიბლიოთეკას გააუქმებდნენ კიდევ, მაგრამ, როგორც ხელავთ, ჩვენ ისევ ვარსებობთ და 75 წლისთავსაც კი ვზეიმობთ. თურმე ვლომებივართ მკითხველებს, თურმე ვჭირდებით, თურმე ვუყვარვართ! ყალბია ფრაზები – ვიდას უნდა ბიბლიოთეკა, ვიდას უნდა წიგნი, სადღაა ბიბლიოთეკაში მკითხველი!... თუ ბიბლიოთეკა სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს, თუ ბიბლიოთეკა მკითხველისათვის იღვწის, თუ ენთუზიაზმი ჯერ არ ჩამქრალა, მკითხველს ბიბლიოთეკის გზა არ დაავიწყდება.

ახლახანს აღვნიშნეთ ბიბლიოთეკის საიუბილეო თარიღი. გამოჩნდა, რომ მოსახლეობა კმაყოფილია ჩვენი და ვჭირდებით, ჩვენი არსებობა აუცილებელია მომავალი თაობისათვის. სწორედ ამ შეგნებით ვაგრძელებთ მუშაობას და გვჯერა, დადგება დრო აღმავლობისა.

### ლუბა მუკაკიშვილი

თბილისის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის №3 ბიბლიოთეკა-ფილიალის განყოფილების გამგე



## ჩვენ 35 წლისანი პართი

აი, უკვე 35 წელია, რაც ფუნქციონირებს საქართველოს ლაღო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა (გაიხსნა 1966 წლის ოქტომბერში). შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მან ღირსეულად განვლო ეს გზა. თუ გავეცნობით ბიბლიოთეკის მუშაობის ამსახველ მასალებს, დავინახავთ, თუ რა მიზნებს ემსახურება ის.

სამწუხაროდ, დღეს ბიბლიოთეკა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნილებებს, თუმცა ცდილობს, წიგნს დაუბრუნოს მკითხველი, ეზიარონ ინტელექტუალურ სამყაროს, დაეუფლონ ინფორმაციას, რომელიც კაცალოგებსა და კარგოთეკებშია მოქცეული (სადღეისოდ არა გვაქვს არავითარი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა), გაეცნონ თვალსაჩინო მასალებს (გამოფენის, პლაკატი-რეკლამის სახით) მიიღონ ზეპირი ინფორმაცია; მონაწილეობა მიიღონ დიალოგებსა და კონ-

კურსებში, პრემენგაციებსა და სალონურ საღამოებში.

მართალია, მკითხველთა რიცხვმა იკლო, მაგრამ ბიბლიოთეკა არ განიცდის მათ სიმცირეს.

როგორები არიან ისინი? – ზოგს მოსწონს კითხვის პროცესი – კითხულობს ნებისმიერ წიგნს; ზოგს უყვარს კითხვის შედეგად მსჯელობა, წაკითხულის ირგვლივ აზრის გაზიარება. ამაში დაგვარწმუნა მკითხველებთან ინდივიდუალურმა და ჯგუფურმა მუშაობამ, როგორც სტაციონარულ, ისე არასტაციონარულ პირობებში.

ბიბლიოთეკა დღეს ძიებაშია, რათა ხელი შეუწყოს მოქალაქის ჩამოყალიბებას.

და მაინც, დღეს ბავშვთა კითხვა პრაგმატულია. იგი უმეტესად სასკოლო-საპროგრამო ხასიათისაა.

ბიბლიოთეკა ცდილობს შესაძლებლობის

ფარგლებში მკითხველს შეუქმნას საინფორმაციო მრავალფეროვნება მათი ასაკისა და ინტერესის გათვალისწინებით.

მკითხველებთან მუშაობის პრაქტიკაში დანერგილი გვაქვს მრავალი საინტერესო შეხვედრა როგორც თბილისის, ისე საქართველოს მასშტაბით. გარდება დაუსწრებელი ღონისძიებები: წლის საუკეთესო მკითხველი, „მოგზაურობები“, ვიქტორინა-კონკურსები, XX საუკუნე შევაქეთ

მკედლიშვილი და 169-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ეკატერინე ბაქარეიშვილი.

– საუკუნის პირველი ღონისძიება იყო „ჩვენ „დედაენიდან“ მოვდივართ“ (დედაენის 125 წელი); საქართველოს განათლების სამინისტროს შეთავაზებით საუკუნის პირველი გაკვეთილი მიეძღვნათ „დედაენისათვის“.

– საუკუნის პირველი საგამებო სტაგია – „მოზარდი წიგნს რომ დაუბრუნდეს“ (გამებით „ახალი განათლება“) ასახავს ბიბლიოთეკის მზადებას საბავშვო ბიბლიოთეკების გამგეთა მორიგი სემინარისათვის, რომელსაც ბიბლიოთეკა ყოველწლიურად აგარებს კულტურის სამინისტროსთან ერთად.

ბიბლიოთეკაში ჩაგარდა მრავალი შეხვედრა, დიალოგი, ლიგერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია და სხვ.

წიგნს მიეძღვნა ლიგერატურული კომპოზიცია „წიგნი გზრდიდა, წიგნით გზრდიდე, საქართველოს შეეხიდე“ – (მორის ფოცხიშვილი) 150-ე და 166-ე სკოლებთან ერთობლივად; „ლეგენდა იესო ქრისტეზე“ (მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვები, ხელმძღვანელი ელდინო საღარაძე). შინაარსიანი იყო ინფორმაციის დღე – „წიგნით, მხოლოდ წიგნით“ (მოზარდთა სახლთან); 150-ე სკოლის და თბილისის წმინდა ილია



„საუკუნეთა გადაძახილით“, რომელიც მიეძღვნათ ხუთმეგსაუკუნოვან ქართულ მწერლობას. „გადაძახილის“ ესტაფეტა თბილისის 147-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მცხეთის ბავშვ მკითხველებს გადასცეს, შემდეგ კი საქართველოს ყველა საბავშვო ბიბლიოთეკას.

მონაწილეებმა გამოაგზავნეს შესაგყვისი მასალები. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს აჭარის რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკა. თბილისში „გადაძახილის“ ბოლო აკორდმა 169-ე საშუალო სკოლაში გაიკიდრა, სადაც გზა დაულოცეს XXI საუკუნის ქართულ მწერლობას. ასე შევედით XXI საუკუნეში რა ხდება დღეს?

საზვიამოდ შევხვდით საუკუნის პირველ მკითხველებს. ესენი არიან: 130-ე საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე ნუგზარ





მარ თლის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეთა შეხვედრა მიედგინა ბავშვთა დაცვის დღეს – „ჩვენ – მომავალი თაობა“.

საინტერესოდ წარიმართა პაგარებისათვის „შეხვედრა ზღაპართან“, „ჩვენ ინგლისურად ვკითხულობთ“ (155-ე საშ. სკოლა).

არანაკლები ინტერესით მიმდინარეობს მუშაობა არასტაციონარული ფორმით. თბილისის სხვადასხვა სკოლებში გახსნილი გვაქვს მოძრავი ბიბლიოთეკები. მასობრივი ღონისძიებებიდან დიდი ინტერესი გამოიწვია ლიგერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, რომელიც ჩატარდა თბილისის 164-ე და მე-18 სკოლებში.

საუკუნის უდიდეს პოეტს, დიდ გალაქტიონს მისივე სახელობის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა „პოემის ერთი გაკვეთილი“ უძღვნეს. წიგნის პოპულარიზაციას მიეძღვნა დიალოგი



ო.ჭილაძის წიგნზე „აჰა, მიიწურა ზამთარი“ (თბილისის 90-ე საშუალო სკოლის მე-8,9 კლასის მოსწავლეებთან).

ყოველივე ეს ეხმარება მკითხველებს საკუთარი ამრის გამოხატვაში, კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და თანატოლების მოსმენის კულტურის დახვეწაში.

ბიბლიოთეკას მრავალი საერო და სასულიერო სტუმარი სწვევია, რასაც დიდი ინტერესი გამოუწვევია მკითხველებში.

მუშაობაში დიდ დახმარებას გვიწევს საბიბლიოთეკო ფონდები. როგორი მდგომარეობაა ამ

თვალსაზრისით? როგორც ცნობილია ბიბლიოთეკა ნაკლებად კომპლექტდება ახალგაზრდული საბავშვო წიგნებით, სამაგიეროდ მრავალადა გვაქვს შემოწირულობები იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც გულთან ახლოს მიაქვთ ჩვენი ბიბლიოთეკის საქმიანობა. ამითგან გვინდა აღვნიშნოთ: ნიკო ლეკიშვილი (პარლამენტარი), მაზა აბშიანიძე (მწერალი), აკაკი ბრეგვაძე საბავშვო ალმანახის „ციცინათელას“ რედაქტორი, დენიზა სუმბაძე, ლილი გოგოხია (გამომცემლობა „ნაკადული“), აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციის დაწესებულებები და არასამთავრობო გაერთიანებები. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ საპატრიარქოს დახმარება, აგრეთვე „ახალი ეპოქის“ რედაქციის წვლილი, საზოგადოებრივი ჟურნალ „ომეგას“ რედაქციის მხარდაჭერა და სხვ.

დიდი მადლობა ყველას, ყველას, ვინც ფიქრობს და ბრუნავს ბიბლიოთეკაზე, ვისაც აწუხებს მისი ბედი. ბიბლიოთეკა ხომ ჩვენი კულტურის სახეა, კულტურა კი – საფუძველი ყოველივესი.

ბიბლიოთეკაში ათი განყოფილებაა, მისი სიმდიდრე მკითხველები და ბიბლიოთეკის კოლექტივია, რომელიც გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. ცდილობს შეინარჩუნოს გრადიციები და ედიოს მკითხველებთან დაახლოების გზები და საშუალებები. მათი დიდი სურვილია, როგორც მოწინავე ქვეყნებში, ჩვენშიც გახდეს საბიბლიოთეკო საქმე პრესტიჟული და ამაღლდეს მისი ავტორიტეტი.

ყოველივე ეს ვერ მოხდება რეალური დაფინანსების გარეშე. ალბათ მაშინ შესაძლებელი გახდება ბიბლიოთეკის საგამომცემლო საქმიანობისა და მივლინებების აღდგენა. მხოლოდ ასეთ პირობებში შევძლებთ ვიზრუნოთ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ბიბლიოთეკარებისა და მკითხველების უფლებების დაცვაზე.

**ინგა არგუტინსკაია**  
ლ.ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორი

## იუბილარი



### მზევინარ ბერძენიშვილი ბიბლიოთეკათმცოდნე, ბიბლიოგრაფი

1901 წლის 24 ივნისს ნაძალადევში, წყლის მილის ქუჩაზე № 151-ში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესამე ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ამ საქმის მოთავე გახლდათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ქალი მარიამ ივანეს ასული დემურიძე.

ამ ბიბლიოთეკას მეგად საინგერესო ბიოგრაფია აქვს. 1900 წლის ბოლოს რკინიგზის სახელოსნოების მუშათა ერთ ჯგუფს განუზრახავს ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნა და დახმარებისთვის მ. დემურიძისთვის მიუმართავს. მას კითხვის მხრივ 1900 წლის 5 დეკემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში ასეთი შინაარსის განცხადება შეუგანია: „რადგან ნაძალადევში დიდი მოთხოვნაა ბიბლიოთეკისა, გთხოვთ იკისროთ და გაუხსნათ იქ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელმედ“.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით განუხილავს ეს განცხადება და ამ საქმის შესწავლა დ. კარიჭაშვილის, ვლ. ლორთქიფანიძის და მდივნისათვის მიუხდვია. აღნიშნულ პირებს შეუსწავლიათ ეს საკითხი და გამგეობისათვის მოუხსენებიათ თავიანთი აზრი ბიბლიოთეკის გახსნისათვის საჭირო ხარჯების შესახებ. გამგეობას დადებითად გადაუწყვეტია ეს საკითხი და 1901 წლის 7 იანვარს თბილისის გუბერნატორისათვის წარუდგენია ოფიციალური მიმართვა თხოვნით, საზოგადოების წესდების მეორე პარაგრაფის მეოთხე მუხლის საფუძველზე, ნება დაერთოთ თბილისში, ნაძალადევში გაეხსნათ ბიბლიოთეკა სახალხო კითხვისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თხოვნა არაფრით არ ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების წესდებას, მისი გადაწყვეტა ძალზე გაჭიანურდა, რადგან მუ-

## ბიბლიოთეკა

შათა მღელვარების აღმავლობის პერიოდში გუბერნატორს ნაკლებად აწყობდა ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნა.

ასე იყო თუ ისე, დიდი ყოყმანის და მიწერ მოწერის შემდეგ 1901 წლის 5 ივნისს გუბერნატორს ოფიციალური თანხმობა მიუცია გამგეობისათვის.

დაინიშნა ბიბლიოთეკის გახსნის დღე – 24 ივნისი.

ამ ამბავს აქტიურად გამოეხმაურა მაშინდელი ქართული პრესა: „ივერია“- 1901 წ. №135, „ცნობის ფურცელი“- 1901 წ. №1503 და ქურნალი „კვალი“- 1901 წ. №27.

და აი, ეს დღეც დადგა – ბიბლიოთეკა გაიხსნა.

1901 წლის 26 ივნისს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: -„კვირას, 24 ივნისს, ნაძალადევის უბანში აკურთხეს ახლად დაარსებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო. კურთხევას დაესწრნენ ნაძალადევში მცხოვრებნი დიდძალი მუშა-ხალხი. მთავარმართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი, ზოგიერთი ქართველი მწერლები და ქართულის ქურნალ-გაზეთების წარმომადგენელი“ („ივერია“-1901, №137).

ამ მოვლენის შესახებ „ცნობის ფურცელი“ წერდა: „გუშინ 24 ივნისს ნაძალადევში გაიხსნა ქ-ნი მ.ი.დემურიძის თაოსნობით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მესამე ბიბლიოთეკა-სამკითხველო. დილის 11 საათზედ ბიბლიოთეკის სადგომში გარდახდილი იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე თავ. ი.გ. ჭავჭავაძე, მთავარმართებლის საბჭოს წევრი ბ.სულთან-კრიმ-გირეი, ქართულის ქურნალ-გაზეთების წარმომადგენელი, წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობის ზოგიერთი წევრი და დიდძალი ხალხი, რომელიც ბიბლიოთეკის სადგომში არ ეგეოდა და იდგა ეზოში და ქუჩაში. ბიბლიოთეკა კარგა მოზრდილ ორ ოთახშია მოთავსებული და რიგიანად არის მოწყობილი.

ვუსურვებთ ამ ახალს, სიმშათიურ დაწესებულებას, განვითარებას და სრულს გამარჯვებას“ („ცნობის ფურცელი“-1901, №1505).

როგორც ვხედავთ, ბიბლიოთეკა ზარ-ზეიმით გახსნილა, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოქვეყნებული მასალებიდან სჩანს, ამ საქმეს მთლად მშვიდობიანად მაინც არ ჩაუვლია.

მხედველობაში გვაქვს ქურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1924 წლის №15-ში მოთავსებული ამ მოვლენის უშუალო მონაწილის სოსო მაჭავა-



რიანის მოგონება, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა იმდროინდელ საზოგადოებაში ძალთა დაპირისპირების შესახებ.

ს. მაჭავარიანი იგონებს, რომ მუშები და მათი ხელმძღვანელები ძალზე დაინტერესებულნი იყვნენ ი.ჭავჭავაძესთან შეხვედრით, რადგან მასში და მის თანამოაზრეებში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ხელაღწეა და მათთან ცხარე კამათი ჰქონდათ გამართული პრესაში. ასეთივე განწყობით იყვნენ დამუხტულნი იქ მყოფი სოციალ-დემოკრატებიც.

როგორც მოგონებიდან ჩანს, მღვდელი შამა სვიმონიც (სიკო რცხილაძე) მოსულა, რომელიც მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა, შემდეგ არჩილ ჯორჯაძე გამოჩენილა, რომელიც ახლად იყო გამოსული სამწერლო ასპარეზზე და მასთან კამათი იმდენად არ აინტერესებდათ, რადგან მაშინდელი „პოლიტიკური მოწინააღმდეგის ცენტრი“ ილია ჭავჭავაძე იყო.

„... ილიამ დაიგვიანა, თორმეტ საათმა მოაგანა... რომ უცებ მოგრიალდა ეგლი. ეგლიდან გადმოვიდნენ ილია ჭავჭავაძე, არგემ ახნაზაროვი (ჩიორა) და დემურიას ქალი... შემოვიდნენ სამკითხველოში. ჩვენ დავირაზმენით, თუ ილია სიცივას იცყოდა, პირველი საპასუხო სიცივა უნდა ეთქვა გ.თელიას. მღვდელმა გაათავა თავისი მოვალეობა და შეეყურებდით ილიას. მაგრამ მან არაფრის თქმა არ მოინდომა. ამოიღო ერთი თუმანი, შესწირა სამკითხველოს და გამოვიდა გარეთ ეგლში ჩასაჯდომად... მივცვივდით თელიას... ვუთხარით „რადგან ეგ არაფერს ამბობს, შენ მაინც თქვი რამეო“. მართლაც, სანამ ილია ეგლში ჩაჯდებოდა, თელიამ დაიწყო თავისი სიცივა და შესანიშნავად დაასურათა მაშინდელი ორი მიმდინარეობა ჩვენში. ჭავჭავაძე ღიღი ყურადღებით ისმენდა ბოლომდის. ილია წავიდა. ჩავგრჩა ხელში არჩილ ჯორჯაძე და თითქმის მზის ჩასვლამდინ კვამათობდით მასთან“.

შემდეგ ამ ბიბლიოთეკაში ღიღი არალეგალური მუშაობა მიმდინარეობდა. იგი გახდა რევოლუციური ლიგერატურის გავრცელების და რევოლუციონერთა შეკრების ადგილი. ამიგომ ხელისუფლებაში რამდენჯერმე დამდგარა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. 1904 წელს გადაუწყვეტიათ ბიბლიოთეკის ფონდებიდან ქართული წიგნების ამოღება. ორჯერ გახდა საჭირო ილია ჭავჭავაძის და ნიკო ცხველაძის ჩარევა. ისინი პირადად ეწვივნენ გუბერნატორს. ამ ორი ავტორიტეტის ჩარევის შედეგად ფონდებიდან ქართული წიგნების ამოღების პროცესი დროებით შეჩერდა და ბიბლიოთეკა დახურვას გადაჩრა.

როგორც ჩანს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდ მზრუნველობას უწევდა

ამ ბიბლიოთეკას. იგი სარგებლობდა აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით. მისთვის წიგნები სხვადასხვა დროს უსასყიდლოდ შეუწირავთ სერგო წერეთელს („ცნ. ფურცელი“-1901, №1417), გურაბ ავალიშვილს („ცნ. ფურცელი“-1901, №1609), ქალაქის სასწავლებელთა გამგეობას 100 მანეთი დახმარება გაუღია („ცნ. ფურცელი“-1901, №1637). რელაქციებმა უფასოდ დაუგზავნეს თავიანთი ჟურნალ-გამზეთები („ცნ. ფურცელი“-1903, №2347) და სხვ.

1910 წელს გარდაიცვალა ბიბლიოთეკის მზრუნველი და გამგე მარიამ ივანეს ასული დემურია. მის ადგილზე დაინიშნა გერემა ხშია-დაშვილი. 1916 წლიდან ბიბლიოთეკას განაგებდა ნინო ქრისტეფორეს ასული ქორიძე. 1919 წელს ბიბლიოთეკა უსახსრობის გამო კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ 1919 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე იგი ნაძალადევის კლუბთან არსებულ სამკითხველოს გადასცა.

შემდეგ ეს ბიბლიოთეკა მოიხსენიება როგორც პლესხანოვის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ბიბლიოთეკა. კულტურის სახლი ეკუთვნოდა თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანას (შემდეგში ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა). ბიბლიოთეკა დღესაც ამ ქარხნის პროფკავშირებს ეკუთვნის.

გარკვეული დროის განმავლობაში 1984-87 წლებში ბიბლიოთეკა ექვემდებარებოდა რკინიგზის სამმართველოს კულტურის განყოფილებას და იყო საგზაო კომიტეტის რკინიგზის პროფკავშირების საბაზო ბიბლიოთეკა, რომელსაც ჰქონდა ხაზზე არსებული 19 ფილიალი.

1987 წლიდან ბიბლიოთეკა კვლავ დაუბრუნდა ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პროფკავშირებს. ბიბლიოთეკაში მოპოვებული მასალების მიხედვით, სხვადასხვა დროს ამ ბიბლიოთეკის გამგეები იყვნენ: 1931 წლიდან- ღვაწლმოსილი მუშაკი ფაგი ჭოლოკაბა, რომელიც 28 წელზე მეტ ხანს ემსახურა ამ საქმეს. შემდეგში ბიბლიოთეკას განაგებდა ლია აბაიშვილი. ხოლო 1981 წლის 6 მაისიდან დღემდე ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ზოია მიხეილის ასული თეთრაძე.

ამ ხნის მანძილზე ბიბლიოთეკაში მოღვაწეობდნენ უანგარო და თავდადებული მუშაკები: ლუბა ლიპარგელიანი და ვალენტინა ბერძენიშვილი. ქ-ნი ვალენტინა 50 წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა საყვარელ საქმეს და მას „ცოცხალი ენციკლოპედია“ უწოდეს. აქვე მუშაობდა დარბაზის გამგედ ნათელა ღიბრაძე. დღეს ბიბლიოთეკას ორი ბიბლიოთეკარი ჰყავს: სვეტა ბგეკა-

სამართლებლო  
მეცნიერლო



**ბიბლიოთეკის ამჟამინდელი გამგე  
ზოია თეთრაძე**

ლავა და მანანა დევრისაშვილი, რომლებიც ყველა საქმეში გვერდში უდგანან გამგეს.

ბიბლიოთეკა სისხლსაცვს საბიბლიოთეკო ცხოვრებით ცხოვრობდა. იგი არა მარტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, არამედ მოსახლეობასაც ემსახურებოდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლიგერაგურული წრე, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა— იგი 1931 წელს დაუარსებიათ გიორგი ლეონიძეს და დემნა შენგელაიას. ამ წრეს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ თვით გიორგი ლეონიძე, სიმონ წვერაჟა და ბოლოს ვახტანგ გორგანელი. ამ წრის წევრები ყოფილან პოეტი ლია ჭავჭავაძე და მწერალი რევაზ ინანიშვილი. მიხეილ ჯავახიშვილს პირველად აქ წაუკითხავს თავისი „არსენა მარაბდელი“. წრის წევრებს დიდ დახმარებას უწევდნენ უკუდავი გალაკტიონი, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და სხვები.

ბიბლიოთეკაში მუშაობა დულდა, გარდებოდა სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ღონისძიებები. სამწუხაროდ, ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. ახლა ველარაჟინ ვერ იგყვის ბიბლიოთეკა რიგიანად არის მოწყობილი—პირიქით, იგი დღეს სავალალო მდგომარეობაშია და რაც აქ ხდება, მხოლოდ ბრძოლაა არსებობისათვის, სხვა არაფერი. მარტო ის რას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკა ბოლო ათი წლის მანძილზე არ დაკომპლექტებულა არც წიგნებით და არც ჟურნალ-გამეთებით. მხოლოდ ამ საქმის ერთუმიასტის და ნამდვილი პროფესიონალის ზოია თეთრაძის და მისი თანამშრომლების თავდადებას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ეს ბიბლიოთეკა კიდევ არსებობს. ქალბატონ ზოიას „რკინის ქალამნები“ აცვია და იბრძვის ბიბლიოთეკის ძველი ფართობის დასაბრუნებლად, რომელსაც ქარხნის კულტურის სახლის შენობაში ორი დიდი ოთა-

ხი (150 კვ.მ) ეკავა და საიდანაც 1982 წელს დროებით გამოასახლეს კულტურის სახლის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. რეკონსტრუქცია დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ... ბრძენ ხალხს უთქვამს: არაფერი ისეთი მუდმივი არაა, როგორც დროებითი; ბიბლიოთეკის კოლექტივმა ვერაფრით ვერ დაიბრუნა თავისი კუთვნილი ფართი. ქნი ზოია არც სხვა შესაფერის ფართობზე იგყვის უარს.

ბიბლიოთეკა დღეს შეხიზნულია ქარხნის კინო-თეატრ „განთიადის“ კუთვნილ შენობაში და უჭირავს სამი პატარა ოთახი, სადაც მხოლოდ საცნობარო და სახელდახელო ლიგერაგურაა განლაგებული. 84 კვ.მ. საცავი ქარხნის ძველ აღმინისგრაფიულ შენობაში იმყოფება, სადაც მობინადრეები შეასახლეს და იქ წიგნის გამოსაგანად მისულ ბიბლიოთეკის მუშაკს მობინადრის შეწუხება უხდება. ბიბლიოთეკის 50 000-იანი ძირითადი ფონდი, ზოგიერთი დახურული საგზაო ბიბლიოთეკის შემოერთებული ფონდის ჩათვლით, საშინელ სივიწროვეშია.

ასი წლის ჭარმაგი ბიბლიოთეკა დღეს შევლასა და შემწვობას ითხოვს. მას სასწრაფოდ სჭირდება შესაფერისი შენობა და მაგერიალური დახმარება, რათა მუშაობის ნორმალური პირობები შეექმნას. იუბილის გადახდაზე არაფერს აღარ ვამბობთ; ყველას, ვისაც ხელეწიფება, დროულად უნდა შეაშველოს მას ხელი, რომ 100 წლის იუბილარმა ჩვენს დროში არ დაამთავროს თავისი არსებობა, რაც არასგზით არ უნდა დაგუშვათ.

ამ ბოლოს თითქმის გამოჩნდა სინათლის სხივი გვირაბის ბოლოში რკინიგზის სამმართველოს პროფკავშირების სახით. ღმერთმა ინებოს კეთილი საქმე.

**გამოყენებული ლიგერაგურა:**

1. ლორია ა., გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში. — თბ.: მეცნიერება, 1974.
2. ჩხიგუნიძე თ. ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. — თბ.: მეცნიერება, 1980.
3. ივერია. — 1901, №-№ 135, 137, 141.
4. ცნობის ფურცელი. — 1901, №-№ 1417, 1503, 1505, 1609, 1637. 1903, № 2347.
5. კვალი. — 1901, № 27.
6. თეატრი და ცხოვრება. — 1924, №15.

## წიგნის კომუნიკაციური ბუნება



წერილი პირველი

წიგნი როგორც საგანი

რემო სურგულაძე

თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოცენტი

წიგნის კომუნიკაციურ ბუნებაზე წერა უადრესად რთული და საპასუხისმგებლოა. ჩემი აზრით, ეს სამყაროს შესახებ მსჯელობის გოლფასია. მართლაც, თვითოეული კარგი წიგნის მიღმა ადამიანის უზარმაზარი სამყაროა გადაშლილი, რომლის მეშვეობითაც მკითხველს შეუძლია მთელ ქვეყანას დაუკავშირდეს. წიგნი ჩვენს წინაპრებსა და მომავალ თაობებთან გვაახლოვებს და, ამდენად, კაცობრიობასთანაც. ჩემთვის წიგნიდან დანახული ქართული იაკობ ცურგაველი ან დავით გურამიშვილი ისეთივე ცოცხალია, როგორც რომელიმე თანამედროვე მოქალაქე, რომელსაც შეუძლია კეთილი რჩევა მოგცეს და გზაზე დაგაყენოს. ამ უნარს კი წიგნი, ადამიანის გენიის ეს უდიდესი ხელოვნური ქმნილება, თავისი გამორჩეული კომუნიკაციური თვისებების გამო ფლობს. წიგნისთვის მრავალგამოჩენილ ადამიანს მიუძღვნია ალგაცების გამომხატველი სტრიქონები, მაგრამ ცოცხალი ისეთი ნაშრომი, რომელიც მის კომუნიკაციურ ბუნებას მოჰყენდა სრულ ნათელს. მართლაც, რაგომ არის წიგნი ასეთი? ჩემი მიზანი არ არის ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა. ეს კანდიდურბაც კი იქნებოდა. მინდა მხოლოდ ამ საკითხის თაობაზე ზოგიერთი რამ მოვუთხრო და თან ჩემი პირადი შეხედულებები გავაცნო მკითხველს, მით უფრო ახალგაზრდებს, რომელთაც ინგერნეგის ეპოქაში შეიძლება ეგონოთ, რომ წიგნმა უკვე თავისი დრო მოჭამა და ისტორიის კუთვნილება გახდა. არა, ეს ასე არ არის. წიგნი მარადიულად განახლებადი კომუნიკაციური სისტემაა და იგი, თუნდაც ელექტრონული, მაინც წიგნია და ცოდნის გავრცელების იმ ძირითად კანონებს ემორჩილება, რომელიც

საუკუნეების მანძილზე, მისი საშუალებით შექმნა ადამიანმა. პირადად მე წიგნის ეპოქის შვილი ვარ, მის წიაღში აღვიზარდე და, ცხადია, მის მიერ შექმნილი გრადიციების ერთგული დავრჩი. ამიგომ ჩემი რამდენიმე წერილით შევეცდები მკითხველი დავარწმუნო, რაგომ არის სწორი დიდი ამერიკელი პოეტი და მოაზროვნე უიგმენი, რომელმაც თქვა: „მეგობარო, ეს არის წიგნი, ხელი ახლე და კაცს შეეხები“. „კაცის შეხება“ კი ისეთი რამ არის, რაზეც ვერც თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში იგყვის უარს რომელიმე სხვა კაცი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შორის ბეჭდური წიგნი ერთ-ერთი უძველესი საშუალებაა. მის გაჩენასთან არის დაკავშირებული ჭეშმარიტად რევოლუციური ძვრები კაცობრიობის ისტორიაში. გუგენბერგის ბიბლიის გამოცემის შემდეგ (1455), შედარებით მცირე პერიოდში, წიგნის გავრცელება მასობრივი გახდა, რამაც საგრძნობლად დააჩქარა ევროპული რეფორმაცია და დასავლეთის ქვეყნებს საშუალება მისცა, რომის პაპის კათოლიკური ეკლესიის გავლენისაგან გათავისუფლებულიყვნენ. დიდი სისხლის ღერისა და ომების ფასად ევროპა თავისუფალი აზრის, განათლებისა და პროგრესის აკვნად იქცა მთელს მსოფლიოში. ამ ბრძოლაში მუდამ მონაწილეობდა ბეჭდური წიგნი ანუ ის აზრი და ცოდნა, რომელთაც ადამიანთა მოღვმის ყველაზე ღირსეული შვილები მისი საშუალებით თაობიდან თაობას გადასცემდნენ. როგორც იან ჩიხოლდი ამბობდა, ბეჭდური სიგყვა მიმართული იყო ყველა ასაკის ადამიანისადმი, განათლებული იქნებოდა იგი თუ გაუნათლებელი (3,23).

ამის მიზეზი ერთადერთია: ბეჭდურ წიგნში, მანამდე არსებული ინფორმაციების ყველა სხვა საშუალებაზე უფრო მეტად, გამომქლავნდა სოციალური (მასობრივი) ინფორმაციის შინაგანი ბუნება. უწინარეს ყოვლისა, და ზოგადად, ეს ბუნება ცოდნის საყოველთაობაში გამოიხატება. აქვე დავძენთ, რომ ეს ცნება შეფარდებითია. იგი, მართალია, გულისხმობს ცოდნის ბუნებას, მაგრამ არ გულისხმობს იმ მექანიზმებს, რომლებმაც ეს საყოველთაობა უნდა უზრუნველყონ. ამიგომ ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში ცოდნისა და

ინფორმაციის ეს შინაგანი ბუნება სხვადასხვაგვარად რეალიზდებოდა. სახელმწიფოები ქმნიდნენ და ქმნიან ცოდნის ამ შინაგანი ბუნების შემზღვეველ მექანიზმებს მრავალგვარი საცნობარო დაწესებულებებისა თუ საკანონმდებლო აქტების სახით. ცნობარის პირველი ორგანოები ევროპაში უკვე წიგნის მასობრივი ბეჭდვის დაწყებიდან ორიოდე ათეული წლის შემდეგ გამოჩნდა. ეს ფაქტი უკვე მიუთითებს, რომ ნებისმიერი ხელისუფლება (საერო თუ სასულიერო) იმთავითვე აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რომელსაც ცოდნის საყოველთაო უქმნიდა მის არსებობას. აქ ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად აუცილებელია ყოველგვარი ინფორმაცია ყველა ადამიანის კუთვნილება გახდეს, რამაც შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი საფუძვლების რღვევაც გამოიწვიოს. ეს საკითხი, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი, ამჟერად ჩვენი მსჯელობის საგანი არ არის. ვიგყვით კი ერთს: მხოლოდ მასობრივ წიგნში გაცხადდა პირველად ინფორმაციის იმგვარი მმართველობითი უნარი, რის გამოც შემდეგ ჟურნალისტიკას „მეოთხე ხელისუფლება“ უწოდეს. ბეჭდური წიგნი გაჩენისთანავე, თავისი შინაგანი ბუნებით, დემოკრატიულ მოვლენად იქცა, ვინაიდან იგი ყველა სხვა მასობრივ საშუალებაზე მეტად უწყობდა ხელს დემოკრატიული პროცესების განვითარებას ნებისმიერ საზოგადოებაში. ამ გაგებით, წიგნი მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებაა, რომელიც მუდამ მონაწილეობდა სახალხო თვითმმართველობის დამკვიდრებაში. ცხადია, ისიც ცნობილია, რომ წიგნი, ისევე როგორც მასობრივი ინფორმაციის ნებისმიერი სხვა საშუალება, შესაძლებელია ადამიანთა ცნობიერებით მანიპულაციისათვის გამოიყენოს ვინმე.

როგორც ვთქვით, წიგნი უზრუნველყოფს ინფორმაციის მასობრივ გავრცელებას ანუ მის საყოველთაობას. ეს კი ნიშნავს, რომ ეს ისეთი ხელოვნური „მექანიზმი“, რომელიც არღვევს ადამიანებს შორის არსებულ ზღუდეებს. მარშალ მაკლუჰანის ფიგურული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, წიგნმა, ისევე როგორც ნებისმიერმა სხვა მედიუმმა, გააფართოვა, „დააგრძელა“ ადამიანის კომუნიკაციური უნარი. (1, 171-172). ამ თვალსაზრისით, წიგნიერება, ანუ ცოდნა, ათანასწორებს ადამიანებს, უქმნის მათ თანაბარ შესაძლებლობებს. (ვიმეორებთ, რომ სხვა საკითხია ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის მექანიზმების არსებობა ამა თუ იმ საზოგადოებაში). თანასწორობა კი, თავის

მხრივ, თავისუფლების გარეშე არ არსებობს. ამდენად, წიგნი იმთავითვე წარმოვდივება ისეთ საშუალებადაც, რომელსაც ძალუძს თავისუფლების მოპოვებაში დაეხმაროს ადამიანებს. სწორედ ამ თვალსაზრისით ითქვა ზემოთ, რომ ბეჭდური წიგნი რევოლუციური მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. მან ადამიანთა ცნობიერება გაათავისუფლა მონური მორჩილების ბორკილებისაგან და ხელი შეუწყო ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრებას. რაკი წიგნმა მასობრივი ინფორმირების სხვა საშუალებებზე უწინ და უკეთ წარმოაჩინა ცოდნის გავრცელების შესაძლო შედეგები, ამით მან საფუძველი ჩაუყარა მასობრივ კომუნიკაციის სხვა ხელოვნური არხების განვითარებასაც. ვაგებით, ჟურნალი, რადიოგელემუწყობლობა, თვით ინტერნეტიც კი, სხვადასხვა ასპექტით ავითარებენ წიგნის კომუნიკაციურ თავისებურებებს. მათი საშუალებით ინფორმაციის საყოველთაობისა და მასთან დაკავშირებული ადამიანთა თანასწორობისა და თავისუფლების დამკვიდრების პროცესი თანდათან უფრო შეუქცევადი ხდება. თვით „ცოდნის უფლების“ დოქტრინა, რომელიც დასავლური ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო პრინციპად არის აღიარებული, სათავეს ბეჭდური წიგნის მიერ დამკვიდრებულ კომუნიკაციურ თავისებურებაში იღებს.

უწინარეს ყოვლისა, წიგნი ხელოვნურად შექმნილი საშუალებაა ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის. რაკი ხელოვნურია, ყოველგვარი ამგვარი საშუალება (ე.წ. მედიუმი) მაგერიანაა, იგი საგნის, ნივთის სახით არის მოცემული. თავისთავად საგანია, ნივთია წიგნი, ვაგებით, ჟურნალი, რადიო, გელევიზორი, კომპიუტერი. მაგრამ თვითოეულ ასეთ საგანს ადამიანის ცხოვრებაში თავისი ფუნქცია, დანიშნულება აქვს. კომუნიკაციის პროცესში იგი შუამავალია სხვა ადამიანებთან ურთიერთობის. კომუნიკაციის ყოველ ასეთ საშუალებას (მედიუმს) ადამიანი მუდამ თავისი ბუნებრივი მონაცემების მაქსიმალური გამოვლენისა და რეალიზაციის მიზნით ქმნიდა. ადამიანის თვალი და ყური ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ცხოვრებისეულ მოვლენათა ოპტიმალურ აღქმას, შემეცნებასა და სათანადო გადაწყვეტილებათა მიღებას. საზოგადოების არსებობა კი ამის გარეშე წარმოუდგენელია. ადამიანს ისიც ესაჭიროება იცოდეს, თუ რას ხელავს, ისმენს და, ამდენად, რას ფიქრობს მისგან დამორებული სხვა ადამიანი. იგი სხვისი თვალთა და ყურით აღქმულ სამყაროსაც უნდა იცნობდეს.

სწორედ ამ მიზნით იგი თავისი გაჩენის დღიდანვე ქმნის მედიუმებს, რომლებიც თვალის, ყურისა და კომუნიკაციის სხვა ორგანოების მიერ აღქმისათვის არის განკუთვნილი. ამ მედიუმთა მეშვეობით ხდება სხვა ადამიანთა ხელთ არსებული ამა თუ იმ ინფორმაციის კოდირება, მისი გადაგანა საერთო საურთიერთო ენაზე და შემდეგ მისი დეკოდირება, ანუ ხელახალი აღქმა (წაკითხვა) უკვე სხვა ადამიანთა მიერ, სულ სხვა ვითარებასა და გარემოცვაში. ეს იგივე პროცესია, რაც რადიოსიგნალების გავრცელება და შემდეგ მისი აღქმა მსმენელთა მიერ რადიომიმღების საშუალებით, მეზღვაურების მიერ ერთმანეთთან აღმებით საუბარი, საგზაო ნიშნების „ლიალოგი“ მძღოლებთან და ა.შ. ამრიგად, ხელოვნური მედიუმების საშუალებით, ადამიანთა შორის პიროვნული ურთიერთობები საყოველთაო-მასობრივ ურთიერთობად შეიძლება გადაიქცეს. ამგვარ საქმიანობას ადამიანმა უხსოვარი დროიდან მიჰყო ხელი.

ბეჭდური წიგნი სინთეზური კომუნიკაციური მოვლენაა. მასში თავმოყრილია და განვითარებული მასობრივი კომუნიკაციის აღრინდელი საშუალებების მრავალი ნიშან-თვისება. ცხადია, ბევრი რამ მან ხელნაწერი წიგნებიდანაც ათვისა. უწინარეს ყოვლისა, ეს არის სივრცის ფორმაგირება, ოთხკუთხა გვერდში მისი მოქცევა და შემდეგ, პაპირუსისა და ეგრაგისაგან განსხვავებით, მისი დანომვრა. წიგნის გვერდი კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა. ამით ადამიანმა შეძლო, კომუნიკაციური მიზნით, სააბროვნო სივრცის სეგმენტირება, უსაზღვროსაგან ნაწილთა გამოყოფა და ამით ამ უსაზღვროს თავისებური ათვისება. ამასთანავე წიგნის გვერდი დამოუკიდებელი საგანია, ხოლო თვით წიგნი ამ საგანთა ერთობლიობაა. ამიგომ წინში ციფრმა და აღრინდელმა „გეომეტრიამ“ უკვე სხვაგვარი ფუნქციური დაგვირგთვა შეიძინა. გარკვეული გაგებით, უკვე ხელნაწერი წიგნის გვერდში სამყაროს მეცნიერული და ესთეტიკური ათვისების პრინციპები თავმოყრილი. იგი, ფაქტობრივად, იგივეა, რაც ჩარჩო მხატვრობისათვის, სცენა თეატრში, ტელევიზორის ეკრანი ან დისკლეი, რადგანაც ადამიანის ამ ხელოვნური ქმნილების საშუალებით ხდება მისი აზრის, შემოქმედებისა და ქცევის საჯარო პრეზენტაცია. მაგრამ ეს საჯაროობა ხელნაწერი წიგნისა ჯერ კიდევ არ არის მასობრივი ამცნების თანამედროვე გაგებით. ამგვარი მასობრიობისთვისება წიგნს მხოლოდ მოძრავმა ლიტერებმა შესძინეს. სწორედ ბეჭდური წიგნის დამსა-

ხურებაა ისიც, რომ მისი გვერდების ანალოგიური მართკუთხა სივრცე მალე ჟურნალებისა და გაზეთების კუთვნილებაც გახდა.

ასოთა და სტრიქონთა განლაგება ჯერ კიდევ ხელნაწერ წიგნში თითქმის მუდამ მკაცრად ემორჩილებოდა მართკუთხა სივრცის კანონებს. ეს თავისებურება სათავეს უფრო აღრეული ეპოქიდან იღებს. ათასობით წლის წინანდელი პიქტოგრაფიული ჩანაწერებისათვის ქვის, თიხის, თაბაშირის და ა. შ. გლუვი ბრტყელი ზედაპირი იყო გამოყენებული, რომელთაც არამხოლოდ ოთხკუთხა დაფის, არამედ მომრგვალო ფორმაც შეიძლებოდა ჰქონოდათ. მართკუთხა „გვერდი“ ამ დროს კიდევ საბოლოოდ არ იყო დამკვიდრებული. ახალი საწერი მასალის (ტყავი, პაპირუსი, ქალაღი) გაჩენამ თანდათანობით წარმოაჩინა მართკუთხა სივრცის კომუნიკაციური უპირატესობა, უწინარეს ყოვლისა კი, მისი ეკონომიურობა და მოხერხებულობა, რასაც შემდეგ წიგნში მისი ესთეტიკური ათვისებაც მოჰყვა. როგორი განლაგებისაც არ უნდა ყოფილიყო ტექსტი, ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური, იგი მუდამ უფრო ეგეოდა მართკუთხედში, უფრო მოხერხებული იყო გამოსაყენებლად. მეტყველების ბუნებრივი ლინეარულობა თავიდანვე უფრო მიესადაგა ამგვარ სივრცეს. ხელნაწერი წიგნის სტრიქონთა განლაგება გვერდში, მათი რაოდენობა და ასოთა მოხაზულობის „ინდივიდუალობა“ ბეჭდურ გამოცემებში უკვე სტანდარტული და უნიფიცირებული გახდა. ამას მოჰყვა გვერდის სივრცის სრული და ოპტიმალური ათვისება, მართკუთხედში დარჩენილი ცარიელი სივრცის (გვერდის ე.წ. „მინდვრები“) კომუნიკაციური და ესთეტიკური დანიშნულების გამოკვეთა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წიგნის გვერდის, ტექსტისა და „მინდვრთა“ ზომების ურთიერმიმართებას, ჯერ კიდევ ბეჭდურ გამოცემებამდე, ახასიათებდა პროპორციულობა. ოსტაგი დამწერლები ამ პროპორციათა დასადგენად მათემატიკას მიმართავდნენ და თავიანთ მიგნებებს ტექსტისა და წიგნის გვერდის სიმეტრიაში, თურმე საილუმლოდაც კი ინახავდნენ. იან ჩიხოლმა ერთ-ერთი ასეთი „საილუმლო“ კანონი ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ აღმოაჩინა. მან მრავალი ძველი ხელნაწერის გამოძვით დაადგინა, რომ წიგნში „ტექსტის სიმალე ქალაღის (მართკუთხა სივრცის - რ.ს.) განის გოლია, ხოლო თვით ქალაღის განისა და სივრცის შეფარდება 2:3 უდრის. ქალაღის განის ერთი მეცხრედი შიდა მინდვრს უკა-

ვია, ორი მეცხრედი გარეს. გვერდის ზედა მინდორი ქალაქის სიგრძის ერთ მეცხრედს შეესაბამება, ხოლო ქვედა ორ მეცხრედს. გექსტისა და ქალაქის ზომები ურთიერთპროპორციულია.” (3, 65). ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთი გადაშვრი, გვერდის ელემენტთა პროპორციის განსაზღვრისას ე.წ. ოქროს კვეთის კანონებს იცავდა. გამოიყენებოდა სხვაგვარი სიმეტრიებიც და ა.შ. ასე რომ, სიმეტრია-ასიმეტრიის კანონების დაცვა, ანუ ფურცლის, ნაბეჭდი გექსტისა და ცარიელი მინდორების ზომათა ურთიერთმიმართება თავიდანვე იქცა წიგნის კომუნიკაბელობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად.

ბუნებრივია, თანამედროვე წიგნი ყოველთვის არ ემორჩილება ამგვარ კანონებს, მაგრამ ცხადია ის, რომ წიგნის გვერდი – მართკუთხა სივრცე – კომუნიკაციურად ორგანიზებული მთლიანობაა. იგი გარკვეულ პრინციპთა ურთიერთმიმართებითი სისტემაა, ხოლო თვით წიგნი ამ სისტემათა მთლიანობაა. იმავე ავტორის თქმით, „ჭარმონია ფურცელისა და ნაბეჭდი გვერდის ზომებს შორის მათი პროპორციების ერთგვაროვნობისაგან წარმოიშობა. გვერდში ნაბეჭდი გექსტის განლაგებისა და ქალაქის ფორმაგის მჭიდრო დაკავშირებას თუ შეეძლებოდა, მაშინ მინდორთა ურთიერთმიმართება ფურცლის ფორმაგისა და კონსტრუქციის ფუნქციად გადაიქცევა და ორივე მათგანისაგან განუყოფელი აღმოჩნდება. შესაბამისად, მინდორთა პროპორციული მიმართებები არ განსაზღვრავენ წიგნის გვერდის ფორმირებას, ისინი მხოლოდ ფურცლის ფორმაგისა და ფორმაწარმოქმნელი კანონებისაგან ყალიბდებიან.” (3, 64).

წიგნის გვერდის ფორმაწარმოქმნელი კანონების ჩამოყალიბებაში მისი სხვა ელემენტებიც მონაწილეობენ. ესაა შრიფტი, მისი გიჟი და მოხაზულობა, მკაფიო და მუქი ფერი, დახრილობა, გრაფიკული ელემენტები, ცალკეული ელემენტების დაშორიშორება, ღიბინი, ქალაქის, საღებავის თავისებურება და სხვ. ყველა მათგანი შინაარსობრივი და, ამდენად, კომუნიკაციური დაგვირთვის მქონეა. ამ ელემენტთაგან ბევრი ისევე და ისევე ხელნაწერი წიგნების კუთვნილებაა, მაგრამ, როგორც ვთქვით, მათი უნიფიცირება და გირაჟირების მიზნებისათვის გამოყენება მხოლოდ ბეჭდურმა გამოცემამ შეძლო.

ამგვარად შექმნილი წიგნი ცოცხალი ფუნქციონირებადი სისტემაა, ოღონდ, ცხადია, იმ მომენტებიდან, როდესაც მას ადამიანი ხელში აიღებს

და კითხვას დაიწყებს. გამოყენებულ ნიშანთა სისტემა ვიზუალურია. წიგნი ჯერ საგანია, რომელსაც ვხედავთ, ხოლო შემდეგ „კომუნიკაციური ფაქტი“, რომელიც ავრცელებს სიგნალს, გაგყობინებს, კონტაქტს ამყარებს. (2, 60) როგორც ვთქვით, პირველ შემთხვევაში იგი საგანია, ნივთია, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნაწარმოები. მაგრამ წიგნი, როგორც ნივთი, თავის თავში შეიცავს ისეთ თვისებებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია მისი, როგორც ნაწარმოების წარმოდგენა. მაკლუჰანის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, წიგნი პირველი „სასწავლო მანქანაა“ (1,174), ოღონდ, ცხადია, მას ვერ აგარებს თუ საჭეს არ მიუჯექი. ამრიგად, წიგნი, როგორც საგანი, მისი ფორმისა (მხედველობაში გვაქვს ფიზიკური, ნივთიერი ფორმა და არა ნაწარმოების ფორმა) და შინაარსის (ფორმის მექანიზმთა დანიშნულება, მათი კომუნიკაციური შესაძლებლობები) ბუნებრივი მთლიანობაა. მისი ფორმობრივი მექანიზმები თავიდანვე ისე შეიქმნა, რომ საშუალებას იძლეოდა წარმოეჩინა ნაწარმოები მთლიანობაში, კომუნიკაციის პროცესში, ხოლო თვით ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის წარმოჩენა სწორედ ისეთ კომუნიკაციურ მექანიზმებს საჭიროებდნენ, როგორც წიგნს აქვს. ანალოგია რომ მოვიხმოთ, ეს იგივეა, რაც მაგარებლისათვის ღიანდაგი. ამიგომ წიგნი, როგორც საგანი, უგყვია, მღუმარება. მისი „ახმოვანება“ მხოლოდ მისივე კომუნიკაციური მექანიზმების ამოქმედებით არის შესაძლებელი, რასაც ადამიანის მიერ წიგნის წაკითხვა ჰქვია.

ადამიანის უმთავრესი საკომუნიკაციო ორგანოები თვალი და ყური. წიგნი, როგორც ვიზუალური საგანი, უპირატესად, თვალისადამია მიმართული. თვალი იწყებს წიგნში მოქცეული აზრის ათვისებას, გაცნობიერებასა და რეალიზაციას. ეს ადამიანში წიგნის საშუალებით გამოწვეული „შინაგანი მეგყველების“ პროცესია. კვლავ ანალოგია მოვიხმოთ, ეს იგივეა, რომ დაინახო ადამიანისათვის უჩვეულო რაიმე მოვლენა, გააცნობიერო მისი მნიშვნელობა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო. ყური ამ პროცესში შეღარებით პასიურად მონაწილეობს. იგი აქტიურად მაშინ ჩაერთვება, როცა ადამიანი თავისთვის ხმამაღლა კითხულობს ან შინაგანად „უსმენს“ ჩუმად წაკითხულს. რასაკვირველია, წიგნი შეიძლება ხმამაღლა წაუკითხო აუდიტორიასაც (მაგ.: მოწაფეებს), ეს მისი მნიშვნელოვანი ღირსებაა. მაგრამ მისი უმთავრესი უპირატესობა მაინც ის არის, რომ იგი პიროვნული, ინდივიდუალური კითხვისათვის არის განკუთ-



ენილი. ამ თვალთახედვით, წიგნი მეგწილად ინდივიდუალური კომუნიკაციური „მექანიზმი“. მისი გვერდების მართკუთხა სივრცე ერთდროულად რამდენიმე ადამიანის თვალისთვის არ არის გამიზნული. იგი ინდივიდებად ანაწილებს მილიონობით ადამიანისაგან შემდგარ საზოგადოებას, რათა შემდეგ, შექმნილი ინფორმაციის, ცოდნის, განათლების საშუალებით, კვლავ ერთ მთელად შეკრას ისინი. ეს კი ის მთლიანობაა, რომელიც მუდამ გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო ნაწილთა ჯამი. ასეთი მთლიანობა ქმნის ახალ სოციალურ კონტექსტებს და, საბოლოოდ, ახალ წიგნებსაც. „პიროვნებიდან საზოგადოებაამდე – საზოგადოებიდან პიროვნებაამდე“ – ასეთია წიგნის, როგორც საგნის, კომუნიკაციური გზა თავისი ფუნქციონირების პროცესში.

ასეთი საგნობრივი სპეციფიკის გამო, წიგნი უპირისპირდება ბრბოს ცნობიერებას. ისიც ცნობილია, რომ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში იგი მოგჯერ ხელსაც უწყობს ამგვარი ცნობიერების ჩამოყალიბებას, ამკვიდრებს მცდარ იდეოლოგიებს, ყალბ კულტურულ ღირებულებებს და ა. შ. მაგრამ ეს არ არის მისი შინაგანი ბუნების ჭეშმარიტი გამოვლენა. წიგნი ცოდნის გავრცელების საშუალებაა, ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმი. ამიტომ მისი ბრალი არ არის, თუ ამ მექანიზმით „არცოდნასაც“ გაავრცელებს. ამ ვითარებაში წიგნი ჭურჭელს წააგავს, რომელშიც თავანკარა ღვინის ნაცვლად, შეიძლება მისი სუროგატიც ჩაასხა. რა ბრალი მიუძღვის ამ შემთხვევაში ჭურჭელს? ასევე, ატომური ენერჯის აღმოჩენა ადამიანური გენიის ერთ-ერთი უდიდესი გამოვლინებაა, მაგრამ განა ამის გამო მოხდა ხიროსიმისა და ნაგასაკის განადგურება? ცხადია, მე არ მინდა გავაფეტიშო წიგნი, მოვწყვიტო იგი რეალურ ცხოვრებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ადამიანი თავისი გონების შესაძლებლობებს ყოველთვის როდი იყენებს სიკეთის დასამკვიდრებლად. წიგნი, როგორც საგანი, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ აზრს. მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვით, თავისი შინაგანი ბუნებით წიგნის მექანიზმი ადამიანის თავისუფალი აზრის განვითარებისა და პროგნოსისთვის არის შექმნილი. თუმცა, სამწუხაროდ, ადამიანი მოგჯერ თვით ამუხრუჭებს მისი ამ შესაძლებლობების განვითარებას. ამიტომ წიგნი მუდამ წინააღმდეგობობასა და

ქმნალობაშია, მას კრძალავენ და ბნელ თაროებზე ამწყვედვენ, მაგრამ იგი მაინც გამოდის დღის სინათლეზე, მას წვავენ და იგი ფერფლიდან აღდგება. იგი მუდამ ჩართულია სამყაროს შემეცნებისა და კეთილისა და ბოროტის მარადიული დაპირისპირების პროცესში.

წიგნი, როგორც კომუნიკაციის ფაქტი, ადამიანის ფსიქიკაში იბადება, ხოლო როგორც საგანი, მის საწარმო-ტექნიკური მოღვაწეობის პროცესში. ამიტომ მან უდიდესი გავლენა მოახდინა საწარმოო კომუნიკაციის სფეროზეც. ამ ოთხკუთხა საგნის შესაქმნელად ინდუსტრიის ორი უზარმაზარი დარგი განვითარდა – პოლიგრაფიული და ქაღალდის მრეწველობა. წიგნი-ნივთი მაგერიალური წარმოების პირმოა, მარად განვითარებადი ტექნოლოგიების პროდუქტია. ამით მაგერიალური წარმოების სფეროში მან შექმნა უზარმაზარი სეგმენტი, რომლის დანიშნულება არის წიგნის, როგორც კომუნიკაციური ფაქტის, უზრუნველყოფა და მისი ოპტიმალური მომსახურება. ამ თვალსაწიერიდან, წიგნის წარმოება იმთავითვე სულიერი კულტურის სამსახურში ჩადგა და გუტენბერგის ეპოქაშივე ბუნებრივად დაამკვიდრა ჰუმანისტური სამოღვაწეო პრინციპი, რომლის მიხედვითაც ტექნიკური პროგრესის მიღწევები ორგანულად უნდა შერწყმოდა ადამიანის სულიერი განვითარების მოთხოვნილებებს. მე არ ვიცი მაგერიალური წარმოების სხვა დარგი, რომელსაც იმდენი რამ აქვს გაკეთებული კაცობრიობის სულიერი აღმავლობისათვის, რამდენიც წიგნის წარმოებამ გააკეთა. წიგნის წარმოების მიერ დამკვიდრებულ ამ პრინციპზე ვითარდება თანამედროვე ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებიც.

წიგნი-ნივთი, როგორც კომუნიკაციურ მექანიზმთა ერთობლიობა, თავის თავში მოიცავს კომუნიკაციის პროცესის შესაძლებლობას, იგი მკითხველებთან მარადიული ურთიერთობისათვის მზადყოფი საგანია.

ლიტერატურა:

1. McLuhan Marshall, Understanding Media, London, 1997.
2. Червинский М., Зберский Т., Система книги, Семиотика книги.- М., 1981.
3. Чихольд Ян, Облик книги.- М., 1980.



# წიგნი — ჩვენი სიყვარული



ნანა კანდელაკი,  
მწერალი

ნანა კანდელაკის სახელი ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია. მისი რომანები, მოთხრობები, ნოველები, პუბლიცისტური ნაწარმოებები დიდ ინტერესს იწვევს მკითხველებში. ქ-ნი ნანა ჩვენი ქურნალის არა მარტო თანამდგომი, ერთ-ერთი ავტორიცაა. მიმდინარე წელი მისი საიუბილეო წელია. მასზე და მის შემოქმედებაზე ბევრი ითქმება და დაიწერება; ჩვენ მხოლოდ გვინდა პირველებმა გულთბილად მივულოცოთ მას მისი დიდი დღესასწაული.

მკითხველებს ვთავაზობთ ნ. კანდელაკის საინტერესო მოსაზრებებს, რომლებშიც თავისი გულწრფელი გრძნობები და განცდები გამჟღავნებული.

კითხვა და წერა ძალიან პაგარას მასწავლეს მშობლებმა. რა თქმა უნდა, ვეცნობოდი ჩემი ასაკის შესაფერ ლიგერატურას: ბლაპრებს, ლექსებს, მერე თანდათან უფრო რთული შინაარსის წიგნების კითხვაზე გადავედი, ასე მხოლოდ მე არ ვიქცეოდი; წიგნი ჩემი თაობისათვის იყო არა მარტო ცოდნის წყარო, ყველაზე ძვირფასი საჩუქარიც.

იმ ომის დროს ჯარისკაცები და ოფიცრების უმრავლესობა გაბეთის ნაგლეჯში გახვეულ “მასორკას” ეწეოდა, მაგრამ სანამ იმ ნაგლეჯში თუთუნს გაახვევდნენ, აუცილებლად წაიკითხავდნენ, სულ უმნიშვნელო ამბავიც კი რომ არ გამოპაროდათ.

მერე უკვე სკოლაში სასკოლო პროგრამასთან ერთად ვკითხულობდით იმ დროს გახმაურებულ წიგნებს – პარმენ ღროიას “ჩაის”, სოფო მგელაძის “ლიანა ლორდიას”, კიულ ვერნის “80.000 კილომეტრი წყალქვეშ” და “კაპიტან გრანგის შვილებს”, ნიკო კეცხოველის “თოვლიან მთებში”, ნიკო ლორთქიფანიძის, დ. კლდიაშვილის და მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობებს, რუსი და ევროპელი მწერლების ნაწარმოებებს.

წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა და წაკითხვის შემდეგ უნდა გენახათ, რა კამათი იმართებოდა. იმ დროს სკოლებში ეწყობოდა ე.წ. გასამართლებები. ასე მოაწყო ქართული ენის მასწავლებელმა, ქალბატონმა კატო ბერიძემ ლიგერატურული გასამართლება “ხევისბერი გოჩას” პერსონაჟებისა. უკვე შემდეგ, უფროსკლასელებს ლიგერატურულ-თეატრალიზირებული კითხვა გექონდა ილია ჭავჭავაძის “განდევლის”, “ქართლის დედის”, აკ. წერეთლის “გამზრდელის”, შ. რუსთაველის “ვეფხისტყაოსნისა” – ბატონ ვანო გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც IX-X კლასებში ქართული ენის საგანს გვასწავლიდა მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, რომელიც მე დავამთავრე.

იმ დროს ახალგაზრდების მნებორივ ჩამოყალიბებასა და ლიგერატურული გემოვნების დახვეწაში დიდ როლს თამაშობდა მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რომლის რეპერტუარში იყო: “სურამის ციხე”, “კომბლე”, “გიქორი”, “შორეული გზით”, “რობინ ჰუდი” და სხვ.

სკოლაში მაშინ სხვა აუცილებელ საგნებთან

ერთად ხაგვა, სიმღერა და ცეკვები ისწავლებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ მომზადებას. მოსწავლეები კოლექტიურად ვესწრებოდით სპექტაკლებს მარჯანიშვილის და რუსთაველის სახელობის თეატრებში, ღვედილით ოპერაში, სგალიონზე, კონცერტებზე. და ყველაფერი ერთად განათლებულ, მნებორივად ამაღლებულ, სამშობლოსადმი ერთგულებით, ერთმანეთისადმი სიყვარულით, უფროსებისადმი პატივისცემით აღსავსე მომავალ მოქალაქეებად გვზრდობდა.

რა თქმა უნდა, გლევიშია – ეს ადამიანის გენის უდიდესი მონაპოვარია. ამ პაგარა ყუთმა ცისფერი ეკრანის მეოხებით, რა არ გვანახა – სხვადასხვა ქვეყნები, მათი ხალხის ცხოვრება, ადამი-წესები, ბუნება. რამდენ მსახიობსა და მათ ხელოვნებას გაგვაცნო, რომელთა მანამდე მხოლოდ სახელები გაგვეგონა, რა დადგმები არ ვიხილეთ, რამდენ ინფორმაციას გაგვეცანიო... მაღლობის მეტი რა გვეთქმის.

ოღონდაც დაიკარგა სიახლოვე ადამიანებს შორის. ახლობლები თუ მეგობრები ახლა მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ვხვდებით, უმეტესად მწუხარების საყოველთაო გამიარების დროს. თითქოს დრო შემოკლდა. ვეღარ იცლიან კინოში, თეატრში წასასვლელად. რა თქმა უნდა, ჩვენი ღუჭიერი დროც არის აქ ხელშემშლელი. კაცი ლუკმა-პურზე რომ ფიქრობს და თვეობით ელოდება ხელფასს, ცხადია, ის ვერ გამოინახავს სახსარს თეატრსა და კინოში წასასვლელად. მის შინ და თუ დენი არის, უყურებს გლევიზორს. წიგნის კითხვა “მოლაში აღარ არისო”, - ამბობს ობივატელი.

რას ნიშნავს “მოლაში არ არის”?

განა რას შეუძლია შეცვალოს წიგნი? ვერავითარი ფილმი, თუნდაც გენიალური რეჟისორის დადგმული, ვერ აღაგზნებს ადამიანს ისე, როგორც მაგალითად, ილია ჭავჭავაძის “განდევლის” პირველი სტრიქონები:

“სადაც დიდებულ მთასა მყინვარსა  
ორბნი, არწივნი ვერ შეჭებიაან,  
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,



მზისგან აროდეს არა დნებიან,  
სად უდაბურსა მას მეუღროებას  
კაცთ ქრიაშული ვერ შესწვდენია,  
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,  
ყინულთ და ქართა მხოლოდ ჰშითენია,  
უწინდელ დროში დეთისა მოსავთა  
გამოუქვებავთ მუნ მონასტერი...” და ა.შ.

ან კიდევ გაიხსენეთ ლალო ასათიანის  
“სალალობო”-ს სტრიქონები:

“ლაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,  
გასარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს,  
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ბეცას,  
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს.” – და ა.შ.

თუნდაც “კაცია ადამიანი”, “ჯაყოს ხიზნები”,  
“თავადის ასული მაია”, “გიორგი რუსი”, “დიდოსტაგის  
მარჯვენს”, “სვანური ნოველები” და რა ჩამოთვლის  
ჩვენი ლიტერატურის მთელ საგანძურს, - თუ არ  
წაიკითხე ეს ნაწარმოებები, შენი სულის სიმები რომ  
შეარხიოს, შენი შეგნება თუ მათი წყალობით არ შეიძ-  
რა, სხვა რით გინდა განიცადო სულის ამალღება? ამას  
ვერავითარი სხვა ძალა ვერ შეედრება. წიგნს ჩვენი  
სულიერი აღმზრდისათვის უდიდესი შემოქმედებითი  
ძალა გააჩნია. ის აფორიზმები, რომლებიც ოქროს  
ბოდივითაა მხატვრულ ნაწარმოებში ჩადებული და  
რომლებიც ჩვენს ცნობიერებას თან სდევს სკოლის  
მერხიდან მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე, არა-  
სოდეს დაუკარგავთ და არც არასოდეს დაკარგავენ თა-  
ვის მნიშვნელობას.

“არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა  
ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა  
იმრუნვოს”

“სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახე-  
ლოვანი” ... – მუდამ წინ უნდა გვიძოდეს ცხოვრებაში  
ეს სიგყვები, აღარაფერს ვამბობ “ათ მცნებაზე”,  
რომელიც, ჩემი აზრით, ბავშვობიდან უნდა ასწავლოს  
შვილს მშობელმა.

დღეს რაც დაგვაგყდა – ერთმანეთის გაუგან-  
ლობა, უპატივცემლობა, ყოყლოჩინობა და თავის  
მოწონება “მეთი”, - სიკეთეს არ მოგვიტანს. ჩვენ  
მცირერიცხოვანი ერი ვართ და ისეთ გარემოცვაში  
ვიმყოფებით, მუდამ უნდა გვახსოვდეს: მხოლოდ  
ერთად ყოფნა, ფიქრი იმაზე, რით ვარგოთ ჩვენს ერს,  
ქვეყანას. მხოლოდ თანადგომა, განათლება, მაღალი  
ხელოვნება, მწერლობა, მეცნიერება, სპორტი, - აი,  
ხსნის გზა! მხოლოდ ამით შეუძლია მრეწველობის,  
სკოლის, მედიცინის, კულტურის, საბიბლიოთეკო  
საქმის აღორძინება, ქალაქისა და სოფლის აყვავება.  
თუ გვინდა ძლიერი სახელმწიფო ვიყოთ და იმ  
ქვეყნებს გავუგოლდეთ, რომლებსაც დროთა  
ვითარებამ, შემართებამ, შრომამ მოუგანა  
დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მონაპოვრის  
დაცვა და შენარჩუნება უნდა შევძლოთ. ხელიდან  
გაშვება ძალზე ადვილია. მერე მისი დაბრუნებაა  
ძნელი. ყოველივე ამის განხორციელებაში წიგნზე  
უფრო დიდი თანამდგომი არ გვეგულება, ის არის

დერძი, რომლის გარშემო გრიალებს ერის სიბრძნე,  
ცოდნა და გამოცდილება. წიგნი, წიგნი დაგვეხმარება  
ჩავიხედოთ ყველა დროის ისტორიაში, რომ არ  
გავიმეოროთ წარსულის შემცდომები, რაც დრომ  
უძველეს დიდ ერებსაც კი არ აპაგია და უღმობლად  
აღგავა პირისაგან მიწისა.

გავუფრთხილდეთ წიგნს, ცოდნის წყაროს,  
ადამიანის გონებისა და გენიის საგანძურს, მის მხატ-  
ვრულ ღირსებას, ვით დიდ სიყვარულს, რომელიც სა-  
ფუძველია ადამიანთა ურთიერთობისა, ამალღებული  
გრძნობისა და ზნეობის გამოხატვისა.

წიგნის გმირების ცხოვრება, მათი საქციელი  
კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს გონებაში მცნებას:

არა იმრუშო...  
არა იპარო...  
არა კაც ჰკლა...  
გიყვარდეს მოყვასი შენი!

ღიას, წიგნი ჩვენი სიყვარულია, ადამიანის  
გონებისა და შრომის შედეგად შექმნილი ოქროს ბოდი,  
რომელიც ისევ და ისევ ადამიანის სასიკეთოდ, მისი  
ცოდნის გასაღრმავებლად იქმნებოდა და იქმნება.

წიგნი ჩვენი ცოდნის წყაროა, სულიერი და  
ზნეობრივი ამალღების გზის მაჩვენებელი. ასე იყო,  
დღესაც ასეა და მომავალშიც ასე იქნება!

მაგრამ ადამიანს არა აქვს საშუალება, მისთვის  
საჭირო ყველა წიგნი იქონიოს. ამაზე უძველეს დროი-  
დან ფიქრობდა მოაზროვნე კაცობრიობა და წიგნებს  
მიუხინეს სათანადო აღგილი, სადაც ადამიანი მისთვის  
საჭირო სასურველ წიგნს იპოვიდა.

ეს ბიბლიოთეკაა, ხოლო მისი ერთგული მსახური  
და მცველი – ბიბლიოთეკარი.

ბიბლიოთეკარი ის ადამიანია, რომელიც თქვენი  
ასაკის, ინტელექტის, ინტერესისა თუ მოთხოვნილების  
მიხედვით შეგარჩევს წიგნს, დაგეხმარება შენთვის  
ჭეშმარიტად საჭირო წიგნის გამოვლენაში. იგი ვასაუბ-  
რებისთანავე აიღებს ალღოს – ვინა ხარ, რა წიგნები  
არის შენი სულიერი მასაზრდოველები და ცდილობს  
მოგაწოდოს ის, რაც უთუოდ გამოგადგება, თუნდაც  
პაგარა სარგებლობას მაინც მოგიტანს.

ბიბლიოთეკისათვის ჩვეული ამბავი იყო და არის  
შეხვედრები შემოქმედ ადამიანებთან, მეცნიერებთან,  
რომლებთანაც ვასაუბრება მკითხველებს აინტერე-  
სებთ, შეხვედრები, საუბრები კიდევ უფრო გაუღვიძებს  
მკითხველს ახალი წიგნების გაცნობის, წაკითხვის  
სურვილს, და ბიბლიოთეკარის დანიშნულებაც ხომ ეს  
არის.

დღეს ბიბლიოთეკა ყველგან უნდა იყოს. დიდ  
ქალაქებშიც და ცენტრიდან მოშორებულ სოფლებშიც,  
სასწავლო დაწესებულებებში და საწარმოებში. ბიბ-  
ლიოთეკა განათლების ის ერთ-ერთი დიდი ორგანიზმი  
და კერაა, ადამიანებისათვის წიგნის მეშვეობით სიკე-  
თეს რომ თესავს.

წიგნი ჩვენი სიყვარულია!  
სიყვარულს კი გაფრთხილება უნდა, ისევ და ისევ,  
ჩვენდა სასიკეთოდ.

# პირველი ქართველი საზოგადოებრივი საქმის მოღვაწე

(გამოკლება)

XIX საუკუნის 40-იანი წლებისათვის საზოგადოებრივი-ეკონომიკური ცხოვრების განვითარებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ევროპული განათლების მქონე პირთა მომრავლებისათვის. თბილისშიც მაშინვე იგრძნო ეპოქის შესაბამისი ისეთი ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობა, როგორც საჯარო ბიბლიოთეკა.

როგორც დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავს, ის 1840 წლიდან შესდგომია კერძო ბიბლიოთეკის შექმნას შემდგომში მისი საზოგადოებრივი ბიბლიოთეკად გარდაქმნის მიზნით (1,167), მაგრამ 1842 წლამდე რაიმე ღირსეული ამის დასადასტურებლად არ არსებობს; მხოლოდ 1842 წლის სექტემბერში, როდესაც რუსეთიდან ბრუნდება ზაქარია მიხეილის ძე ფალავანდიშვილი, ბიბლიოთეკის გახსნის იდეისათვის ხორცშესხმა რეალურად შესაძლებელ საქმედ იქცა. ახალგაზრდა, პეტერბურგის უნივერსიტეტამთავრებული, ენერგიით აღსავსე ზაქარია აქტიურად იწყებს მოღვაწეობას კერძო ბიბლიოთეკის დასაარსებლად.

მარი ბროსესადმი მიწერილ წერილებს კარგად შემოუნახავს ზაქარიას თავგამოღებული მოღვაწეობის ამბები ამ მიმართულებით. სწორედ ამ საქმიანობამ განსაკუთრებულად დაუახლოვა ერთმანეთს საქვეყნოდ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეობისა და კავკასიათმცოდნეობის ერთ-ერთი პიონერთაგანი მარი ბროსე და საესეებით ახალგაზრდა მამულიშვილი ზაქარია ფალავანდიშვილი. ისინი პირველად 1838 წელს მოსკოვში გაეცნენ ერთმანეთს, სადაც ზაქარია თავდაპირველად სწავლობდა უნივერსიტეტში, ხოლო ბროსე მივიღებოდა იყო იქ ჩასული პეტერბურგიდან. აქედან დაიწყო მათი თანამშრომლობა.

დიდი მეცნიერის თხოვნით, ზაქარია დამატებით ცნობებს აგროვებდა ვახუშტის შესახებ, როდესაც ბროსე ფრანგულ ენაზე აპირებდა გამოეცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს სამეფოს აღწერა“. მინაძღვენი წიგნზე ბროსესაგან წარწერილი სიტყვები ნათლად ადასტურებს მის ღრმა პატივისცემას მ. ფალავანდიშვილისადმი (2, 130). მათ შორის აქტიური მიმოწერა გაჩაღდა, მაგრამ ზაქარიას ეს არ აკმაყოფილებდა – მას ცოცხალი ურთიერთობა სწავდა. ერთ-ერთ წერილში ის წუხილს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ბროსემ რაღაც მიზეზების გამო 2-3 წლით გადადო საქართველოში გამგზავრება. ზაქარიას იმედი ჰქონდა, რომ საქართველოში გამგზავრებული ბროსე მოსკოვში გამოვლისას მას პირადად შეხვდებოდა, მაგრამ არ გაუმართლდა. ის უფროს მეგობარს პირდება, თუკი ძალიან დაგვიანდება მისი გამგზავრება საქართველოში, როგორც კი დახურავს უნივერსიტეტის კურსს,

მასთან სამუშაოდ პეტერბურგში გადავა და სწავლასაც იქ გააგრძელებს (2, 133).

ზაქარია მართლაც გადავიდა დედაქალაქში სასწავლად, რამაც საშუალება მისცა, კიდევ უფრო ახლო ურთიერთობა დაემყარებინა დიდ მეცნიერთან.

ბროსეს ძალიან მოსწონდა ზაქარიას უშუალო და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გამოვლენა, საქართველოში დაბრუნებული ზაქარია მწვავედ განიცდის მასთან პირად ურთიერთობის ნაკლებობას. იგი გულწრფელად ეპატიება მას საქართველოში. ერთ-ერთ წერილში ეკითხება, ხომ არ ისურვებდა თბილისში მუშაობას. სთავაზობს, ჩამოვიდეს ათიოდე წლით ოჯახით საკუთარი სიამოვნების, მეცნიერებისათვის და ქვეყნის გასაცნობად, იმ ქვეყნისა, რომელსაც მარი ბროსემ მთელი თავისი ცხოვრება უძღვნა (2, 138).

ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას ბროსე თხოვს ზაქარიას, მიაწოდოს ინფორმაცია თბილისის ბიბლიოთეკების კოლექციების შესახებ. როგორც ვიცით, ამ დროს თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა არ არის, მხოლოდ სასწავლებლების ბიბლიოთეკებზე თუ შეიძლება ლაპარაკი. უეჭველად ეს იგულისხმება, როცა ზაქარია მარი ბროსეს აცხადებდა: „ჩვენს ბიბლიოთეკებში არ არის არც ერთი წიგნი, რომელიც თქვენთვის ნაცნობი არ იყოს“ (2, 137). როგორც ჩანს, ზაქარია ძალიან კარგად იცნობდა თბილისში დაცულ კოლექციებს და იმ მოთხოვნებებს, რაც მეცნიერს შეიძლება ჰქონოდა ამ მხრივ.

გამორიცხული არ არის, რომ ქართველ ინტელიგენციას ამ დროისათვის უკვე გააჩნდა სურვილი ბიბლიოთეკის დაარსებისა თუნდაც იმიტომ, რომ თბილისში ემოღვაწათ ისეთ სახელოვან მეცნიერებს, როგორც მარი ბროსე იყო. ვინ იცის, მარი ბროსეს თავშეკავება თბილისში რამდენიმე წლით დასახლებისა, სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ აქ არ იყო რაიმე მეგობარს კლებად მნიშვნელოვანი წიგნსაცავი და საჭირო ლიგერაგურა.

ერთხელ, სამსახურეთორივი მოხსენების დროს, კერძო ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთმა ინიციატორმა დ. ყიფიანმა მთავარმართებელ ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინს აცნობა ინტელიგენციის ერთ-ერთი ნაწილის სურვილი – დაეარსებინათ კერძო ბიბლიოთეკა (1,105).

მიიღო რა მხარდაჭერის პირობა, დ. ყიფიანმა 1842 წ. 22 სექტემბერს მთავარმართებელს კერძო ბიბლიოთეკის წესები წარუდგინა, რომელიც საინიციატივო ჯგუფის მიერ იყო შედგენილი. უდავოდ, ამ ჯგუფში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა პეტერბურგიდან

ახალდაბრუნებული მაქარიაც. „წესებზე“ დართულ თანმხლებ გეჟსტში ნათქვამია: „В Тифлисе нет публичной библиотеки. Молодые люди из Грузинского дворянства, получившие первоначальное образование, терпят большой недостаток в средствах следить за ходом науки и отечественной литературы. Чтобы устранить по возможности этот недостаток, некоторые изъявляют готовность уделять по 30 р. с. из своих средств для выписывания книг за счёт сложенной суммы и для основания таким образом частной библиотеки, из которой может образоваться со временем и общественная”. (3, №207)

ზოგი მკვლევარის ვარაუდით, თანდაბრუნებულ გეჟსტში მოკრძალებულად ნათქვამი ფრაზა იმაზე, რომ ამ ბიბლიოთეკის ფუნქციები მხოლოდ წმინდა საბიბლიოთეკო საქმიანობით შემოიზღუდებოდა, თითქოს იყო ერთგვარი ფანდი, ხელისუფლება არ დაეჭვებულებოდა რაიმე მნიშვნელოვანი ეროვნული კულტურული ცენტრის შექმნაზე, ჯერ კიდევ სომ ცოცხლად იყო შემონახული 1832 წლის შეთქმულების ამბები. საერთოდ, ისტორიას არ შემოუნახავს საკმაო ცნობები იმის შესახებ, თუ რა კულტურულ-საგანმანათლებლო ან პოლიტიკური საქმიანობა მიმდინარეობდა ამ ბიბლიოთეკაში. ისიც კი ძნელი დასადგენია, როგორ მოღვაწეობდა იგი. სამწუხაროდ, არ არსებობს არავითარი მუსიკის ანგარიშები მუშაობის შესახებ. ეგეობა, ასეთი რამ არ კეთდებოდა, მით უმეტეს, არსებობის ბოლო 2-3 წელში, როდესაც საამხანაგო ბიბლიოთეკა დაქვეითების გზას იყო დამდგარი.

ბიბლიოთეკის საერთო სახის ჩვენებისათვის მრავალმხრივია საინტერესო მისი წესები. იგი სულ 18 პუნქტისაგან შედგება და ძირითადად მისი დაფინანსების, სარგებლობისა და პასუხისმგებლობის საკითხებს ეხება. (4).

აქ გვინდა ერთ გერმინოლოგიურ მომენტს შევხებით: როგორც ვიცით, რუსული Правила ქართულად წესებს ნიშნავს. ქართველ სპეციალისტთა გამოკვლევებში ხან „წესებს“ ვხვდებით, ხან „წესდებას“. ეს ერთი და იგივე არ არის და საჭიროა ერთიანი ტერმინის გამოყენება.

„წესების“ თანახმად, კერძო ბიბლიოთეკის დაკომპლექტებას სამი წევრისაგან შემდგარი ჯგუფი აწარმოებს. ფაქტობრივად, ისინი ითვლებიან ხელმძღვანელებადაც. ამას ადასტურებს მაქარიაც ფალავანდიშვილის წერილი მარი ბროსესადმი, რომელშიც ამბობს, რომ ის არის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. ალბათ ამიტომაც მიმართავს ასე თამამად თავის უფროს მეგობარს: „Та благожелательность, которую я всегда встречал с Вашей стороны, позволяет мне осмелиться обратиться к Вам со следующей просьбой: обратитесь, пожалуйста, к книготорговцу

Ольхину, Юнгенмейстеру или Полевому, возможно, они сделают скидку. Потом дайте им каталог, пусть укажут цены с учетом почтовых расходов, а потом заплатите... Мы предполагаем, что у нас соберется 1000 р.с., пусть пошлют на моё имя ... Мы бы хотели иметь все Ваши труды”. (2, АА.134).

პეგერბურგიდან მართლაც მიიღეს ლიგერბურა 1180 მანეთისა ვერცხლით, მათ შორის მარი ბროსეს ნაჩუქარი წიგნებიც, ოღონდ იმ პირობით, რომ ბიბლიოთეკის გაუქმების შემთხვევაში ისინი მაქარიაც ფალავანდიშვილს დარჩებოდა საკუთრებად. (5, 134)

მაქარიაც დაუყოვნებლივ პასუხობს სათაყვანო მეცნიერს სამადლობელი სიგყვებით და თან დასძენს: თქვენ ბევრი გააკეთეთ საქართველოსთვის, რომელმაც არაფერი გააკეთა თქვენთვისო. ამასთან აცხადებს, რომ საქართველო უნდა იცნობდეს თქვენს ნაშრომებს და თქვენს ღვაწლს აღიარებდესო. მას მიაჩნია, რომ ამის გაკეთება ყველაზე უკეთ ბიბლიოთეკას შეუძლია. (5, 134)

მიმოწერიდან ჩანს, რა კარგად იცნობდა მაქარიაც პეგერბურგის წიგნის ბაზარს, როგორ პროფესიონალურად უდგებოდა დაკომპლექტების საქმეს, როგორ დიდ მზრუნველობას იჩენდა ფონდის ჩამოყალიბებაზე. ჩვენი წარმოდგენით, ბიბლიოთეკის დაკომპლექტების პრინციპები საწყის ეტაპზე მაქარიაც ფალავანდიშვილს უნდა დაემუშაებინა, რომელსაც მარი ბროსე უწევდა კონსულტაციას. ხსენებულ წერილებში მაქარიაც გამოთქვამს სურვილს, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იაფყდიან წიგნებს, რაც გაზრდიდა ბიბლიოთეკის კოლექციას.

როგორც ჩანს, მაქარიაც ხაზინადარიც ყოფილა პირველ ხანებში. ბოლოს კი – 1843 წლიდან ეს საქმიანობა დიმიტრი ყიფიანს უკისრია, რომელიც ამავე დროს ბიბლიოთეკარის მოვალეობასაც ასრულებდა. ბიბლიოთეკა მის სახლში იყო მოთავსებული ყოფილ გრაფის ქუჩაზე, რისთვისაც ის წელიწადში 360 მანეთს ვერცხლით იღებდა. წევრებს წელიწადში 30 მანეთი ვერცხლით უნდა შეეგანათ. ბიბლიოთეკა მუშაობდა ყოველდღე 15 საათიდან 18 საათამდე, გარდა კვირისა და საღმისისა და აღმოსავლური დღეებისა.

როგორც ჩანს ჩანაწერებიდან, საგადასახადო შენაგანების საქმე არ უნდა ყოფილიყო კარგად მოგვარებული, რასაც გვაფიქრებინებს შეგანილი თანხის არათანაბრობა. ერთგვარ შეუსაბამობას ვაწყლებით ბიბლიოთეკის წევრების საკითხთან დაკავშირებითაც. წესების თანახმად, „რაოდენობა წევრებისა ერთი წლის მანძილზე არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათს“ (პუნქტი 1). დოკუმენტურად დასტურდება, რომ დამფუძნებელი ყოფილა 21 კაცი (დ. ყიფიანის არქივის მიხედვით), კოტე ყიფიანი 30 კაცს ასახელებს. (6, 15224). საქმე იმაშია, რომ კ. ყიფიანი დამფუძნებელთა

შორის იხსენიებს იმ პირებსაც, რომლებსაც დამატებით აქვთ გამოცხადებული სურვილი წვერებად გახდომისა. (7, 12). სინამდვილეში ეს ის ხალხია, რომლებსაც 1842 წელს ხელი აქვთ მოწერილი კერძო ბიბლიოთეკის დაარსების თხოვნაზე. შემოსავალ-გასავლის დაეთარში ისინი არ არიან მოხსენებულნი როგორც 30 მანეთის შემომგანნი. მკვლევართათვის ძირითადად ცნობილია ის ადამიანები, რომლებიც კერძო ბიბლიოთეკის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი, თუმცა აქაც შეინიშნება ერთგვარი უზუსტობა, რის გამოც ეს საკითხი არ შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს. (8, 211).

შედარებით უფრო ნათელია სურათი წიგნების ოდენობასა და შემადგენლობასთან დაკავშირებით. შემორჩენილია ცნობები, რომლებიც საკმაოდ კარგ წარმოდგენას გვაძლევს ამის შესახებ, თუმცა არასრულყოფილს. მაგალითად, 1848 წლის 13 ოქტომბერს „გვილისის საჯარო ბიბლიოთეკის“ დირექტორის გაბრიელ ალექსის ძე გოკარევის მიერ მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის ს.ვ. საფონოვისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ დ.ყიფიანმა საჯარო ბიბლიოთეკას შეუერთა თბილისის კერძო ბიბლიოთეკის ფონდი, რომელიც შედგებოდა 233 დასახელების 510 წიგნისაგან. ამავე მონაცემებს ადასტურებს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ადოლფ პეტრეს ძე ბერქე 1861 წელს გამოცემულ კატალოგში. (9, VII)

ფონდების შემადგენლობის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ აქ მეტად მდიდარი ლიტერატურა ყოფილა თავმოყრილი. ძირითადად რუსულ და ფრანგულ ენებზე, რაც ნათლად მეტყველებს მაშინდელი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ევროპული კულტურით დაინტერესებაზე. ქართული წიგნების სიმცირე საეცებით გასაგებია, რადგანაც ამ პერიოდისათვის ქართული წიგნის ბაზარი თითქმის არ არსებობდა. ამ ბიბლიოთეკაში ქართული წიგნი იყო მხოლოდ ერთადერთი – მარი ბროსეს მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, რომლის განხორციელებაზე დიდი თვაწლი მიუძღოდა მაქარია ფალავანდიშვილს.

თბილისის კერძო ბიბლიოთეკა თავისებურად იყო ორგანიზებული. მას სამი ხელმძღვანელი ჰყავდა. დადასტურებულია, რომ ესენი იყვნენ დ.ყიფიანი და ბ. ფალავანდიშვილი. განსხვავებული ამრი არსებობს შესამე პიროვნებაზე. მიიჩნევენ, რომ ის უნდა ყოფილიყო მიხეილ თუმანიშვილი (2, 5, 139), თუმცა, ჩვენი ფიქრით, მოსალოდნელია ეს ლევან მელიქიშვილი ყოფილიყო, რადგანაც ერთხანს ის ეწეოდა ხაზინადრობას, მაგრამ ამის გადაჭრით თქმა არ შეგვიძლია.

ისტორიული ხსოვნის წინაშე მოვალეობა მოითხოვს განსაკუთრებული პატივი მივაგოთ იმათ, რომლებიც სათავეში ედგნენ მამულიშვილურ წამოწყებას. მათ შორის ღირსეული ადგილი უჭირავს მაქარია

ფალავანდიშვილს – ამ მოკრძალებულ ინტელიგენტს, რომელსაც არ უყვარდა თავის წარმოჩენა, აღსავსე იყო მჩქეფარე ენთუზიაზმითა და შემოქმედებითი აღმაფრენით. აქ არ ვახსენებთ მის სამწიგნობრო-საგამომცემლო და კვლევა-ძიებით საქმიანობას, საკმარისია ითქვას, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მას საქართველოში პირველი ეროვნული სულისკვეთების ბიბლიოთეკის – „გვილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დაარსებასა და მის საქმიანობაში, რაც ნათლად ჩანს მარი ბროსესთან მისი მიმოწერიდან.

მიიღო თუ არა დ.ყიფიანმა ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა, მაქარია დაუყოვნებლივ წერს მარი ბროსეს ამის შესახებ და დასძენს, რომ ეს ბიბლიოთეკა ეცდება შეიძინოს ქართული ხელნაწერები და გააცნოს ის სამოგალობას. მისი თქმით, ბიბლიოთეკას შეიძლება გაზეთიც ჰქონდეს.

ყოველმხრივ იგრძნობა, რომ მაქარია თანამონაწილეა, საერთოდ, ბიბლიოთეკის დაარსების იდეისა, ის არის ამ საქმის უმთავრესი ორგანიზატორიც. მან ჩამოაყალიბა ბიბლიოთეკის ფონდი და საფუძველი ჩაუყარა საქმის წარმოებას, იყო ინიციატორთა ჯგუფის უჩინარი წევრი. ერთ-ერთ წერილში მარი ბროსეს სიხარულით აცხობინებს, რომ მალე გამოცემას დაიწყებს პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი რუსულ, ქართულ და თათრულ ენებზე, და რომ თურმე ქართული გაზეთით დაინტერესება გორშიც გამოუჩენიათ (5, 139). როგორც ეგყობა, მაქარია ალბათ ცდილობდა თავისი შესაძლებლობები სწორედ ამ მიმართულებით გამოეყენებინა. ნიშანდობლივია, რომ გაზეთი „კაკვასის მხარეთა უწყებანი“ მთლიანად მისი ენერჯისა და შრომის შედეგად დაარსდა.

ბევრს აპირებდა ახალგაზრდა, ღრმად განათლებული, ენერგიული მამულიშვილი, მაგრამ მოულოდნელად მისი ცხოვრება შეწყდა. ეს თავგანთავადი იყო მაშინდელი სამოგალობისათვის. სწორედ ამ განცდას გამოხატავდა პლატონ იოსელიანი „მაკაკვასკი ვესტნიკში“ (1845, 15).

დიდი მწუხარებით გამოეხმაურა ამ ამბავს პეტერბურგში მარი ბროსე. მაქარიას ბიძას სამძიმრის წერილში წერს: „Я узнал о неожиданной кончине любезнейшего друга моего, Вашего племянника, князя Захария Михайловича, и был до сердца огорчен. Познакомившись с ним в Москве, был с ним в самых прямых отношениях в Санкт-Петербурге, я ценил его высоко и уверен был, что он в будущее время мог оказать большие услуги своему отечеству. (5, 143)

თუ დავუკვირდებით, მაქარია ფალავანდიშვილი „კერძო ბიბლიოთეკის“ ნამდვილი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო. აკი მისი სიკვდილის შემდეგ (1845) ფაქტობრივად „კერძო ბიბლიოთეკა“ კიდევ წევრებს საქმიანობას, ხოლო 1848 წელს დაიხურა და

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას შეუერთდა. ეს არცაა გასაკვირი – არსებობისათვის საჭირო სახსრების უქონლობის გამო მას მეტად მყიფე საფუძველი ჰქონდა, შეარყია მისი მდგომარეობა დამფუძნებელთა მიმოფანტვამაც, თუმცა, ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ბოლო ხანებში მეტად სუსტი ირგანიზებულობა, მკითხველთა ფართო ფენებთან სრული მოწყვეტა და წესებში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები იყო. თვით დიმიტრი ყიფიანი 1848 წელს მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის – ს.ვ. საფონოვისადმი მიმართვაში აღნიშნავდა: 1846 წელს ჩემმა სამსახურეთბრივმა მოვალეობამ, ერთი მხრივ, და სახსრების ნაკლებობამ – მეორე მხრივ, მაიძულა შეემწყვიტა ამ ბიბლიოთეკაში ჩემი საქმიანობაო. (1, 168).

ასე დასრულდა საქართველოში ერთ-ერთი კულტურის ცენტრის – „გფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ არსებობა. მიუხედავად არსებობის ხანმოკლე პერიოდისა, მან უდიდესი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრიობის გამოცოცხლების საქმეში. ეს ბიბლიოთეკა იყო მისი დამაარსებლების უკვდავების ძეგლი. დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც გრაგიკულად მოუსწრაფეს სიცოცხლე, ქართველმა ხალხმა საფლავზე ბრწყინვალე ძეგლი დაუდგა, აკაკიმ ქართული პოეზიის შედეგრი შექმნა მის სახელთან დაკავშირებით. გაქარია ფალავანდიშვილს კი სულ სხვა ბედი ეწია.

მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მარი ბროსე ეწვია თბილისს. ფეხით შეუყვამ მთაწმინდის მიმოხვეულ ბილიკებს. მამადავითის ეკლესიის სამხრეთის კარის ახლოს ის მივიდა საფლავის ქვასთან, რომელზედაც ჩვეულებრივად ამოკვეთილი იყო: „მაქარია მიხეილის ძე ფალავანდიშვილი. დაიბადა 1815 წლის 22 სექტემბერს, გარდაიცვალა 1845 წლის 9 ივლისს“. თვალყრემლიან დიდ მეცნიერს გულიდან აღმოხდა სიგყეები: „რამდენი ახალგაზრდობა და მომავალია შთანთქმული ამ მარმარილოს ქვების ქვეშო“. (5, 213)

შემდეგში ის თავის უბის წიგნაკში ჩაწერს: „უეცარმა სიკვდილმა გამოაცალა საქართველოს მისი ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი შვილი, რუსეთს – მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული კარგი და კეთილსინდისიერი მუშაკი, მეგობრებს და ოჯახს – მათი სიყვარულის ღირსეული საგანი“. (5, 213)

რამდენად სავალალოა, რომ მთაწმინდის პანთეონად გადაკეთების დროს დაიკარგა ამ ღირსეული მამულიშვილის საფლავი. მაგრამ „გფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ სახით სამარადეამოდ დარჩა მისი უკვდავების ძეგლი.

ამ ბიბლიოთეკის კოლექცია ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებშია მიმოფანტული და ისინი დღესაც ემსახურებიან მეცნიერებასა და განათლებას.

1. ყიფიანი დ. მემუარები./ს.ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.– თბ., 1930.

2. ფალავანდიშვილი მ. წერილები.// საქ. მუზეუმი, წ.გ. საზოგადოების სახელმწიფო ფონდი.– 34797;

3. Буачидзе Г.С. Мари Броссе: Страницы жизни.– Тб., 1983.

4. Правила Тифлисской библиотеки от 22 сентября 1842 года.– იბ.: კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. დ.ი.ყიფიანის არქივი.

5. „წესები“ პირველად რუსულად გამოაქვეყნა კოგე ყიფიანმა – Публичная библиотека в гор. Тифлисе //Новое обозрение.– 1899, № 5224; ქართულად პირველად გამოსცა ი.ბალახაშვილმა – ლიგერატურული წრეები და სალონები საქართველოში. – თბ., 1940. – გვ. 175-179; იგივე ტექსტი გაიმეორა ნანა გურგენიძემ – ძველი წიგნსაცავები საქართველოში.– თბ., 1969.– გვ.107-111; უფრო სრული თარგმანი მოცემული აქვს თამაზ ჯოლოგუას – „გფილისის კერძო ბიბლიოთეკა“: (მასალები XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის ).– თბ., 1997.– გვ. 8-11.

6. Кипиани К. Публичная библиотека в гор. Тифлисе //Новое обозрение.– 1899.

7. ჯოლოგუა თ. „გფილისის კერძო ბიბლიოთეკა“.– თბ., 1997.

8. Книга приходов и расходов Тифлисской частной библиотеки (1843-1844).– კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.– დ.ყიფიანის არქივი.

9. Берже А.П. Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки (1846-1861).– Тифлис, 1861.

ალექსანდრე ლორია  
ნინელი მელქაძე



## სტუდენტი, წიგნი, ბიბლიოთეკა

**ტენგიზ ჩხიგვინია**

**ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორი, პედაგოგიკის მეცნიერი კანდიდატი**


უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება, რასაც მიზნად ისახავს უმაღლესი სასწავლებელი, თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია სასწავლო პროცესში ბიბლიოთეკის აქტიური მონაწილეობის გარეშე. კარგად ორგანიზებული და ესთეტიკურად გაფორმებული ბიბლიოთეკა სწორედ ის ადგილია, სადაც სტუდენტი ეწევა წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, ღებულობს საჭირო ინფორმაციას მისთვის აუცილებელ საკითხებზე, ინფორმაციის წყაროებზე.

ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი 1992 წელს გაიხსნა. მას შემკვიდრებით ერგო თბილისში მანამდე მოქმედი საბჭოთა ვაჭრობის გექნიკუმის ბაზა და იქ ორგანიზებული ბიბლიოთეკაც. ამ ბიბლიოთეკაში თავმოყრილი იყო ეკონომიკური დარგის ლიტერატურა. ახლადდარსებულ ინსტიტუტს უნარიანად წარუძღვა პროფ. გ.თავართქილაძე. განმტკიცდა ინსტიტუტის მაგერიალურ-გექნიკური ბაზა. იგი განთავსდა მეტრო 300 არაგველის მახლობლად, ქეთევან წამებულის ქ. 55-ში. ამ პერიოდში ინსტიტუტის რექტორატი შეუნებულ ყურადღებას აქცევდა ბიბლიოთეკას. მისი ფონდი ორგანიზებულად იქნა გადმოგანილი ახალ შენობაში. ბიბლიოთეკა ამჟამად ითვლის 20 ათასზე მეტ ბიბლიოგრაფიულ ერთეულს. ფონდი უნივერსალური შინაარსისაა, დაკომპლექტების პრიორიტეტულ მიმართულებას იმთავიდანვე შეადგენდა ეკონომიკური ხასიათის ფონდის შექმნა; ფონდის გარკვეულ ნაწილს შეადგენს წიგნები გერმანულ და ინგლისურ ენებზე, რო-

მელთა დიდი ნაწილი უშუალოდ რექტორის მიერ იქნა ჩამოგანილი გერმანიიდან და აშშ-დან. ინსტიტუტში წარმოებს უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება. ჩამოყალიბებულია უცხოური ენების შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები. ბიბლიოთეკის ფონდის შინაარსი მაქსიმალურად შეესაბამება ინსტიტუტის პროფილს და იგი სასწავლო პროცესის ორგანული ნაწილია, თუმცა ბოლო წლებში დაკომპლექტების თანხების უქონლობამ მნიშვნელოვნად შეამცირა ახლადგამოცემული ლიტერატურის შემოსვლის რაოდენობა.

ინსტიტუტში 1800-მდე სტუდენტი სწავლობს. პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა რაოდენობა 280-მდეა. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად 1000-მდე მკითხველს ემსახურება. საშუალო წლიური წიგნგაცემა 10000-ზე მეტ ერთეულს შეადგენს. რა თქმა უნდა, გაცემის პროცენტი მეტი იქნებოდა, მიმდინარე დაკომპლექტება მეტი ინტენსივობით რომ მიმდინარეობდეს. ახალი საგნები, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე იკითხება ინსტიტუტში, ძირითადად უზრუნველყოფილია რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოებით. ზოგიერთ საგანში არ არსებობს სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. ინსტიტუტის რექტორატმა ახალი წიგნების შესაძენად 2000 წლისათვის გამოყო 4000 ლარი. ამ თანხით ამ დროისათვის შეძენილი იქნა 393 ეგზ. ახლადგამოცემული სახელმძღვანელო. ახალი სახელმძღვანელოები შეიქმნა ინსტიტუტის ძალე ბითაც. ჩვენივე ავტორების მიერ გამოიცა სახელმძღვანელოები: ქიმიამში, გეოგრაფიაში, უმაღლეს მათემატიკაში, საქართველოს ისტორიაში, ინფორმატიკაში და სხვა საგნებში.

საბიბლიოთეკო ღოკუმენტების კატალოგიზაცია და სისტემატიზაცია მიმდინარეობს საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი





სტანდარტების შესაბამისად. დოკუმენტების კლასიფიკაციის პროცესში ვიყენებთ უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მესამე რუსულ გამოცემას. ასევე ინსტრუქციის დაცვით მოხდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების გადაფასება.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს ათი კათედრა. თითოეულ კათედრას გააჩნია პროფილური გამოცემების ბიბლიოთეკები. კათედრაზე გადაცემული ლიტერატურა აღირიცხება არსებული წესების დაცვით. კათედრის გამგეები ჯეროვან კონსულტაციას გვიწევენ ბიბლიოთეკის დაკომპლექტების საქმეში.

ბიბლიოთეკა გარკვეულ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებს მკითხველებზე გაცემული ლიტერატურის დაცვის თვალსაზრისით. არც ერთი კურსდამთავრებული არ ღებულობს დიპლომს, ვიდრე ანგარიშს არ გაასწორებს ბიბლიოთეკასთან. დავალიანების მქონე მკითხველი, ბიბლიოთეკის მითითებათა თანახმად, დაკარგული წიგნების ღირებულებას იხდის ინსტიტუტის ბუღალტერიაში. შემოსული თანხა ხმარდება ბიბლიოთეკის მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

ბიბლიოთეკა სისტემატურად კომპლექტდება პერიოდული გამოცემებით. ამჟამად აქ შემოდის 30-მდე სახელწოდების ჟურნალი და გაზეთი, მათ შორის გამოწერილია უცხოურ ენებზეც. ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდი კატალოგიზირებულია. მკითხველთა სამსახურშია ანბანური და სისტემატური კატალოგები. შედგენილია კარგოთეკები პერიოდული პრესის მასალებზე.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს ინფორმატიკისა და უმაღლესი მათემატიკის კათედრა. კათედრას აქვს 36 კომპიუტერი. კათედრის ძალებით ინსტიტუტის ყველა სპეციალობაზე იკითხება ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნიკის საფუძვლები. ამავე საგნებში კათედრას გამოცემული აქვს პრაქტიკული სახელმძღვანელოები. კომპიუტერი ცალკე ბიბლიოთეკას არ გააჩნია, მაგრამ კათედრასთან გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა და ინფორმაციის მოპოვებაში ხშირად მივმართავთ აღნიშნულ კათედრას. პერსპექტივაში ბიბლიოთეკაში დაგეგმილია დაიდგას კომპიუტერი, რათა ინსტიტუტის პროფესორ-

მასწავლებლებს საშუალება მიეცეთ ინტერნეტის საშუალებით გამოიყენონ სამღვარგარეთის ბიბლიოთეკების შესაბამისი მასალები.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ არსებითად შეცვალა ინსტიტუტის სასწავლო გეგმები და პროგრამები. ამ მხრივ კათედრებზე მიმდინარეობს სისტემატური მეცნიერული მუშაობა. იქმნება სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები, ითარგმნება შესაბამისი ლიტერატურა უცხოური ენებიდან.

ინსტიტუტში სწავლება გარკვეულ სპეციალობებზე ფასიანია. მიღებული თანხებიდან სისტემატურად უმჯობესდება ინსტიტუტის სასწავლო ბაზა, გაფართოვდა კომპიუტერული მომსახურების სფერო. ფასიანი სწავლებიდან მიღებული შემოსავლების ერთი ნაწილი ხმარდება ინსტიტუტის თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მათ შორის ხელფასის დანამატი ეძლევათ ბიბლიოთეკის თანამშრომლებსაც.

ბიბლიოთეკის მუშაობა სისტემატურად განიხილება ინსტიტუტის რექტორატის სხდომებზე. უშუალოდ რექტორატი ჯეროვან ყურადღებას აქცევს ბიბლიოთეკას. თხოვლობს ანგარიშებს, საბიბლიოთეკო მუშაობის ანალიზს, ამტკიცებს გეგმებს. ჩვენი ერთი მთავარი პრობლემათაგანია ბიბლიოთეკის ფონდების შეტანა კომპიუტერში და საერთაშორისო არხებით ინფორმაციის მიღება, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ბიბლიოთეკაში დაცული ინფორმაციის წყაროების ოპერატიული გამოყენების დონეს. ბიბლიოთეკაში დაცულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა ბიზნესის შესახებ. ამ ფონდით დაინტერესდნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები. საჭიროა ამ ლიტერატურის მეტი პოპულარიზაცია.

ინსტიტუტი თავისი არსებობის 10 წლისთავს აღნიშნავს 2002 წელს. ამ ხნის მანძილზე უფრო შინაარსიანი გახდა სწავლება, დაიხვეწა სასწავლო პროცესი; ბიბლიოთეკა ნამდვილი სასწავლო ლაბორატორიაა, თუმცა უკეთესი დაკომპლექტების შემთხვევაში მას მეტის გაკეთება შეუძლია საერთაშორისო ეკონომიკის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

## ფონდების ორგანიზაცია ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში

საბავშვო ბიბლიოთეკების სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა ამრიგად იმის შესახებ, რომ ვერცერთი მასობრივი ბიბლიოთეკა ვერ მოემსახურება ბავშვებს ისე ხარისხიანად, როგორც დამოუკიდებლად არსებული საბავშვო ბიბლიოთეკები, რომლებიც რამდენადმე უფრო პროფესიულად მუშაობენ ბავშვებთან. მათი დევიზია მოემსახურონ ბავშვებს ასაკობრივი პრინციპით.

დღევანდელ ეტაპზე საბავშვო ბიბლიოთეკები გამოყოფენ შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებს: სკოლამდელი და I-II კლასის ბავშვები, III-IV, V-VI, VII-IX და დანარჩენი საკლასო ასაკი, როგორცაა X-XI კლასის ბავშვები, აგრეთვე პედაგოგები, მშობლები, სტუდენტები, ყველა ის, ვინც საბავშვო ლიგერაგურით სარგებლობს.

თითოეული ასაკის მკითხველთა უკეთ მომსახურების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნობრივი ფონდების ასაკობრივი პრინციპით სწორად დამუშავებას, შემდეგ კი მის ორგანიზაციას.

ფონდების ასაკობრივი პრინციპით დამუშავებისას ჩვენ ვეცნობით წიგნს, ვიყენებთ პროგრამების მიხედვით კლასგარეშე საკითხავი ლიგერაგურის სიებს, ვესაუბრებით ამა თუ იმ კლასის პედაგოგს იმის შესახებ, თუ გარდა სიაში გამოქვეყნებული წიგნებისა, რომელ კლასში სხვა რა წიგნებს უთითებენ ბავშვებს წასაკითხად ამა თუ იმ საგანში.

ასაკობრივი პრინციპით წიგნის დამუშავებისას ვხვდებით ერთი რომელიმე მწერლის ისეთ წიგნს, რომელიც სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვისაა გათვალისწინებული. ის ჩვენ უფროსი ასაკის ბავშვებისათვის გვაქვს გამომწერი. მაგრამ თუ იმავე წიგნში მოთავსებული ნაწარმოებები ცალ-ცალკეა გამოცემული, ისინი ასაკობრივი ნიშნით ნაწილდება. ასაკობრივი პრინციპით ფონდის დამუშავებისას მხედველობაში ვღებულობთ წიგნის გაფორმებას, შრიფტს, გვაქვს ჩვენი შეხედულება, თუ როგორი სახის წიგნი სჯობს წაიკითხოს ბავშვმა ამა თუ იმ ასაკში. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს იმ მხრივაც, რომ სკოლამდელი და I-II – კლასის მოსწავლეთათვის გათვალისწინებული წიგნები თითქმის ყველა მხატვრულია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ ასაკისათვის გათვალისწინებული წიგნი არ არის მხატვრული, იგი რომელიმე დარგს მიეკუთვნება; ასაკობრივი დამუშავებისას იგი უნდა მოთავსდეს III-IV კლასის ბავშვებისათვის გათვალისწინებულ ფონდში, შესაბამის განყოფილებაში. ეს ბიბლიოთეკარს საშუალებას მისცემს I-II კლასის მოსწავლეები ასარგებლოს ამა თუ იმ დარგის შესახებ მარტივი ენით დაწერილი წიგნებით. ასე რომ, ასაკობრივი პრინციპით წიგნის დამუშავება შემოქმედებითი პროცესია და კლასიფიკაციისაგან საკმაოდ დიდ

შრომას მოითხოვს.

ფონდის ასაკობრივი პრინციპით დამუშავების შემდეგ თითოეულ წიგნს მიენიშნება ასაკის აღნიშვნელი ნიშანი: სკოლამდელი და I-II კლასის მოსწავლეთათვის გათვალისწინებული წიგნები აღნიშნულია რომაული ციფრით – I, III-IV კლასელთათვის განკუთვნილი – რომაული ციფრით – II, V-VI კლასელთათვის – III, VII-IX კლასელთათვის – IV, დანარჩენი ლიგერაგურა აღინიშნება – V- თი.

დამოუკიდებელ საბავშვო ბიბლიოთეკაში, სასკოლო ბიბლიოთეკასა და მასობრივი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებებში ყველა წიგნს ასაკის მანიშნებელი ნიშანი მიეწერება, ხოლო ის მასობრივი ბიბლიოთეკები, რომლებიც მომრდილებთან ერთად ბავშვებსაც ემსახურებიან, სადილო ლიგერაგურას, რომელიც აღნიშნული ბიბლიოთეკის ფონდის დიდი ნაწილია, არ მიუწერენ ასაკის მანიშნებელ ნიშანს – V-ს. ასაკის მანიშნებელ ნიშანს მიუწერენ მხოლოდ საბავშვო ლიგერაგურას I-II-III-IV, ე.ი. ფონდი, რომელიც მასობრივ ბიბლიოთეკაში ასაკის მინიშნების გარეშეა დარჩენილი, სადილო ლიგერაგურაა.

ფონდის ორგანიზაცია ბავშვებთან მომუშავე ყველა ბიბლიოთეკაში ერთნაირია. სკოლამდელი და I-II კლასის ბავშვებისათვის გათვალისწინებული ლიგერაგურა, სგანდარგის მიხედვით, ანბანურად არის გაწყობილი, მაგრამ ვინაიდან ამ ასაკის ბავშვების მოთხოვნა უფრო ქანრობრივია, ამიგომ გამოყოფები ქანრების მიხედვით კეთდება წარწერით: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები. თითოეული ქანრი გაწყობილია ანბანზე. დანარჩენი ასაკის ლიგერაგურა, როგორცაა III-IV, V-VI, VII-IX და სადილო – V, გაიწყობა ცალ-ცალკე სისგემაგური რიგით.

ფონდების ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით სისგემაგურად განლაგების დროს გასათვალისწინებელია ის, რომ მხატვრული ლიგერაგურა ბავშვებისათვის გაეწყობა სისგემაგური წყობის ბოლოში, მე-9 განყოფილების შემდეგ, რაც რაციონალური მომსახურების თვალსაზრისით უმჯობესად გვესახება. ჯერ გაიწყობა ქართული ორიგინალური მხატვრული ლიგერაგურა. შემდეგ კი ნათარგმნი ლიგერაგურა, საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილში მოცემული ქვეყნების თანმიმდევრობის მიხედვით. ფონდის ბოლოს გაიწყობა კრებულები. კრებულების ფონდის ხარისხიანად ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კლასიფიკაციის მიერ კრებულების სწორად დამუშავებას მსაზღვრელების გამოყენებით. იმ შემთხვევაში, როდესაც მხატვრული ლიგერაგურის კრებული ერთი ქვეყნის სხვადასხვა მწერალთა ნაწარმოებებისაგან შედგება, მას მიეწერება ჯერ ინდექსი, შემდეგ კი მსაზღვრელი. მაგალითად, ქართული მხატვრული ლიგერაგურის კრებულის სრული ინდექსი



ასეთ სახეს მიიღებს: 894.631(082) ასეთივე შინაარსის გამყოფით გამოიყოფა იგი თაროზე. ეს მაგალითი ანალოგიურია სხვა ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის კრებულების დამუშავებისათვის.

კრებულების ფონდის ორგანიზაციას თაროზე ჩვენ ვიწყებთ ქართული ლიტერატურით, შემდეგ კი – ნათარგმნებით, სახელმძღვანელოში მოცემული ქვეყნების თანმიმდევრობის მიხედვით. რაც შეეხება იმ მხატვრული ლიტერატურის კრებულებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა ნაწარმოებებისაგან შედგება, მიეწერება 82 და თაროზე გამოიყოფა იმავე ინდექსით.

დარგობრივი ლიტერატურის კრებულებს ცალკე არ გამოყოფთ, თითოეული განყოფილების შიგნით ჩაირთვება გამოყოფი; მაგალითად, სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების კრებულს ასკრონომიაში მიეწერება სრული ინდექსი – 52(082) და თაროზე მე-5 განყოფილებაში მოთავსდება, სადაც ასეთი შინაარსის კრებულებია. გამოყოფი გაფორმდება იმავე ინდექსით.

ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში, ფონდების უფექტურად გამოყენების მიზნით, სასურველია თაროზე დამატებითი გამოყოფები ჩაირთოს;

მაგალითად, საბავშვო პიესები გამოიყოს წარწერით პიესები, ასევე შეიძლება მიეწინაშნოთ თაროზე ის მწერლები, რომლებიც იუბილარები არიან მიმდინარე წელს – სურათოვანი გამოყოფით და წარწერით იუბილარი. დამატებითი გამოყოფების გამოყენებით ჩვენ ვამარტივებთ ფონდის ორგანიზაციას. იგი უფრო მისაწვდომი ხდება ბავშვებისათვის. ასე რომ, ფონდების ორგანიზაციისადმი შემოქმედებითი მიდგომა გვეხმარება სწრაფად მოვემსახუროთ მკითხველს, დავაკმაყოფილოთ მაქსიმალურად მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო ფონდებით.

ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკებში ფონდების ორგანიზაციის საკითხებზე გამოცემული სახელმძღვანელოს შესახებ (თბ., 1998) სპეციალისტებს ვთხოვთ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები მოგვაწოდონ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში.

**გუგული ჯინჭარაძე**  
საქართველოს ლ. ასათიანის სახელობის  
სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის  
მეთოდგანყოფილების გამგე



## საბიბლიოთეკო მარკეტინგი



**თეა იოსაძე**  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკის  
ბიბლიოთეკათმცოდნეობის  
ცენტრის მეთოდისტი

გერმინი “საბიბლიოთეკო მარკეტინგი” პროფესიონალების მიერ არაერთგვაროვნად აღიქმება. მას ხშირად კომერციულ საქმიანობასთან აიგივებენ. გერმინი “მარკეტინგი” ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს ბაზარს, საქონლის გასაღებას. მაგრამ “მარკეტ”-ს აქვს კიდევ ერთი მნიშვნელობა – მოთხოვნა, რომელიც მაქსიმალურად უნდა დაკმაყოფილდეს. საბიბლიოთეკო მომსახურება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყველანაირად მოსწონდეს მომხმარებელს.

არა მარტო ჩვენში, არამედ ეკონომიურად აყვავ-

ვებულ ქვეყნებშიც კი ღვას ბიბლიოთეკის მაგერიალური უზრუნველყოფის პრობლემა. ერთადერთი ხსნა ბიბლიოთეკარებისათვის არის ის, რომ დაუმტკიცოს თავის მომხმარებელს საბიბლიოთეკო მომსახურების რაციონალურობა. აჩვენოს ის ღირსებები, რაც ბიბლიოთეკას აქვს საზოგადოების მოთხოვნილებათა რეალიზებისათვის.

ბიბლიოთეკებს, რომლებსაც ქალაქში თუ რაიონში მოპოვებული აქვს ავტორიტეტი, მეტი შესაძლებლობა აქვს ადგილობრივი მმართველობისაგან მიიღოს დამატებითი სახსრები.

მარკეტინგი შეიძლება იყოს კომერციული და არაკომერციული საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. კანონის მიხედვით, საბიბლიოთეკო მომსახურება ძირითადად უფასოა, შტაგებისა და ბიუჯეტის შემცირებამ ბიბლიოთეკები აიძულა არსებობის შენარჩუნებაზე ემრუნათ, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას თავისუფალი დრო მეტი ჰქონდა. მათი კითხვის სურვილი დღითიდღე მცირდება. ეს მოწმობს იმას, რომ ადრე დაწერგილი მეთოდები უნდა შეცვლილიყო. შექმნილ ვითარებაში



ყველაზე რეალური გამოსავალია გაიზარდოს მკითხველთა რიცხვი და მაგერიალური პირობები გაუმჯობესდეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ საბიბლიოთეკო მარკეტინგის პირობებში.

კომერციული მარკეტინგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიბლიოთეკის მიერ როგორც საშუაშვლო საშუალება სხვა ორგანიზაციებისათვის – პროდუქციის ან სამსახურის შეთავაზება, სამეწარმეო საქმიანობაში დახმარება შესაბამისი ანაზღაურებით.

ყველაზე მისაღები საბიბლიოთეკო მუშაობაში არის არაკომერციული მარკეტინგი, რომელიც არ ისწრაფვის აუცილებელი ფინანსური მოგებისაკენ.

მარკეტინგული პროცესი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. ბიბლიოთეკამ უნდა განსაზღვროს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ანალიზის საფუძველზე შექმნას მუშაობისათვის საჭირო მასალა, რომელიც დაეხმარება მარკეტინგულ მუშაობაში.

აუცილებელია გათვლილი იყოს მომსახურების სხვადასხვა ვარიანტები, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას და მომსახურების ხარისხის გაზრდას. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ დაკვირვების მეთოდიც, რომლის მეშვეობითაც დავაღვანთ, რამდენმა ადამიანმა მიმართა ბიბლიოთეკას ამა თუ იმ მოთხოვნით. რა სახის იყო ეს მოთხოვნა, დაკმაყოფილდა თუ არა მომხმარებელი, როგორი იყო დასწრება, როგორ გამოიყენება კატალოგები და მთლიანად საბიბლიოთეკო ღოკუმენტების ფონდი. ბიბლიოთეკის მარკეტინგის მუშაობის საბოლოო შედეგი გამოიხატება იმაში, თუ როგორაა ორგანიზებული საქმიანობა, ბიბლიოთეკის ავტორიტეტი, სტრუქტურა, ადგილმდებარეობა, ფართობი, მომსახურე პერსონალი, მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფინანსური საშუალებები.

საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მარკეტინგი წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების კონკურენტუნარიანობას და მომსახურების ხარისხის გაზრდას.

მარკეტინგის ძირითადი მიზანი და ამოცანაა საბაზრო სფეროში მივალწით სამომხმარებლო მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, პროდუქციის ღიდ არჩევანს, მოთხოვნების მიმართ კომპლექსურ მიდგომას. საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურების ფასის დადგენა ხდება კალკულირების საფუძველზე. თითოეულმა ბიბლიოთეკამ უნდა გათვალოს თვითღირებულება. არგუმენტირებულად გამოავლინოს მკითხველთა ამა თუ იმ ჯგუფის გადახდელუნარიანობა. ამ საფუძველზე განისაზღვროს მონაცემების საერთო ღონე (მაღალი, საშუალო, დაბალი. შესაძლო დიაპაზონით განსაზღვროს “აქედან-აქამდე”).

საფასო პოლიტიკის გადამუშავების ღროს ხდება მოთხოვნების ანალიზი. ამ ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავაღვანოთ თითოეული ბიბლიოთეკისათვის მისაღები მომსახურების ფასები. ე. ი. თვითღირებულება.

მოთხოვნის დაკმაყოფილება მომხმარებლისათვის ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს. სპეციალისტის ღიდი უნარია საჭირო, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოახერხოს მისი შეცვლა სხვა მოთხოვნით. განსაკუთრებით ეროვნული, რესპუბლიკური და სარაიონო ცენტრალური ბიბლიოთეკები უნდა ცდილობდნენ, სხვა ბიბლიოთეკებისაგან განსხვავებით, დაამტკიცონ თავიანთი განსხვავებულობა და გამორჩეულობა. ბიბლიოთეკები რეგულარულად უნდა ახდენდნენ ბაზრის შესწავლას, მიუთმეგეს ინფლაციის ფინანსური არასტაბილურობის პირობებში. ბიბლიოთეკის მიერ ღოგმირებულად თანხის დაწესება მიზანშეწონილი არ არის, ფასები ღვინდება შეთანხმებით, რომელსაც ეკონომიური სიტუაცია თვით განსაზღვრავს.

ფონდი უნდა განახლდეს უახლესი ღიგერატურით. შევსებისა და განახლებისათვის საჭიროა ნორმალური დაფინანსება, რაც საბიუჯეტო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ქვეყანაში მოქმედი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ყველა ღიღმა თუ პატარა ორგანიზაციამ შეცვალა თავიანთი მუშაობის სტილი. ზოგი შემლუღული პასუხიმგებლობის საზოგადოებად გადაკეთდა, ზოგი ბიზნეს-ცენტრად იქცა და ა. შ.

ბიბლიოთეკებიც შეძლებისდაგვარად უნდა მიმართავდნენ ბიზნესის ელემენტებს, რომ მომხმარებელთა თანამედროვე და გაზრდილი მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

მარკეტინგული მიდგომა ითხოვს, რომ ბიბლიოთეკებს მიეცეთ მეტი მაგერიალურ-ფინანსური დახმარება ფონდების განახლებისა და საცნობო აპარატის შევსებისათვის.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მარკეტინგი, ეს უპირველს ყოვლისა, გულისხმობს ბიბლიოთეკის მმართველობას ორიენტირებულს მომხმარებელზე, მიუხედავად ფორმათა სხვაობისა, ბოლო ხუთი წლის მანძილზე შეიმჩნევა ბიბლიოთეკებში ფასიანი მომსახურებით შემოსავლის ზრდა.

ეს განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური ფაქტორებით, რომელთაგან აღსანიშნავია ფასიანი მომსახურების განვითარებისათვის სახელმწიფოს ხელშეწყობა – ბიბლიოთეკებში გადასახადების ლეგიტიმურობა, დაბეგვრის გარეშე შეღავათების მიცემა და სხვ.

დამატებითი ფასიანი მომსახურება აუცილებელია გავიგოთ როგორც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიბლიოთეკის მიზანმიმართული საქმიანობა.

სპეციალისტების გამოკვლევებით დასტურდება, რომ რეალური და პოტენციური მკითხველი მზად არის გადაიხადოს როგორც ორგანიზაციის მეშვეობით, ასევე პერსონალურად.

ფასიანი მომსახურების ფორმების ამორჩევა დამოკიდებულია ბიბლიოთეკის სპეციფიკაზე, ადგილმდებარეობაზე, ინფორმაციის მოთხოვნის სიჭარბეზე და შესაბამის საინფორმაციო მაგერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე, აგრეთვე საკადრო პოტენციალზე.



ბიბლიოთეკებმა, რომლებიც შეძლებენ ფასიან მომსახურებას, უნდა შეიმუშაონ და დანერგონ პროგრესული ინოვაციები.

თითოეულმა ბიბლიოთეკამ უნდა შეადგინოს პრაქტიკული სამოქმედო გეგმა, ყველა მოსალოდნელი პრობლემის გათვალისწინებით. ფასიანი ფორმების დანერგვა არ ითვლება მეწარმეობად, თუ ეს მცირე შემოსავლები ფონდის თანამედროვე ლიგერატურით განახლებას და დაწესებულების ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ხმარდება.

მარკეტინგული მუშაობის დროს ყველაზე მეტად საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა მეთოდები და რეკლამა გამოიყენება. მნიშვნელოვანია აგრეთვე პრესასთან კონტაქტი. დამატებით არასაბიუჯეტო შემოსავლები ბიბლიოთეკის პირობებში სხვადასხვანაირია, მათ შორის ყველაზე კარგ მეთოდს წარმოადგენს შემოწირულობების სახით დახმარების მიღება, სპონსორობა, მეცენატობა. ბოლო დროს საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სფეროში ფართო გავრცელება ჰპოვა რესურსულმა მხარდაჭერამ გრანტის სახით.

ბიბლიოთეკის პროპაგანდისა და პოზიტიური მდგომარეობის შესაქმნელად უდიდესი ეფექტურობით გამოირჩევა: პრემენგაციები, იუბილევები, ექსკურსია ბიბლიოთეკაში, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, წიგნის დღესასწაულები, ვერნისაქები და სხვ. ეს კომპლექსური ღონისძიებები ხელს უწყობს ბიბლიოთეკას საზოგადოებასთან კომუნიკაციაში. დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ მათ მომხრეებს, რომლებიც იზიარებენ ამ ბიბლიოთეკების პოზიციებს და რომელთაც შეუძლიათ რესურსებით მხარდაჭერა – “ფანდრეიზინგი”<sup>1</sup>. ეს ფენომენი დიდი ხანია არსებობს და მისი პრინციპების გამოყენება შესაძლებელია ჩვენშიც მოხდეს.

ბიბლიოთეკის ფასიანი მომსახურების მაღალი ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოს ისეთი საკითხები, როგორცაა: ღირებულების ეკვივალენტი, მომხმარებლისათვის სარგებლიანობა, მომსახურების ოპერატიულობა, ხარისხის უმაღლესი დონე, კომფორტულობა, მომსახურების შეთავაზება არასამუშაო დღეებში და საათებში, მაგერიალური ანაზღაურებით.

ბიბლიოთეკებისათვის მიზანშეწონილია არა მარტო მომსახურების რენგაბელობის უზრუნველყოფა, არამედ მომსახურების დიფერენცირებულად წარმართვა. შეღავათიანი ფასების დადგენა სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებისათვის და სხვ.

როდესაც საუბარია მომსახურების ხარისხზე, არ

შეიძლება დაგვიწყობთ კეთილგანწყობილება და თავაზიანობა, რათა კომფორტული გარემო შეექმნას მომხმარებელს. ბიბლიოთეკაში კულტურული ურთიერთობის საკითხი ბოლო დროს ძალიან მწვავედ დადგა. ბიბლიოთეკაში ორგანიზებული უნდა იყოს სოციალურ-ფსიქოლოგიური სამსახური, რომელიც ბიბლიოთეკარებს დაეხმარება სტრესული ვითარების მოხსნაში. საუბრის წარმართვის უნარი, მოსმენის ხელოვნება, გულთბილი დამოკიდებულება თანამოსახურისადმი – ეს ყველას არ შეუძლია, ამიტომ საჭიროა მათ პროფესიული და კმაყოფილების უზრუნველყოფაზეც ვიზრუნოთ. უნდა შეექმნათ ბიბლიოთეკის პოზიტიური სახე. დადებითი დამოკიდებულებით, როგორც პირად, ისე საქმიან ურთიერთობაში.

თანამედროვე ეტაპზე ბიბლიოთეკებში დანერგილი ფასიანი მომსახურების ფორმებიდან უფრო გავრცელებულია: ფასიანი რეგისტრატურა (ზოგიერთ სარაიონო, საოლქო და რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში), ინტერნეტით მომსახურება, ჯარიმები წიგნების დაგვიანებით დაბრუნებისათვის, სამკითხველო ღირებულების გაქირავება, შეკვეთების მიღება თემატური ბიბლიოგრაფიული ძიებისათვის და სხვ. რეგიონებში მომუშავე ბიბლიოთეკებს ნებისმიერი ფასიანი მომსახურების შემოღებისათვის აუცილებლად უნდა გააჩნდეთ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების გააღწევილობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Маркетинг современная концепция управления библиотекой . – М. , 1994.
2. Формирование рыночных отнашении в библиотечном деле . – М. , 1995.
3. Инициативная деятельность библиотеки: платная интеллектуальная продукция.– М., 1999.
4. Сулова И. М. Основы библиотечного менеджмента . – М. , 2000.

1. „როგორ გავზარდოთ ჩვენი ბიუჯეტი ან როგორ მოვიპოვოთ ფული“. ამისათვის კი საჭიროა თანამშრომლობა იმათთან, ვისაც აქვს სურვილი ფულის გაცემის და ამ ფულის მიღების. ასეთ ორგანიზაციები იწოდება დონორებად ან გრანტების გამცემებად.

## წიგნის აღრესატი – ბიბლიოთეკა

ჩვენს დღევანდელ ყოფაში უმეტესწილად, უპრობლემო თემა თუ საკითხი თითქმის არ არსებობს, მაგრამ იგი უფრო მეტივეული ხდება მაშინ, როდესაც საქმის გულშემატკივარი არ ჩანს, როდესაც უმეტესობა გულგრილია და გაუცხოებული, მხოლოდ თავისი ინტერესებიდან მზირალი. არადა, ასეთთა შორის არიან ისინიც, ვისაც პირადად მოეთხოვება ხელის გამოღება და თანადგომა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ბიბლიოთეკებს საცავების კეთილმოწყობის, სამკითხველო დარბაზების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის, სანიმუშო მაპროფილებელი ლიგერატურით დაკომპლექტების პრობლემები აწუხებს. ე.ი. მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესებაზე, საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაზე საუბარი, თორემ სამუშაოს შესრულების საშუალო პირობებით ნებისმიერი ბიბლიოთეკა არის უზრუნველყოფილი. აღრე დასული იყო წიგნების მიმნობრივი განაწილების კულტურა, ეთიკა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციის მკითხველთა (მშუა-მოსამსახურეთა, თანამშრომელთა, მოსწავლეთა, სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა) კონტინგენტისთვის განკუთვნილი წიგნები ორგანიზაციის ღირექტორის სახელზე კი არ იგზავნებოდა, არამედ მხოლოდ ბიბლიოთეკაში, პირდაპირ ბიბლიოთეკის დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილებაში თავისი მენდადებ-ანგარიშეაქტურით. ასეთი წესი წიგნების დაცვის, წიგნების თაროებზე განლაგების და სხვა საბიბლიოთეკო პროცესების სწორად წარმართვის გარანტიაა, რაც საბოლოოდ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მკითხველის ინტერესს.

თავად წიგნის მომარაგების წყაროები: საგამომცემლო ორგანიზაციები, წიგნის მალაზიები, ბიბკოლექტორები იჩენდნენ ინიციატივას და სთავაზობდნენ საუკეთესოდ გაფორმებულ პროსპექტებს, კაგალოგებს სამომავლოდ გამოსაცემი წიგნების ჩამონათვალთ, რათა ბიბლიოთეკებს სასურველი პროფილით წიგნების შერჩევა და მათ შესაძენად შეკვეთების დროული დაგზავნა გააღვიწიებოდათ. ამ წესის შედეგია ის, რომ დღემდე საქართველოს ნებისმიერი ტიპის ბიბლიოთეკაში უძვირფასესი სიმდიდრეა თავმოყრილი მრავალმხრივი, მრავალფეროვანი წიგნადი ფონდების სახით. ამ სიმდიდრეს დაცვა, მოვლა, განახლება, შემადგება უნდა ...

ბიბლიოთეკების გულშემატკივართათვის დამთრგუნველია იმის წარმოდგენა, რომ ღიქტაგორი კომუნისგების დროს ბიბლიოთეკა გაცილებით დემოკრატიული უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე დღეს - დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის დროს. ცუდად გაგებულმა ავტონომიამ, სხვა რამესთან ერთად, მრავალი ორგანიზაციის ბევრი ბიბლიოთეკა შეიწირა. ეს პროცესი შეუმჩნეველად დღესაც გრძელდება. მთავრობის დადგენილების საფარველით გრძელდება ბიბლიოთეკარების შემცირება იქ, სადაც უკვე შესამცირებელი არაფერია. (მხედველობაში მათქვან ორგანიზაციების ბიბლიოთეკები და არა დამოუკიდებელი უმარბაზარი კოლექტივიანი ბიბლიოთეკები).

როგორც ვთქვით, ბიბლიოთეკის საქმეებისადმი გულგრილია ყველა, როდესაც საქმე თანადგომას მოითხოვს, და პირიქით - ერევა ყველან, როდესაც პროფესიონალის გარდა არავის ჩარევა არ არის საჭირო! ვფიქრობ, რომ საქმეს აფუჭებენ ის შემთხვევითი ადამიანებიც, რომელთაც დღეს საერთაშორისო ჰუმანიტარული არხებით შემოზიდული წიგნების უცხოური კოლექციები ჩაუვარდათ ხელთ. აღრესაგებს ვერ აგნებენ თუ რა ხდება, წიგნები ბიბლიოთეკების გვერდის ავლით ნაწილდება. საქმისადმი ამგვარი მიდგომით ქართული კულტურა და განათლება ვერანაირ მოგებას ვერ მიიღებს. გავისხენოთ გერმანელი ბიბლიოთეკათმცოდნეების და არა მარგო მათი (თავად გერმანიის მთვრობის) მოღვაწიობა ნაალაფარი ფონდის დაბრუნებასთან დაკავშირებით. საგანგებოა ამ დარგში (ბიბლიოთეკათმცოდნეობაში) მათი საქმიანობა, მიმანდასახულობა. მუსგად იციან ქვეყანაში რამდენი წიგნი აქვთ ახლა, და რამდენი იყო აღრე. ომის დროს რამდენი წიგნი დაკარგეს. ჩვენ კი, ვიცით ამ გაჭირვების ქამს ვინ რამდენი ლიტერატურა შემოგვიგზავნა, რაგომ, რამდენი იყო მათ შორის კლასიკა, რამდენი სახელმძღვანელო, რამდენი მხაგერული, სამეცნიერო და სხვა. სად აღირიცხა, რომელ ბიბლიოთეკებში გადნაწილდა?

წიგნი განსაცემელი არ არის, ერთ სემონზე დახიო და გადააგლო. წიგნი ხომ სგანძურია, სამომავლო ანტიკვარი! გყუილა როდი დგება თითოეულ წიგნზე საკაგალოგო ბარათი.

პატივი ვცეთ ბიბლიოთეკებს, მათ სფეროში ასალორძინებელ საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებებს. დავეთმოთ მათ თავიანთი როდი და დავეხმაროთ მძიმე, მაგრამ კეთილშობილი საქმის კეთებაში - წიგნიერი თაობების აღმრდაში, განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობაში!

ამ წერილით გამოთქმული ამრი ცალსახაა - წიგნების ესა თუ ის კოლექციები, რომლებიც შემოგვწირეს, გვისახსოვრეს თუ მოგვიცილეს - ჩვენს ბიბლიოთეკებში დაბინავდეს, საკაგალოგო მეურნეობაში აღირიცხოს და მკითხველთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

**გულნარა სგურუა**

### რედაქციისაგან:

ეს წერილი შემოთავაზებულია საკითხის დასმის წესით. მართლაც, ბევრ წარმოება-დაწესებულებაში, განსაკუთრებით სასწავლებლებში, უცხოეთიდან მრავლად შემოდის შემოწირული ლიტერატურა, რომლის დიდი ნაწილი ვერ აღწევს ამ დაწესებულებათა ბიბლიოთეკებამდე, არ ხდება მათი არც აღრიცხვა, არც საძიებო სისტემებში ჩართვა.

რედაქცია ფიქრობს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალისტები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რაც ხელს შეუწყობს მდგომარეობის გამოსწორებას



# ბიბლიოგრაფიული მუშაობა ჩემი საყვარელი საქმეა...

თუ ბიბლიოთეკას ცოცხალ ორგანიზმად წარმოვიდგენთ, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიბლიოგრაფიული საქმიანობა ბიბლიოთეკის გვინია.

წლების მანძილზე ვმუშაობ ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში. ვიცი რა დიდ დახმარებას უწევს ბიბლიოგრაფიული სამსახური მეცნიერ მუშაკებს, სტუდენტებს, ჩვენს მკითხველებს.

აღნიშნული განყოფილება 1934 წელს ჩამოყალიბდა და მას იმთავითვე ხელმძღვანელობდა შემდგომში ცნობილი მეცნიერი, ბიბლიოგრაფი ანასტასია (გასო) კასრაძე. ბიბლიოგრაფიული განყოფილების ამუშავებისთანავე დღის წესრიგში დადგა უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო მართვითი დარგების ბიბლიოგრაფიული წყაროების შედგენა-გამოცემა.

ქალბატონი ანასტასია კასრაძის შემდეგ განყოფილებას ბატონი გიორგი აბაშიძე ხელმძღვანელობდა. ხელმძღვანელთა სწორმა ორიენტაციამ განყოფილების მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით წარმართა: მუშაობა კატალოგებზე, ბიბლიოგრაფიულ კარგოთეკებზე და საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდის შექმნაზე, რომელიც ამჟამად 20000-მდე წიგნისა და 475 დასახელების პერიოდიკის, სხვადასხვა დარგის საძიებლებისა და ცნობარისაგან შედგება.

წიგნადი ფონდი დაკომპლექტებულია ძვირფასი საცნობო ლიტერატურით, ენციკლოპედიებით, ენობრივი და განმარტებითი ლექსიკონებით, ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო ხასიათის პერიოდული გამოცემებით.

1978 წლიდან განყოფილებაში შეიქმნა სამი სექტორი: ბიბლიოგრაფიული, გეგმიური და საინფორმაციო. ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას გააჩნია მდიდარი სამუშაო ბაზა თემატური და დარგობრივი კატალოგების სახით, რომელთა საშუალებით მეპირი და წერილობითი ცნობები გაიცემა როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებზე და სამეცნიერო პედაგოგიურ პერსონალზე, ასევე სხვადასხვა ქალაქებიდან მოვლინებულ პირებზე. განყოფილების მუშაკები კონსულტაციებს ვუწევთ სტუდენტებს სასემინარო, საკურსო და სადიპლომო შრომებისათვის საჭირო ლიტერატურის შერჩევაში.

განვლილმა წლებმა და აქტიურმა მუშაობამ განყოფილებას მდიდარი გამოცდილება და ცოდნა შესძინა. არ შეიძლება არ გავიხსენოთ განყოფილებაში შექმნილი ბიბლიოგრაფიული გამოცემების მოგიერთი მნიშვნელოვანი ნიმუში, როგორცაა ანასტასია კასრაძის მიერ შედგენილი „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემები 1919-1960 წწ.“, „უნივერსიტეტში 1920-1056 წწ. დატული დისერტაციების ბიბლიოგრაფია“, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების ბიბლიოგრაფია“-ცნობილი ბიბლიოგრაფის ეთერი თოხაძის რედაქტორობით (გამოსულია 6 ნაკვეთი 1961 წლიდან 1990 წლის ჩათვლით. ამჟამად გრძელდება მუშაობა 1991-1995 წლების შრომების ბიბლიოგრაფიის შედგენაზე).

ასეთი შრომების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამჟამად განყოფილების თანამშრომლები ქალბატონ ეთერ

თოხაძის ხელმძღვანელობით მუშაობენ 25 წლის მანძილზე (1966-1995 წლების ჩათვლით) გამოსული ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების ბიბლიოგრაფიულ მარჯვენებელზე, რომელშიც მასალა სისტემატურად იქნება განლაგებული.

გეგმიურ სამუშაოთა სექტორი წინასწარ გვემავს გამოსაცემად გამზადებულ თუ ადგილობრივ განყოფილებაში გამოსაყენებელი მასალების სამუშაო თემას.

განყოფილება სხვათა გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების პრინციპით მუშაობდა და ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა წამყვან ბიბლიოთეკებთან. საქართველოს მეცნიერების აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, გამოცემულია რამდენიმე ბიბლიოგრაფიული მარჯვენებელი. მაგალითად, ჟურნალ „მნათობის“ ბიბლიოგრაფია 1971-1982 წწ. აგრეთვე პროფესორების: გ.ახელიანის, ა.შანიძის, შ.ნუცუბიძის, კ.კეკელიძის, ფ.გოგიჩაიშვილის, ნ.ბერძენიშვილის, არნ.ჩიქობავასა და სხვათა პერსონალური ბიბლიოგრაფიული საძიებლები.

მაგრამ ის გრადიციული ფორმები და მეთოდები, რომლითაც ჩვენ სამუშაოებს ვახორციელებდით, დღეისათვის ნამდვილად მოძველებულია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და გექნიკის დაჩქარებული განვითარება გვაიძულებს, მუშაობის სხვა, ახალ რელსებზე გადავიდეთ. აუცილებელია განყოფილების კომპიუტერიზაცია, მეტი ინფორმაციის მიღება და გაცემა. ივ.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი – ეს უზარმაზარი სამეცნიერო ტაძარი, ქართველი ხალხის ინტელექტუალური მრდის შეუცვლელი სამყარო, იმდენ მასალას იძლევა, რომ მათზე ინფორმაციების კუსტარული წესით მიწოდება არც მოხერხდება და უკვე უხერხულიც არის.

ჩვენ ჯერჯერობით კვლავ ძველებურად ვაგრძელებთ ათეული წლების მანძილზე დაწყებულ ურთიერთობას საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან. ვასრულებთ მოთხოვნებს ქართველი მეცნიერების ცალკეული შრომების ან პერსონალურ ბიბლიოგრაფიებზე.

ამჟამად გერმანიაში დგება მსოფლიოს ცნობილი მათემატიკოსების ენციკლოპედია. გავაგზავნეთ მასალები ისეთ ცნობილ პროფესორებზე, როგორებიც იყვნენ: ი.ვეკუა, დ.ლომიძე, ვლ.ჯანელიძე, ვ.კუპრაძე და სხვ.

მიმაჩნია, რომ საქართველოში კადრების მომზადებისა და, საერთოდ, მეცნიერული მუშაობის ინფორმაციული უზრუნველყოფის საქმეში ბიბლიოგრაფიული საქმიანობა იმდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ გაცილებით მეტად უნდა ვიმზრუნოთ მის აყვავებასა და განვითარებაზე არა მარტო ჩვენ – პროფესიონალებმა, არამედ სახელმწიფომ, საზოგადოებამ...

**ირინე ეფრემიძე**

თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი



# ქართული სახელმწიფოებრივობის საში ათასი წლისთავი

(ღირსშესანიშნავი ღონისძიება)

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 15 ნოემბრის განკარგულებამ „ქართული სახელმწიფოებრივობის საში ათასი წლისთავის იუბილესა და ქრისტიანობის ორი ათასი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებათა მოწყობის შესახებ“ ქართველ ხალხს სულის მხნეობა და მომავლის რწმენა შეჰმაგა.

ქართული სახელმწიფოებრივობის საში ათასი და ქრისტიანობის ორი ათასი წლისთავი ორი უმნიშვნელოვანესი თარიღია, რომელთა საქვეყნოდ გამოცანა, წარმოჩენა და საიუბილეო – საზეიმო ვითარებაში აღნიშვნა მთელ მსოფლიოს დაანახევებს და გააცნობს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის გმირულ წარსულს, მაღალ კულტურას, ხელოვნებას, მწერლობას, მის დღევანდელ სახეს – მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებს გეგნიკისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში; ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას, ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული სამოგადოების მშენებლობის დაჩქარებას, მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში ქართველი ხალხის ინტეგრაციას, პერსპექტივაში საქართველოს გერიტორიული ერთიანობის აღდგენას. ამასთან ერთად, იგი სათანადო პასუხიცაა ყველა იმ ფუნქციონერთა წინააღმდეგ, რომელთაც ხელობად გაუხდიათ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაცია, გაყალბება. ფრთები შეისხა ერისათვის ისტორიის მნიშვნელობის შესახებ ღიდ ქართველ მოღვაწეთა ნაამრევმა, გაიფანტა ისტორიის მივიწყების ბურუსი.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებას აქტიურად გამოეხმარა თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანება, ბიბლიოთეკა-ფილიალებისა და მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის მუშაკები. ბიბლიოთეკებმა ქართული სახელმწიფოებრივობის საში ათასი და ქრისტიანობის ორი ათასი წლისთავს მრავალი საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიება მიუძღვნეს. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და შთამბეჭდავი ღონისძიება იყო ქართული სახელმწიფოებრივობის საში ათასი წლისთავისადმი მიძღვნილი საქალაქო ვიქტორინა – კონკურსი და მისი შედეგების განხილვა.

ვიქტორინა-კონკურსის ჩასატარებლად შექმნილი იყო საორგანიზაციო კომისია, რომელმაც კითხვულებისადმი მიმართვის გეგმა და საკონკურსო კითხვები შეადგინა.

მიმართვის გეგმა და საკონკურსო კითხვარი დაურიგდათ ბიბლიოთეკებს მკითხველებში გასავრცელებლად და ამასთან ერთად, ბიბლიოთეკის მუშაკებს შესაბამისი მეთოდური ინსტრუქტაჟიც ჩაუტარდათ.

მკითხველებისადმი მიმართვაში ლაპარაკია ვიქტორინა-კონკურსის მიზანდასახულობისა და მისი ჩატარების მნიშვნელობის შესახებ, მითითებულია კითხვებზე წერილობითი პასუხების წარმოდგენის ვადის, შედეგების განხილვის თარიღის ადგილისა და გამარჯვებულის დაჯილდოების შესახებ.

ვიქტორინა-კონკურსის პირობების მიხედვით, კონკურსში მონაწილეთა მოვალეობას შეადგენდა კითხვებთან დაკავშირებით (სულ 36 კითხვა) მოქიბით ბიბლიოთეკებში თუ გარეთ არსებული ლიგერაგურა და მათი გამოყენებით გაეცათ თითოეულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი (კონკურსის პირობები არ ითვალისწინებდა ღვიგნის ავტორის კრიტიკულ შეფასებას).

ვიქტორინა-კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 21 კაცმა. კომისიამ გულდასმით განხილდა მონაწილეთა წერილობითი პასუხები. გამარჯვებულად ცნო და დასაჯილდოებლად წარადგინა 11 მონაწილის – 4 ბიბლიოთეკის მუშაკისა და 7 ბიბლიოთეკის მკითხველის ნამუშევრები. გამარჯვებულთა შორის არიან: ნინო მიშელაძე – №12-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგე; ანგელინა შამუგია – №12-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის ბიბლიოთეკარი; ნინო მაისურაძე – №56-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის ბიბლიოთეკარი; მაია დარჩიაშვილი – მიხ. ჯავახიშვილის სახ. მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ბიბლიოთეკარი; ლელა ბეჩინავა – ი.ჯავახიშვილის სახ. №23-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის მკითხველი, ჟურნალისტი; ავთანდილ ბიბილაშვილი – №53-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის მკითხველი, ისტორიკოსი; ლევან მაღალციძე – №53-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის მკითხველი, მოსწავლე; ალექსი ნონიაძე – №28-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის მკითხველი, მოსწავლე; ნინო ჭყონია – №18-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის მკითხველი, ჟურნალისტი; არსენა მეტონია – №12-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის მკითხველი, მოსწავლე; ლევან სეფისკვერაძე – №42-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის მკითხველი, სტუდენტი.

საკონკურსო ნაშრომები, რომლებმაც ჯილდო დაიმსახურა, შესრულებულია მაღალ ღონეზე, კონკურსის პირობების გათვალისწინებით პასუხები გაცემულია ყველა, ოცდათექვსმეტივე კითხვაზე. კონკურსის მონაწილენი არ იფარგლებიან ერთი ავტორის ერთი ნაშრომით. გამოყენებული აქვთ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა, მკვლევართა, სასულიერო მოღვაწეთა ნაშრომები. მათ შორის ღიდი ქართველი ისტორიკოსის – ი.ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ გომეულები, საისტორიო კრებული – „ქართლის ცხოვრება“, საქართველოს ისტორიის ნარ-





კვევები, ქართული ლიგერაგურის ისტორიის გომეულები, სასკოლო სახელმძღვანელოები, ი. ჭავჭავაძის წერილები ისტორიის შესახებ, აგრეთვე ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათას წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა წერილები, სტატიები და სხვ.

გამოყენებული იყო აგრეთვე ასურული და ურარგული ლურსმული წერილობითი წყაროების შესახებ არსებული ცნობები.

წაკითხული მასალის რაოდენობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ნინო მიშელაძე, ნინო მაისურაძე, ლევან შალაყიძე, ავთანდილ ბიბილაშვილი, ლელა ბეჟალაია, ნინო ჭყონია.

ვიქტორინა-კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა მიმდინარე წლის 27 მარტს მის.ჯავახიშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. დამსწრე საზოგადოებრიობამ კმაყოფილებით აღიქვა ვიქტორინა-კონკურსის შედეგები, მიულოცეს გამარჯვება კონკურსის მონაწილეებს, გამოთქვეს თავიანთი მოსაზ-

რება ღონისძიებასთან დაკავშირებით, ხაზი გაუსვეს ქართული სახელმწიფოებრიობის სამი ათასი და ქრისტეშობის ორი ათასი წლისთავის აღნიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების უდიდეს მნიშვნელობას. ითქვა ისიც, რომ ბიბლიოთეკის მუშაკები და მკითხველები თავიანთი საქმიანობით აქტიური მონაწილენი არიან ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისა. უსურვეს მათ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობაში წარმატებები.

ვიქტორინა-კონკურსმა შეასრულა თავისი პრაქტიკული და შემეცნებითი დანიშნულება – ხელი შეუწყო კონკურსის მონაწილეთა ცოდნის ღონის ამაღლებას, შეჰმაგა მათ სულის მხნეობა, განაწყო ქვეყნისათვის, მოყვასისათვის სასარგებლო საქმეების გასაკეთებლად, განაპირობა ბიბლიოთეკების ფონდების ეფექტური გამოყენება.

გოგი გარდაფხაძე  
თბილისის ცენტრალიზებული  
საბიბლიოთეკო სისტემის  
მეთოდისტი

გაკვზვ მკითხველს

წიგნი და მკითხველი

იცი თუ არა კითხვა?

არ შევცდები, თუ ვიგყვი, რომ ამგვარი შეკითხვა ბევრს გააკვირვებს, ვისაც უკვე კარგა ხანია წერა-კითხვა უსწავლია და თავისუფლად ახერხებს წაკითხულის შინაარსის გაგებას. ცხადია, ისინი მაშინვე მოგიგებენ: „რა თქმა უნდაო“, – მაგრამ ნუ ავიჩქარდებით. მაგალითად, გენიალურმა გოეთემ ერთხელ აღნიშნა, ოთხმოცი წელია ამ ხელობას ვეწევი და კითხვა ჯერაც ვერ მისწავლიაო.

კითხვა ჩვენი ქცევის ურთულესი პროცესია და ბევრმა მართლაც არ იცის, როგორ იკითხოს რაციონალურად, სრულყოფილად, როგორ დაეუფლოს წიგნის შინაარსს, როგორ ჩაწვდეს მას ღრმად, როგორ შეისწავლოს მასალა და დიდი ხნით დაიმახსოვროს ის, როგორ აქციოს კითხვა სასარგებლო შრომად.

კითხვის ცოდნა არ ნიშნავს მხოლოდ და

მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნას. აქ იგულისხმება ამ პროცესის როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციალური ასპექტები.

დღეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კითხვა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ყოველდღიური საქმიანობაა. ამა თუ იმ სახით ბეჭდვითი პროდუქცია ყველა ოჯახში იკვლევს გზას, ყველა კითხულობს, და ყველას თავისი მიზანი გააჩნია ამასთან დაკავშირებით. აღამიანები კითხულობენ ცოდნის შესაძენად, გასაცნობიერებლად, ინგერესის დასაკმაყოფილებლად, გასართობად, სხვა მრავალი კულტურულ-ესთეტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

როგორც არ უნდა იყოს, კითხვა, როგორც აღამიანის ფსიქოლოგიური მოქმედების აქტი, გონებრივი შრომის მსგავსია და ამიგომ იგი განსაკუთრებულ ორგანიზებას მოითხოვს.



ცხადია, კითხვის ორგანიზება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მოთხოვნები უდევს საფუძვლად ჩვენს მოქმედებას, რა მიზნით ვკითხულობთ. რამდენადაც უფრო რთული ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი, იმდენად უფრო სერიოზული მუშაობა გვმართებს წიგნზე, იმდენად უფრო მეტადაა საჭირო კითხვის პროცესის რაციონალურად წარმართვა.

წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა გარკვეულ დაოსტატებას საჭიროებს. ის, თუ რამდენად სწორად ვფლობთ ჩვენ ამ ხელოვნებას, დიდად განაპირობებს ჩვენი კითხვის კულტურის ღონეს.

კითხვის კულტურა ადამიანის მიერ კითხვისათვის საჭირო რაციონალური ჩვევების ფლობას გულისხმობს. მის ღონეს სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, ამა თუ იმ მკითხველს კითხვის როგორი კულტურა აქვს.

ადამიანის ურთიერთობა წიგნთან სოციალური თვალსაზრისით მეტად მრავალმხრივია. გარდა იმისა, რომ წიგნი ინახავს კაცობრიობის ნააზრევს და გადააქვს იგი ერთი ქვეყნიდან მეორეში, წიგნი წარმოადგენს აგრეთვე გონების გამდიდრების საშუალებას, იდეოლოგიური ბრძოლის იარაღს, ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილების საგანს. მისი მეშვეობით საზოგადოებას უყალიბდება გარკვეული მრწამსი და შეხედულებები, მორალური სახე, მწეობა. მისი ზემოქმედება ადამიანზე უაღრესად ძლიერია. კითხვაზე დიდადაა დამოკიდებული, თუ რა გზით განვითარდება ადამიანი, როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება იგი.

კითხვის კულტურის ღონის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი უძირითადესია წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ხელოვნება. ამ საკითხს არა ერთი შესანიშნავი მეთოდიკური თუ მეცნიერული ნაშრომი ეძღვნება, იბეჭდება რეკომენდაციები, კონკრეტული მითითებები. მათი შესწავლა წიგნზე სერიოზულად მუშაობის მსურველებს საგრძნობლად გაუადვილებს შრომას, ხელს შეუწყობს რაციონალურად მოახერხოს რთული მასალის დაძლევა.

წიგნი ცოდნის სალაროა, ჩვენი სულიერი სამყაროს შეცნობისა და დაუფლების საშუალება. ა.ს. პუშკინის სიტყვებით – „კითხვა – ეს საუკეთესო სწავლაა“. ჰერცენი თვლიდა, რომ „კითხვის გარეშე არ არსებობს არავითარი განათლება, არ არის და არც შეიძლება იყოს არავითარი გემოვნება, არავითარი ბგერა, არც არავითარი მრავალმხრივი გაგება“, ვიქტორ ჰიუგოს სამართლიანად მიაჩნია, რომ ყოველი

წაკითხული წიგნი „ახალ სახეს აძლევს გონებას“.

ჩვენი ილია მოხდენილად შენიშნავს, რომ „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეაო“ ... და სამართლიანად დასძენს: „მაგრამ არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა შეიძლებაო“.

უნდა შევიმუშავოთ წიგნის ნაყოფიერად ათვისებისათვის საჭირო მთელი სისტემა, ავიმალლოთ კითხვის კულტურა, რომ რამდენადაც შეიძლება მეტად დავზოგოთ დრო, მეტი წავიკითხოთ, უფრო კარგად დავიმახსოვროთ წაკითხული, ღრმად ჩავწვდეთ შინაარსს, საფუძვლიანად დავეუფლოთ მასალას.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწრაფად, ე.წ. დინამიკურ კითხვას. სწრაფი კითხვის ჩვევების გამომუშავება საკმაოდ ძნელია, მაგრამ მეტ-ნაკლებად იგი ყველასათვის მისაწვდომია. ბევრ ქვეყანაში სპეციალური სკოლები და კურსები არსებობს ამისათვის და განსაკვიფრებულ შედეგებსაც აღწევენ. მაგალითად, გერმანული ჟურნალის „შტერნის“ დამოწმებით, იაპონიაში არსებობს „სწრაფად კითხვის საზოგადოება“, რომლის წევრები საშუალოდ წუთში 100 000 ასონიშანს კითხულობენ, რის წყალობითაც მათ 250 გვერდიანი წიგნი შეუძლიათ 8-10 წუთში წაიკითხონ. სარეკორდოა 10 წლის კორეელი ბიჭუნას მონაცემები, რომელმაც შეძლო ვარჯიშის შედეგად ერთ წუთში 1.200 000 ასონიშანი წაეკითხა.

არაფერი შეგვიძლია ამ მონაცემების სიზუსტეზე ვთქვათ, მაგრამ ერთი ფაქტია: ადამიანში არის დიდი, გამოუყენებელი რეზერვი, რომლის ამოქმედება ვარჯიშის შედეგად სავსებით შესაძლებელია. ამ რეზერვების ამოქმედება მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანს შეუძლია. ამიგომაც საჭიროა, ვეცადოთ, დავეუფლოთ კითხვის ხელოვნებას, შევისწავლოთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, ავიმალლოთ კითხვის კულტურა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენს ცხოვრებაში რამდენადაც შეიძლება მეტი და სასარგებლო წიგნი წავიკითხოთ, მეტი სარგებლობა მივიღოთ მათგან, მეტ ცოდნას დავეუფლოთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ჩვენი ცხოვრებისეული შესაძლებლობები იმდენად შეზღუდულია, საჭიროზე გაცილებით ნაკლებს ვასწრებთ.

ნატო მჭედლიშვილი

საქართველოს მეცნ. აკად. ცენტრ.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

# ვიციტხით უმთად

აბა, ვის არ გამოუცდია ის სიამოვნება, რასაც წიგნის კითხვისაგან ღებულობს ადამიანი. მიხარ შენთვის განმარტობით, ხელს არაფერი გიშლის, გიდევის წინ წიგნი და შენს თვალწინ ახალი, მშვენიერი სამყარო იშლება. მაგრამ რამდენჯერ ყოფილა, რაღაც განსაკუთრებულს იპოვი წიგნში, რამე აგაღელვებს, გინდა დაუყოვნებლივ გაუზიარო შენი განცდა ვისმეს, შენი აზრი გამოთქვა, და ამ დროს არავინ არ არის გვერდით.

კითხვის პროცესი, საერთოდ, ყოველთვის იყო და არის დაკავშირებული აზრისა და შეხედულებების, გრძობებისა და განცდების გაზიარების მოთხოვნილებასთან. ამიგომაც, ზოგ შემთხვევაში, ხმამაღლა ერთობლივად კითხვის სურვილი აუცილებლობადაც კი ექცევა ხოლმე ადამიანს.

ერთად კითხვას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ამ დროს ჩვენ საშუალება გვძლევს ერთმანეთს აზრი გაუზიაროთ, გამოვთქვათ ჩვენი შეხედულებანი, ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ; ეს ხელს შეგვიწყობს, რამდენადაც შეიძლება, ღრმად ჩაეწვდეთ წიგნის შინაარსს, გავაანალიზოთ იგი, დავინახოთ ის, რაც შეიძლება, დამოუკიდებლად ვერც კი შეგვენიშნა. თუ აღმოჩნდა, რომ რამე გამოგვრჩა, რაც სხვამ გაიგო და ჩვენ ვერა, შეგვიძლია უკვე დამოუკიდებლად მივუბრუნდეთ და საფუძვლიანად გავეცნოთ მას.

ცხადია, ყველა წიგნის კითხვა არაა მიზანშეწონილი. უმჯობესია ერთად ვიკითხოთ მოთხრობები, ლექსები, მეცნიერულ-პოპულარული ნაწარმოებები, მხატვრული ნარკვევები და განსაკუთრებით ქურნალ-გაზეთები.

ერთად კითხვას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. ის გვაჩვენებს ორგანიზებულ კითხვას, დროის გეგმიურად გამოყენებას, ხელს უწყობს მეგობრული აგმოსფეროს გავრცელებას, გვიხვეწავს გემოვნებას, გვეხმარება დავეუფლოთ მსჯელობის, მასის წინაშე გამოსვლისა და კამათის ჩვევებს. ერთი სიტყვით, ხელს გვიწყობს ავიმადლოთ კითხვის კულტურის დონე.

ასეთი კითხვა ემოციურადაც შედარებით ძლიერია, განსაკუთრებით, როცა გექსტს კარგად, გამოთქმით კითხულობენ. ბავშვებს ძალიან უყვართ მხატვრული კითხვის ოსტატების მოსმენა.

მაგონდება, როცა მასწავლებელი ახალ მასალას გვიხსნიდა და გექსტს გვაკითხებდა ხმამაღლა, საოცარი გულმოდგინებით უსმენდნენ მოსწავლეები მკითხველს. არ მაგონდება თუნდაც ერთი შემთხვევაც კი, რომ ამ დროს ვინმეს წესრიგი დაერღვიოს, შენიშვნა დაემსახურებინოს, არ ესმინოს. ალბათ ბევრი თქვენ-

თაგანი დიდი გატაცებით უსმენს რადიოსა და გელევიზორში ლიგერატურული მასალის მხატვრულ კითხვას, დეკლამაციას. სულ პაგარა მკითხველები, როგორც ცნობილია, სიხარულით იყენებენ ზღაპრების ხმოვან ჩანაწერებს.

ჩემს ბავშვობაში დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. ომის შემდგომი პერიოდის ერთ ხანს ეკონომიურად ძალიან მძიმე იყო. ხშირად არ გვექონდა ელექტროენერგია, არ იყო გათბობა, გელევიზორზე ხომ წარმოდგენაც არ გვექონდა მაშინ. ჩვენი უმთავრესი სულიერი საზრდო წიგნი იყო. წიგნიც საღ იყო ამდენი. განსაკუთრებით საბავშვო წიგნი იყო ძნელი საპოვნელი. თუ რამეს ვიშოვიდით, ხელიდან ხელში გადადიოდა, და, აი, ამ დროს განსაკუთრებით გვეშველიდა ერთად კითხვის ჩვეულება. უმეტეს წილად არდადეგებზე მივმართავდით ამ წესს ქალაქის პარკებში, სოკლად თუ პიონერთა ბანაკებში.

რა დამავიწყებს მამთრის იმ გრძელ, ბნელ ღამეებს. საღამოს ნაეთის ღამის შუქზე მთელი ოჯახი შემოვუსხდებოდით მაგიდას, ღუმელში ცეცხლს გავაჩალებდით და ერთად ვკითხულობდით რაიმე საინტერესო წიგნს. დედას რუსული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას. მან ამგვარად გვაზიარა ჩვენ ორიგინალში რუსული ლიგერატურის კორიფეების: პუშკინის, ლერმონგოვის, გურგენევის, ნეკრასოვის, გოლსტოის შემოქმედებას. ჩემი ბავშვობის ყველაზე ტკბილი და სათნო მოგონებანი სწორედ ამ დღეებთანაა დაკავშირებული.

უჭველად იკითხეთ ერთად სკოლაში, ბიბლიოთეკებში, სკვერებში თუ ბაღებში, ბანაკებსა თუ დასასვენებელ სახლებში, განსაკუთრებით კი ოჯახში. მერწმუნეთ, მას დიდი სიხარული და სიამოვნება მოაქვს. ნერგავს ურთიერთგაგებას, სიყვარულს, მეგობრობას, მყუდროებას, ხალისს ანიჭებს ახლობლებს. დანერგეთ ეს წესი! მაგრამ მხოლოდ კითხვას ნუ დასჯერდებით, აუცილებლად გაარჩიეთ წაკითხული, იმსჯელოთ მასზე, იდავეთ, იკამათეთ, გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი აზრები და გრძობები, თქვენი განცდები. ეს დიდად შეგიწყობთ ხელს, აღიზარდით ჰარმონიულ, კეთილშობილ, ღრმად მოაზროვნე ადამიანებად. მოდით, უამრავი დრო, რომელსაც გელევიზორში ზოგჯერ არაფრისმოძებნი ფილმებისა თუ სხვა გადაცემებზე ვხარჯავთ, ამისათვის გამოვიყენოთ. ეს არ ნიშნავს, ვიშუალურ საშუალებებზე უარი ვთქვათ, მაგრამ დროს თუ გონივრულად გავანაწილებთ, ორივე საქმისათვის გვეყოფა. დაიწყეთ, სცადეთ. ცოცხალი ხანში ეს ჩვევად გადაგექცევათ და მოთხოვნილება ჩამოყალიბდება.

ალექსანდრე ლორია

ოლეგ გველესიანი

ბუმრუდ გოდერძიშვილი

ზარმაცე გელა

გადუშლია წიგნი დინჯად  
აივანზე ზარმაც გელას,  
იქით ფურცლავს, აქეთ ფურცლავს,  
გააკვირვოს უნდა ყველა.

მერე მზეზე წამოფიცხდა,  
მოერია ტკბილი ძილი,  
თავს მურია წამოადგა,  
ფხიზელი და მუდამ ფრთხილი.

აფრიალებს ქარი ფურცლებს,  
მურამ წიგნი მოიპარა,  
კიბეს ქვემოთ ფეხაკრეფით  
თავის ბუნაგს შეაფარა.

მერე, როცა გაიღვიძა  
მობეჯითე ბიჭმა – გელამ,  
გაკვეთილი გაახსენდა,  
გამოუდგა მურიკელას.

- შე ყაჩაღო, მომეც წიგნი! –  
ფეხით უმგვრევს მურას კარებს.  
ბებომ უთხრა: – გამოგიგანს,  
როცა კითხვას დაამთავრებს!

ლედა ენა

აი, ია, აი, წიგნი!  
შიგ ღვას ოქროს ათინათი.  
აქ მზეა და, აბა, მზის სხვის  
ყველას ერთად როგორ დათვლი?

ლედაენა, ლედახილი  
მზის და ლედამიწის შუა  
უნდა ყველამ შეისწავლოს,  
საქართველოს ღვიძლი თუა!

ცოდნის წყარო მოწკრიალეებს  
და ცხოვრების გაკვეთილი,  
სიბრძნით უნდა აღიზარდოს  
საქართველოს ყველა შვილი.

მამული და ლედაენა,  
გვეყვარება გულით მარად,  
ყველამ უნდა ვიბეჯითოთ  
საქართველოს გასახარად.



ქართულ წიგნს

შენ ხარ ვენახი  
ქართველი ერის,  
და სულიერი შენ ხარ საუნჯე,  
ციტ კურთხეული ნათება შენი  
საუკუნეთა სრბოლას გაუძლებს,  
როგორ ცოცხლობდი,  
როგორ მოხვედი,  
რა სული გქონდა,  
სული გრძნეული,  
როგორ აგარა მიწამ კოლხეთის,  
შენი აკვანი გადარწეული,  
შენ ხარ ვენახი, –  
ქართველი ერის,  
მადლი შენს გამჩენს,  
სხივებს ხეავრიელს,  
ლღეს საქართველო  
შენით ქართულობს  
დიდება შენდა მრავალქამიერ!

ნახატები  
ნინო ხვედელიძის

მრავალქამიერი

ლედა ენა, – ჩემი ყრმობის სალოცავი,  
ლედა ენა, – მზის ღვიძილი ირგვლივ,  
ლედა ენა, – ტკბილ-შარბათი საოცარი,  
ლედა ენა, – ერის ღვიძი წიგნი.  
აი ია, – მოქარგული სხივნათელი,  
აი ია, – ჩანჩქერების სხლგომა,  
ამ წიგნშია ნაგვრისთვალის საპოვნელი,  
ქართველების ბავშვობა და ყრმობა.  
მზეგროძელობა, – ღლეგროძელ-მრავალქამიერი,  
წიგნს, რომელსაც ლედა ენა ჰქვია,  
ბედნიერ ჰყოს, ღმერთმა იმერ, – ამიერთ,  
დაბადება სიგყვის, – „აი-ია“.

## „შექსპირი და კომპანია“ („Shakespeare & Company“)



**ირინა ლორია**  
ლიგერაგურათმცოდნე

პარიზის შუაგულში, ნოგრ დამის გასწვრივ, მარცხენა სანაპიროზე, მდინარე სენას მიუყვება ბუშერის (Rue de la Bucherie) ქუჩა, რომლის 37 ნომერში მდებარეობს წიგნის მაღაზია – ბიბლიოთეკა „შექსპირი და კომპანია“. ესაა პაგარა, XVII საუკ. სამსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე წიგნის მაღაზიაა, მეორეზე – ბიბლიოთეკა, ხოლო მესამეზე შექსპირისა და კომპანიის მფლობელი, ჯორჯ ვიგმენი (George Whitman) ცხოვრობს, რომელმაც 1950 წელს შეისყიდა „შექსპირი და კომპანია“, ოლეონის ქუჩიდან ბუშერის ქუჩაზე გადაიტანა და უკვე 50 წელია უძღვება ამ საქმეს.

„შექსპირი და კომპანიის“ დევიზია: ნუ იქნები არასტუმართმოყვარე უცხო ადამიანების მიმართ, რადგან ისინი შეიძლება გადაცმული ანგელოზები არიან. და ამ დევიზის შესაბამისად, „შექსპირი და კომპანიაში“ ყოველთვის რამდენიმე სტუდენტი თუ, უბრალოდ, თავგადასავლების მაძიებელი ახალგაზრდა ცხოვრობს, რომლებსაც ჯორჯ ვიგმენი თავშესაფარს აძლევს დალაგებისა და წიგნების გაყიდვის სანაცვლოდ. მასთან ასე თავშეფარებულ ახალგაზრდებს მეგსახელად Tumbleweed დაერქვათ, რადგან ამ სახელით ამერიკის უდაბნოს მცენარეა წოდებული, რომელიც ქარს გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეზე და სწორედ ასეთ ქარის მოტანილ ახალგაზრდებს იკედლებს ჯორჯ ვიგმენი. თავის ახალგაზრდობაში თვითონ იყო ქარის მოტანილი მოგზაური, რომელმაც 6 წლის განმავლობაში ფეხით იმოგზაურა მექსიკიდან პანამამდე და ამ ახალგაზრდების დახმარება, მაღლობის მოხდა ყველა იმათთვის, ვინც იგი ამ 6 წლის განმავლობაში შეიკვლდა და ლუკმა გაუყო.

გარდა თავშესაფრისა, ამ ახალგაზრდებს უნიკალუ-

რი შესაძლებლობაც ეძლევათ, იმოგზაურონ „შექსპირისა და კომპანიის“ წიგნების სამყაროში. საღამოს, როცა მაღაზია იკვებება, ბიბლიოთეკის მეორე სართულის იაგაკსა და რამდენიმე გახგმე საძილე გომრები იშლება და იწყება მოგზაურობა წიგნების საოცარ სამყაროში.

ჯორჯ ვიგმენი მკითხველებისადმი მიმართვაში წერს: დღეს, როცა 88 წლის ვარ და ვუყურებ ჩემს განვლილ ცხოვრებას, არ ვიცი, რამდენად ჭკვიანურია, კომპიუტერიზაციის ეპოქაში, წიგნის მაღაზიის ქონა. ალბათ, ჩემში ვოლგ ვიგმენის (მის დიდი ბაბუა ითვლება. ი.ლ.) სული ირეკლება, რომელსაც საუკუნის წინ წიგნის მაღაზია და გამომცემლობა ჰქონდა ბრუკლინში. მაგრამ ეგებ რაღაც სარგებელი მაინც ჰქონდეს წიგნის მაღაზიას. როგორც ადრეულ საუკუნეებში, მისი ჩასვლასთან ერთად Freme lampier (შუქის კაცი) ჩამოივლიდა ხოლმე ქუჩებში შუქის დასანთებად, ეგებ ჩემი წიგნის მაღაზიაც ამ Freme lampier – ის როლს ასრულებს ადამიანებისათვის და ალბათ გამოჩნდება კიდევ ვინმე, ვინც ამ ხელობას გააგრძელებს.

„შექსპირი და კომპანია“ საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ იუნესკოში წარადგინა, რათა აღიარებულ იქნეს მსოფლიო საგანძურად. ცხადია, ასეთ დაფასებაში ჯორჯ ვიგმენს დიდი წვლილი მიუძღვის, მაგრამ „შექსპირი და კომპანიის“ სახელი მაინც მთლიანად სილვია ბიჩის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ მისგან გადაეცა ჯორჯ ვიგმენს Freme lampier – ის ფუნქცია.

სილვია ბიჩი (Sylvia Beach) 1887 წ. დაიბადა მერილენდის შტატის ქალაქ ბალტიმორში. მამამისი წლების განმავლობაში პრინსტონის პირველი პრესვიტერიანული ეკლესიის მღვდელი იყო და სწორედ მამამისის სამსახურებრივი საქმიანობის გამო, 1900 წელს სილვია ბიჩი პირველად მოხვდა პარიზში, სადაც მამამისი ამერიკელი სტუდენტების ცენტრის დირექტორად და ამერიკული ეკლესიის მღვდლის დამხმარედ მუშაობდა. პირველ ვიზიტს მოყვა სხვა ხშირი ვიზიტები და 1916 წელს სილვია ბიჩი საბოლოოდ დასახლდა პარიზში.

1919 წელს, მისი მეგობრის, ადრიან მონიეს (Adrienne Monnier) ხელშეწყობით, რომელიც ოლეონის (Rue de O'deon) ქუჩის ნომერ 7-ში მდებარე წიგნის მეგობართა ასოციაციას (La Maison ds Amis des Livres) ხელმძღვანელობდა, სილვია ბიჩი სსნის ინგლისურენოვანი წიგნების მაღაზიასა და ბიბლიოთეკას ლუპუეტრენის (Rue Depuytren) ქუჩის ნომერ 8-ში და მას არქმევს „შექსპირი და კომპანიას“ (Shakespeare & Co). 1922 წელს მაღაზია-ბიბლიოთეკა გადააქვს ოლეონის ქუჩის ნომერ 12-ში, ზუსტად ადრიან მონიეს ასოციაციის წინ. 1941 წელს გერმანელების მიერ პარიზის ოკუპაციის შემდეგ, მაღაზიის

კონფისკაციის თავიდან აცილების მიზნით, მაღაზია-ბიბლიოთეკა გადააქვს მეორე სართულზე, სადაც თვითონ ცხოვრობს. ასე დაასრულა ოფიციალური არსებობა სილვია ბიჩის მაღაზია-ბიბლიოთეკამ, რადგან ომის დამთავრების შემდეგაც ოფიციალურად აღარ განუახლებია თავისი საქმიანობა.

„შექსპირი და კომპანიის“ როლი ლიგერატურის ისტორიაში სწორედ პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდს ემთხვევა – 1922 წელს ოდენონის ქუჩაზე გადასვლიდან 1941 წელს, მის დახურვამდე. ამ პერიოდში „შექსპირი და კომპანია“ არა მარტო ინგლისურენოვანი წიგნების მაღაზია-ბიბლიოთეკაა, არამედ ლიგერატურული სალონია, თავშეყრის ადგილი, როგორც პარიზში მყოფი ინგლისურენოვანი მწერლებისა და ლიგერატურული მოღვაწეების, ასევე ფრანგული ლიგერატურული სამყაროს წარმომადგენლებისათვის.

1922 წელი ლიგერატურის ისტორიაში იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ წელს სილვია ბიჩმა თავის მოღვაწეობას გამომცემლობის საქმიანობაც შემატა. სწორედ ამ წელს გამოაქვეყნა ჯეიმს ჯოისის „ულისე“ და ყოველნაირად ხელს უწყობდა წიგნის გავრცელებას და ეს მამინ, როცა ჯოისი აკრძალული მწერალი იყო ამერიკასა და ინგლისში. ამ გამოცემას მოყვა ისევ ჯოისის „Pomes Penyeach“ და 1929 წელს უკვე „შექსპირი და კომპანიის“ სახელით გამოსცა ჯოისის ნაშრომები, რომლებიც შემდგომში „Finnegans Wake“-ში შევიდა.

1959 წელს სილვია ბიჩმა გამოაქვეყნა თავისი მეშუარები, რომელშიც დაწვრილებით იხსენიებს ყველა იმ ცნობილ ადამიანს, რომელიც პირველსა და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პარიზში და იყო მისი ლიგერატურული სალონის სშირი სტუმარი. ამავე წელს სილვია ბიჩის მონაწილეობით ამერიკის საელჩომ პარიზში მოაწყო გამოფენა: პარიზი და მისი მეგობრები 1920-30 წწ (Paris et leurs amis 1920-30), სადაც წარმოდგენილი იყო სილვია ბიჩის არქივი, მათ შორის ის ნივთები, რომლებიც ფრანგმა, ინგლისელმა და ამერიკელმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა უსახსოვრეს „შექსპირი და კომპანიას“.

დღეს სილვია ბიჩის მთელ არქივს პრინსტონის ბიბლიოთეკა ინახავს მისივე სურვილით, გარდა ჯოისის კოლექციისა, რომელიც შეიცავს ჯოისის ნაწარმოებების ხელნაწერებს (ისინი პირადად მან გადასცა სილვია ბიჩს) და აგრეთვე მათ მიმოწერას. არქივის ეს ნაწილი სილვია ბიჩმა ბაჟალოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა. პრინსტონის ბიბლიოთეკის სილვია ბიჩის არქივში კი შედის მიმოწერა ისეთ ცნობილ ადამიანებთან, როგორებიც არიან: ემრა პაუნდი, ჯერგრუდა სტაინი, ერნესტ ჰემინგუეი, თ.ს.

ელიოტი, პოლ ვალერი, ანდრე ჯიდი, სკოტ ფიცჯერალდი და სხვანი. გარდა წერილებისა, არქივი შეიცავს ყველა ამ მწერლის წიგნების პირველ გამოცემებს, სილვია ბიჩისადმი სამახსოვრო წარწერით. ხოლო რაც შეეხება სილვია ბიჩის მაღაზია-ბიბლიოთეკის წიგნებს, იგი სილვია ბიჩმა პარიზის უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიგერატურის განყოფილებას გადასცა.

სილვია ბიჩი გარდაიცვალა 1962 წელს და მისი ნეშტი გადაასვენეს პრინსტონში, მის მშობლიურ ქალაქში, სადაც მან თავისი ბავშვობა გაატარა და რომელსაც დაუგოვა მთელი თავისი არქივი, მაგრამ პარიზი მისთვის იმ განსაკუთრებულ ქალაქად დარჩა, რომელზეც წერს თავის მოგონებებში პარიზში პირველ ვიზიტთან დაკავშირებით: ეს იყო ადგილი, სადაც ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები უნდა მომხდარიყო.



*The article “Shakespeare & Company” written by Irina Loria speaks about the history of “Shakespeare & Company”, English book store and library, founded by American Silvia Beach in Paris at the beginning of the XX c, which became the meeting point and cultural center of Anglo-American and French writers, critics and public figures, such as Hemingway, Joyce and many others*

# ბიბლიოთეკათმცოდნეობა საერთაშორისო გბი ( DBY ) – ის ჟურნალებში

საერთაშორისო საბიბლიოთეკო საინფორმაციო საშუალებები და მათ შორის ინტერნეტი აქტიურად აშუქებს ინფორმაციებს ბიბლიოთეკების დარგში. აშუქებენ აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბიბლიოთეკების მუშაობას და საუბრობენ მათ პრობლემებსა და მიღწევებზე. ეს სტატია გახლავთ ერთ-ერთი, რომელშიც გერმანელი სპეციალისტის საუბარია საქართველოს ბიბლიოთეკების პრობლემებზე. სტატია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში დანახულია საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობა, თუმცა იგი არა თანამედროვეობას, არამედ ახლო წარსულს ეხება, რის შემდეგაც ბევრი რამ შეიცვალა.

ინგო კოლასა

## საქართველო, დავიწყებული ქვეყანა?

ამას წინათ მე „ფრანკფურგის საყოველთაო გაზეთში“ („Frankfurter Allgemeine“) წავიკითხე სტატია საქართველოში ტურიზმის შესახებ. გაზეთი გვამცნობდა: „ალარაფინ მიემგზავრება საქართველოში, მაგრამ ქვეყანას მაინც არ დაუკარგავს იმედი“.

ამა წლის იანვარში მე სამუშაო ვიზიტით გახლდით თბილისში, საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქში. ყოფილი სსრკ-ს დაშლის შემდგომ ქვეყანას დიდი პრობლემები გაუჩნდა. მართალია, მრავალი წლის შემდეგ საქართველომ კვლავ მიაღწია დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრივ სრულ სუვერენიტეტს, მაგრამ იგი მრეწველობის ბოლო მღვარზეა. ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას საქართველო მაღალი რანგის აგრარული მხარე იყო, მხოლოდ მცირე ინდუსტრიული დახმარება სჭირდება. რაც შეეხება ენერგომომარაგებას, საქართველო, ჩვეულებრივ, როგორც ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რუსეთზე იყო დამოკიდებული.

სამრეწველო სიძნელების გვერდით, რომლებიც სუვერენიტეტის მიღების შემდგომ წამოიჭრა, ქვეყანაში სამოქალაქო ომიც გაჩაღდა, რომელმაც პრობლემატური სიტუაცია კიდევ უფრო გაამძაფრა. ორივე სიძნელის განვითარებას თან მოჰყვა ქვეყნის ნანგრევებად ქცევა.

ჩამსვლელს თბილისი, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სიღამაზით, დღეს სამოქალაქო ომის ჭრილობებით ხვდება. განსაკუთრებით საპრემიერ-დენგო სასახლის ახლოს დგანან დანგრეული და ნაგყვიარი შენობები. დენი მხოლოდ 2-3 საათით მიეწოდება ქალაქს დილა-საღამოს. გათბობა მთელს ქალაქში გამორთულია. ზამთარი საქართველოში რბილია, მაგრამ გემპერაგურა 0°-ს ქვემოთ მაინც ჩამოდის. საწარმოებსაც საათობრივად მიეწოდებათ ელექტროენერგია. ამას კი შედეგად ის მოსდევს, რომ ფაქტიურად მთელი ინდუსტრია დამბლადაცემულია. საქართველოს მცხოვრებლები ცდილობენ ვაჭრობით ირჩინონ

თავი. საყიდელი საკმაოდ ბევრია, მაგრამ ქართველებს ყველაზე აუცილებელის ყიდვა თუ შეუძლიათ.

ასეთ სიგუაციაში რამდენიმე დღის განმავლობაში ვესტუმრე მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკას თბილისში. ბიბლიოთეკა დღის განმავლობაში 3 საათით, 10-დან 13 სთ-მდე, არის ღია. ბიბლიოთეკის დირექტორმა ნ. გურგენიძემ ამიხსნა, რომ მეტი ხნის განმავლობაში თანამშრომლებს, უბრალოდ, არ შეუძლიათ გათბობის გარეშე გაძლება. ღიაა მხოლოდ პატარა სპეცდარბაზები, რადგან დიდი ცენტრალური 200 ადგილიანი დარბაზის ალდგენის ფული არ გააჩნიათ. ამ დიდ დარბაზში მიწისძვრის შემდგომ მთელი კედლები ჩამოიშალა. იგი მხოლოდ იმდენად არის შეკეთებული, რომ უამინდობისას წყალი არ ჩამოვიდეს. ამდენად, სამკითხველო დარბაზი ამ დროისათვის წიგნის საცავად არის გამოყენებული და კიდევ უფრო მარალდება. ბიბლიოთეკას არ გააჩნია სამკითხველო დარბაზების მინების ჩასმის საშუალებაც კი. გასაკვირია, კიდევ რა განწყობით ემსახურებიან ბიბლიოთეკარები მკითხველებს. თქვენ წარმოიდგინეთ, სიცივესთან ერთად, როცა დენი არ არის, საცავებში შუქი არა აქვთ და ლიფტებიც არ ფუნქციონირებს, ყველაფერი ლამფის შუქზე და ხელით სრულდება. ბიბლიოთეკარი 6-დან 8 ლარამდე ღებულობს (1\$ = 1,2 Lari), პური 20 თეთრი (1ლარი = 100 თეთრი) ღირს. ამ ციფრების შემდეგ შემდგომი განმარტებები ალბათ საჭირო აღარაა. ერთ-ერთი საუბრისას ბაგონმა გურგენიძემ ამიხსნა ქვეყნის სიძნელებები და განსაკუთრებით თავისი ბიბლიოთეკისა. ამან ყველაფერმა მაიძულა ამ სტაგიის დაწერა.

ბიბლიოთეკას, რომელსაც ადრე 100-მდე პარგნიორი ჰყავდა სამღვარგარეთ, ახლა გაცვლის ობიექტებთან წიგნების გადაგზავნის საშუალებაც არ გააჩნია, არა იმიტომ, რომ საჭირო პუბლიკაციები არ არსებობს, არამედ გადაგზავნის ფული არა აქვთ.

ბაგონმა გურგენიძემ მოხოვა, იქნებ როგორმე ამეხსნა ეს სიგუაცია გერმანიაში; განსაკუთრებით კი გაცვლითი პარგნიორებისათვის მეცნობებინა ამის შესახებ. ბიბლიოთეკა ითხოვს აგრეთვე შეძლებისდაგვარად არ შეწყდეს გაცვლითი ეგზემპლარების გადმოგზავნა. მას იმედი აქვს, რომ სიგუაციის გამოსწორების შემდეგ იგი შესძლებს გაცვლების დაბალანსებას. ბიბლიოთეკა მადლობელი იქნება სამღვარგარეთიდან ყოველნაირი დახმარებისათვის. აქ, საერთოდ, ყველაფრის ნაკლებობაა, საბეჭდი ქალაქიდან მოყოლებული – საბეჭდი მანქანებით, წიგნებით და ჟურნალებით დამთავრებული.

მთლიანად საქართველო და, რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკებიც სამღვარგარეთის დახმარების გარეშე ვერ დადგება ფეხზე. რაც შეეხება სამუშაო და ცხოვრების პირობებს, მე რამდენჯერმე ვიხილე რუსეთის ფედერაციის ბიბლიოთეკები, მაგრამ რაც მე საქართველოში ვნახე, ამან ყოველგვარ ნანახს გადააჭარბა. გერმანულმა კულტურამ და გერმანულმა ენამ ჯერ კიდევ ადრევე განსაკუთრებული როლი ითამაშეს საქართველოში და ქართველებს იმედი აქვთ, რომ დაეყრდნონ ამ გრადიციებს. ეს განსაკუთრებით ნათელი ვახდა, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი, ბაგონი კინკელი, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების წინაშე წარსდგა თავისი სტუმრობისას 1996 წელს.

მე იმედი მაქვს, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ბიბლიოთეკარები შეიგნებენ საქართველოს პრობლემებს. იქნებ რომელიმე ბიბლიოთეკას ან გამომცემლობას აქვს საშუალება დაეხმაროს ბიბლიოთეკებს საქართველოში. ქართველები ოდითგანვე ამაყი ხალხი იყო, დახმარების თხოვნა მათ მენტალიტეტს არ შეესაბამებოდა. ამ წერილით კი მხოლოდ ამის გამოხატვა მსურდა.

გერმანულიდან თარგმნა: თინა ჯაჭვიაძე

„Bibliotheksdiens“ Heft 4, 96.



## ბიბლიოთეკა და რელიგიური ნეიგრალიტეტი

ყოველი რელიგიის უკან რწმენით სავსე ადამიანები დგანან. მათ ცხოვრებისეული განსაცდელის წინაშე ყოფნის დროს რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ნუგეშით ავსებს, აძლევს ძალას და მომავლის იმედს.

1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს მიერ მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, სადაც ნათქვამია: „ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი, თანაბარი ღირსებებითა და უფლებით. მათ მომადლებული აქვთ გონიერება და სინდისი და ერთმანეთს უნდა ეპყრობოდნენ ძმური სულისკვეთებით გამსჭვალულნი“ (პარაგრაფი 1.).

აქედან გამომდინარეობს რელიგიის თავისუფლების მოთხოვნა: „ყველას აქვს უფლება იდეების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება გულისხმობს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და საჯაროდ ან ინდივიდუალურად ქადაგების თავისუფლებას, ლოცვისა და რელიგიური რიტუალების შესრულების თავისუფლებას“ (პარაგრაფი 18.).

ადამიანებმა პაგივი უნდა სცენ განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანის რელიგიურ რწმენას. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ამ რწმენის შინაარსის გაზიარებას, არამედ რწმენის, როგორც სულიერი ფაქტის არსებობის აღიარებას სხვა ადამიანში.

1970 წელს ქ. კიოგოში ჩაგარდა „რელიგიათა მსოფლიო კონფერენცია მშვიდობისათვის“. კონფერენციაზე შეკრებილმა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებმა რეზოლუციაში უნივერსალური ეთნოსის საფუძვლები ჩამოაყალიბეს. მათ აღიარეს, რომ ადამიანებს აერთიანებს რწმენა ადამიანთა თანასწორობისა და ღირსებისა, შეგნება პიროვნებისა და მისი სინდისის ხელშეუხებლობისა, რწმენა იმისა, რომ სიყვარულს, თანაგრძნობას, თავდადებას, სულის სიმტკიცეს მეტი ძალა აქვს, ვიდრე სიძულვილს, მგრობას.

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლური ქრისტიანული

რელიგიის გვერდით თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონდათ კათოლიკურ, გრიგორიანულ, იულაურ, მაჰმადიანურ რელიგიებს. ქართველი ხალხის გრადიციული ინტერნაციონალიზმი, სხვა ერებისადმი კეთილგანწყობილი ბუნება და შემწყნარებლობა ყოველთვის ურყევ საფუძველს უქმნიდა საქართველოს გერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს ეროვნული რწმენის შეუზღუდველობისათვის. ამას მოწმობს თუნდაც საქართველოში ებრაელთა მშვიდობიანი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ჩვენს ქვეყანაში რელიგიური მოთხენილებების დაკმაყოფილება კონსტიტუციურად არის აღიარებული და განმტკიცებული. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა...“ (თავი 2, მუხლი 14), რომ „სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან“ (თავი 1, მუხლი 9).

საქართველოს ბიბლიოთეკებმა გვერდი არ უნდა აუარონ რელიგიის პრობლემებს. თანამედროვე ბიბლიოთეკარები ვალდებული არიან თავიანთი პროფესიონალიზმითა და კეთილსინდისიერი საბიბლიოთეკო მომსახურებით წარმოაჩინონ ბიბლიოთეკების უმნიშვნელოვანესი როლი საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში.

საქართველოს მთავრობამ ორი კანონი მიიღო ბიბლიოთეკების შესახებ: 1996 და 1997 წლებში. ერთი არის ზოგადად საბიბლიოთეკო კანონი, მეორე – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ. ორივე კანონი ითვალისწინებს, რომ „ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

1. პოლიტიკური და რელიგიური ნეიგრალიტეტი;
2. მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;
3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდელობა.

ამ პრინციპების რეალიზაცია კი ბიბლიოთეკარებისგან მოითხოვს საქმის ღრმა ცოდნას, მაღალ კულტურას და ადამიანებისადმი სიყვარულს. ამაში გამოიხატება ბიბლიოთეკარის მაღალი ჰუმანიზმი. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მიხედვით ბიბლიოთეკარმა უნდა შესძლოს ბიბლიოთეკის მუშაობის სწორად წარმართვა. ამისათვის უნდა ფლობდეს სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ თვისებებს. პატივი უნდა სცეს ყველა რელიგიის მიმდევარს, წარმოდგენა უნდა ჰქონდეს რელიგიებისა და რელიგიური მიმდინარეობების წარმოშობასა და მის განვითარებაზე, მთავარ დოგმატურ სისტემებზე, წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ წიგნებზე.

ყველა რელიგია მორიდებასა და ყურადღებას იმსახურებს. ბიბლიოთეკების მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ღონისძიებები არ იყოს მქადაგებლურ-კატეხიზმური, არაქრისტიანული რელიგიის მორწმუნემ არ უნდა იგრძნოს ბეწოლა საკუთარ რელიგიაზე და სინდისზე. ბიბლიოთეკარმა მომთმენი, ტაქტიანი, თავაზიანი მოპყრობით სწორად უნდა განსაზღვროს მკითხველის ინტერესები. შეურჩიოს მისთვის საინტერესო ლიტერატურა და გამოიყენოს მასობრივი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორცაა ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები რელიგიურ თემებზე, შეხვედრები ეკლესიის მსახურებთან, რომელთაც აგრეთვე შეუძლიათ შეფობა გაუწიონ ბიბლიოთეკას. ბევრს აინტერესებს, რატომ ვაჭარებთ ჯვარს? რატომ ვინათლებით? რისთვის დავდივართ ეკლესიაში? რა საჭიროა აღსარება და სხვა. ყველა ამ კითხვაზე სწორ პასუხს მხოლოდ ეკლესიის მსახურნი გაგვცემენ.

მკითხველთა დაინტერესებას გამოიწვევს აგრეთვე რომელიმე მხატვრული ნაწარმოების განხილვა, სადაც ხაზგასმულია რელიგიური თემა ან რომელშიც ადამიანის სულიერ განჯვასა

და გკვილებზე, რწმენასა და ურწმუნობაზე მოთხრობილი. ასეთი ღონისძიებები გარკვეულ როლს შეასრულებს მკითხველთა მორალური მხარის გასაჯანსაღებლად.

ბიბლიოთეკარმა თავისი ფუნქცია რომ შეასრულოს რელიგიური განათლების სფეროში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააჩნდეს სათანადო რელიგიური წიგნები და პერიოდული გამოცემები, როგორც ქრისტიანული, ისე სხვა რელიგიებისა.

ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში ძირითადი სარწმუნოება ქრისტიანობაა. მასთან არის დაკავშირებული საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა და კულტურის განვითარება. ჩვენმა წინაპრებმა მრავალი ჭირი და განსაცდელი გადაიტანეს, რომ შემოენახათ მართლმადიდებლური სული. სხვა აღმსარებლობის ადამიანებიც ოდითგანვე თავისუფლად ცხოვრობენ მართლმადიდებლების გვერდით და არც ახლა არიან შეზღუდული. ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას სჭირდება სწორი რელიგიური ორიენტაცია.

ბიბლიოთეკების რელიგიური ნეიგრალიტეტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიბლიოთეკებმა თავიანთ ფონდებში დაიცვან მართლმადიდებლური რელიგიის საწინააღმდეგო აზრის გამგარებელი ლიტერატურა, ან თავიანთი ფართობი დაუთმონ სხვადასხვა სექტების წარმომადგენელთა თათბირებსა და სხვა სახის ღონისძიებებს. საბიბლიოთეკო ფონდებში დაცული უნდა იქნეს მსოფლიოს ძირითადი რელიგიების ამსახველი ლიტერატურა. ბიბლიოთეკარი ოპერატიულად უნდა გამოეხმაუროს რელიგიურ დღესასწაულებს საბიბლიოთეკო მუშაობის სხვადასხვა ფორმებითა და მეთოდებით.

### ნანა ქავთარაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკის

ბიბლიოთეკათმცოდნეობის

ცენტრის მეთოდისტი



## ჯორჯ სოროსი და მისი ფონდი საქართველოში

ეს წერილი მიზნად არ ისახავს სრულყოფილად გააშუქოს სოროსის ცხოვრებისა და საქველმოქმედო საქმიანობის დეტალები. ამ ინფორმაციით ჩვენი ჟურნალის მკითხველებს მოკლედ გვინდა მოვუთხროთ სოროსის პიროვნებისა და მის მიერ საქართველოში განხორციელებული საბიბლიოთეკო პროგრამების შესახებ.

ჯორჯ სოროსი დაიბადა 1930 წელს, უნგრელი ებრაელის ოჯახში. ბავშვობა სიღარიბეში გაატარა. 17 წლის ჯორჯი ინგლისში გადავიდა. მუშაობდა მღებავად, რესტორანში მიმგანად, არ თაკილობდა უბრალო სამუშაოს. 1949 წელს იგი შევიდა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ლონდონის ერთ-ერთ ბანკში; ყიდდა აქციებს. სწორედ ლონდონში შეიგროვნო ახალგაზრდა სოროსმა დემოკრატიის გემო. 26 წლის ჯორჯ სოროსი ნიუ-იორკში გადასახლდა; მაშინ მას 5000 დოლარი ჰქონდა. 1961 წელს მიიღო აშშ-ს მოქალაქეობა. ამ დროისათვის იგი ვაჭრობდა ფასიანი ქაღალდებით. სავაჭრო პრაქტიკამ, გამოცდილებამ და უკუყარმა ალლომ სოროსი ცნობილი ინვესტორი გახდა. ბაზარზე იგი არ თამაშობდა ჩვეულებრივი წესებით. იგი გულმოდგინედ აღევნებდა თვალყურს, თუ როდის შეიცვლებოდა თამაშის წესები. მისი პირადი თვისებებიდან აღსანიშნავია: ნათელი გონება, სტოიციზმი, ინგუიციბა, რისკი და სხვ. მისი სიმდიდრე დაიწყო 250 000 დოლარით. ფულს აბანდებდა იქ, სადაც საიმედო იყო. საინვესტიციო ბიზნესში ჯორჯ სოროსი ახალ სიმაღლეზე ავიდა 1970-იან წლებში. ამ დროისათვის მას ჰქონდა 100 მლნ. დოლარი. ამით მან გარკვეული გეგავლენა მოიპოვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. იგი გვევლინება როგორც სამოგადოებრივი მოღვაწე. 1990-იან წლებში ჯორჯ სოროსი უკვე მილიარდების მფლობელია.

ეყრდნობოდა რა საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს, სოროსი ცდილობდა დაეპყრო იმ ადამიანთა გონება, რომლებიც შემდგომში, მოგვიანებით მიიღებდნენ დასავლეთში აღიარებულ თავისუფლებას, რომელსაც ესოდენ პატივს სცემდა თვითონ სოროსი. 1980-იანი წლებიდან სოროსის ფონდი აყვავების პერიოდში

იყო. ამ დროისათვის მისმა ფონდმა ფეხი მოიკიდა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე. ჯორჯ სოროსი, როგორც მსოფლიოს უდიდესი ინვესტორი, გადაიქცა მსოფლიოს უდიდეს ქველმოქმედად. 1992-1993 წწ. სოროსმა საქველმოქმედო მიზნებისათვის გამოყო 500 მლნ.

დოლარი. დახურული საზოგადოებისათვის გაწეულმა საქველმოქმედო საქმიანობამ მას მოუგანა მეტი კმაყოფილება, ვიდრე დაგროვილმა მილიონებმა.

სოროსი პოპულარობას ეძებდა, მას სურდა დაერწმუნებინა



სამყარო, რომ იგი უბრალო მდიდარი არ არის. 70 წელს გადაცილებული სოროსი აცხადებს, რომ იგი პირველ რიგში ქველმოქმედია, რომ მისი საინვესტიციო კარიერა წარსულს ჩაბარდა. სოროსი ყოველთვის თვლიდა, რომ იგი იდეების ენთუზიასტია და არა კოლექციონერი.

მოგვიანებით სოროსმა გადაწყვიტა თავისი სახსრები წარემართა ღია საზოგადოების მხარდასაჭერად, სადაც ადამიანები იმოქმედებდნენ დამოუკიდებლად. იგი ფაქტიურად აფინანსებდა გადაგრიანებებს აღმოსავლეთ ევროპასა და სსრკ-ში. ეს გადაგრიანება ხდებოდა მოქალაქეთა შეგნებებში და არა ქუჩებში. მას დიდი ფულადი სახსრები გამოჰქონდა მდიდარი დასავლეთიდან ღარიბი აღმოსავლეთისაკენ.

1987 წლიდან სოროსმა გადაწყვიტა თავისი ფონდები გაეხსნა სსრკ-ს ტერიტორიაზე, როგორც სანიმუშო დახურულ საზოგადოებაში. ამ მიზნებისათვის 1992 წელს ჰქონდა 100 მლნ. დოლარი. 1994 წლისათვის სოროსის ფონდი არსებობდა მსოფლიოს 26 ქვეყანაში 89 განყოფილებით. სოროსის ფონდი ძირითადად აფინანსებს კულტურის, განათლების, მეცნიერების

დარგებს, ხელს უწყობს მათ პროგრესს და გარდაქმნას. ფონდის დაფინანსება პრიორიტეტულ მიმართულებებზე ითვლება საბიბლიოთეკო საქმეში – ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია, ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა, სტიპენდიების დანიშვნა, უცხო ენების, საბიბლიოთეკო პრაქტიკის შესწავლა, სტაჟირება და სხვ.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში სოროსი ადვილად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს სამყარო ძნელად აღსაწერია, რომ იგი აღსავსეა მოულოდნელობით. პრაქტიკულ საქმიანობაში იგი ყოველთვის თავშეკავებული და წყნარია, გარკვეულწილად ცივისისხლიანიც. თავის თავს იგი უწოდებს ფინანსური პროცესების კრიტიკოსს. თავისი სახრები მას ყოველთვის სურდა წარემართა კეთილი მიზნების სამსახურისათვის. სწავლობდა რა საინვესტიციო ბიზნესს, სოროსი ცდილობდა გაეგება დახურული სამოგადოება სსრკ-ში და აღმოსავლეთ ევროპაში. ამ მიზნით იგი აფინანსებდა დიდ პროექტებს.

სოროსი თავს ყოველთვის უკეთესად გრძნობდა თავის გონიერების სამყაროში, ვიდრე ფინანსურ სამყაროში. მიაგნო რა ფულის შოვნის იოლ გზას, მას ყოველთვის სურდა მეტი გაეკეთებინა, ვიდრე სიმდიდრის დაგროვება. იგი ფულს მოულობდა, რათა სხვა ადამიანებთან დაეხანლებინა. იგი ცდილობდა, თავისი წვლილი შეეგანა კაცობრიობის ცოდნის სამსახურში. სწავლობდა რა ეკონომიკურ თეორიებს, სოროსი ყოველთვის თვლიდა, რომ ეკონომისტებს არ ყოფნით პრაქტიკული ცოდნა, თუ როგორ არის მოწყობილი სამყარო.

თავის საქმეში სოროსი მარჯვედ იყენებს კომპიუტერს, ინტელექტუალურ და ანალიტიკურ შესაძლებლობებს. მისთვის უფრო ადვილია ფულის შოვნა, ვიდრე მისი ხარჯვა.

საქართველოში სოროსის ფონდი 1995 წლიდან ფუნქციონირებს სახელწოდებით: „ღია სამოგადოება-საქართველო“. საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის სოროსის ფონდი აფინანსებს ქსელური ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკების ეროვნულ პროგრამებს. ეროვნული პროგრამების დაფინანსება დაიწყო 1997 წლიდან. ორივე პროგრამის დასაფინანსებლად ყოველწლიურად საშუალოდ იხარჯება 80 000 აშშ დოლარი. მარტო ეროვნული პროგრამებისათვის

მეზისათვის სოროსი ყოველწლიურად გამოყოფს 25 000-ზე მეტ დოლარს. ასეთი პროგრამების ძირითად შინაარსს შეადგენს ბიბლიოთეკების მოწყობა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად, რათა ბიბლიოთეკები გადაიქცნენ ნამდვილ საინფორმაციო-საბიბლიოთეკო ცენტრებად. დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებაა ბიბლიოთეკების ავტომატიზაცია. სოროსის ფონდი აქტიურად უწყობს ხელს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებულ კონსორციუმს. იგი წარმოადგენს საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემების განვითარების სამოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს საქართველოს მთავარ ბიბლიოთეკებს, დარგის უნივერსალურ და მსხვილ სამეცნიერო სპეციალურ ბიბლიოთეკებს. კონსორციუმში განსაზღვრავს საქართველოში ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის სტრატეგიულ მიმართულებებს. ამიგომ სოროსის ფონდი აქტიურად უწყობს ხელს კონსორციუმის განვითარებას.

საქართველოში ბიბლიოთეკების პროგრამებით დამკვიცებული პროექტებიდან აღსანიშნავია „რეგიონალური ბიბლიოთეკების ინფორმაციზაცია“, „ქურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მაგერიალურ-გეგმიკური ბაზის ჩამოყალიბება“, „ქართული საბიბლიოთეკო ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზა ინტერნეტში“, „საქართველოს ინვალიდთა საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესება“ და სხვ.

ფონდი „ღია სამოგადოება-საქართველო“ აგრძელებს საქართველოში საბიბლიოთეკო პროგრამების განხორციელებას. საჭიროა ბიბლიოთეკებმა მეტი აქტიურობა გამოიჩინონ ამ ფონდთან მიმართებაში; გამოცხადებული კონკურსების შესაბამისად საჭიროა პროექტების შედგენა და წარდგენა. სოროსის ფონდის მისამართია: ქ.თბილისი, 380008, ჭოველიძის ქ. 110ჭ. ტელ.: 25-04-63, 25-05-92.

მასალა მოამზადა და ცნობები დაურთო გურამ თაყნიაშვილმა

## საქმიანი შეხვედრები

2001 წ. 5-6 მაისს, თბილისში ჩატარდა რეგიონალური სემინარი თემაზე „ამერიკაეკასიის საბიბლიოთეკო ასოციაციების განვითარება“.

სემინარის ორგანიზატორები: ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია, ამერბაიჯანის ბიბლიოთეკების განვითარების ასოციაცია, სომხეთის საბიბლიოთეკო ასოციაცია, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია (საქართველო). ორგანიზატორთა შეთანხმებით, საქართველო წარმოდგენილი იყო 10 მონაწილით, სხვადასხვა ბიბლიოთეკებიდან და საბიბლიოთეკო ასოციაციებიდან.

სემინარის ჩატარების საინტერესო ფორმაც (მოხსენება გარკვეულ საკითხზე და შემდგომი დისკუსია ჩვენი და ამერიკელების გამოცდილების გათვალისწინებით) ჩვენი ბიბლიოთეკების მუშაობის ახალი და პროდუქტიული გზების ძიების მაგალითია. ასეთი წარმომადგენლობითი სემინარის ორგანიზება და მასში მონაწილეობა დიდი მოვლენაა ჩვენი და ჩვენი მეზობელი ქვეყნებისათვის. იგი გამოცდილებას შესძენს რეგიონის ბიბლიოთეკარებსა და საინფორმაციო დარგის სპეციალისტებს, ბიძგს მისცემს მათ შემოქმედებით საქმიანობას.

3 დღის განმავლობაში მონაწილეებმა მოისმინეს საინტერესო მოხსენებები და განიხილეს შემდეგი საკითხები: ბიბლიოთეკების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებებში და საბიბლიოთეკო ასოციაციების როლი (ძირითადი მომხსენებელი - ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი, ქ-ნი ნენსი კრანისი); ბიბლიოთეკები: დემოკრატიის ქვაკუთხედი; საბიბლიოთეკო ასოციაციების განვითარება; რეგიონალური ასოციაცია - ორგანიზაცია და მოდელი; რეგიონალური ასოციაცია - წესდების ნიმუში; მთავრობასთან მუშაობა - პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება,

პარლამენტთან და სხვა საკანონმდებლო ორგანოებთან ურთიერთობა; ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის პარტნიორობის პროგრამები და სხვ.

გარდა მოხსენებებისა, ვიზუალურად იყო ნაჩვენები და ახსნილი, როგორი უნდა იყოს სააგიტაციო ფურცელი, კამპანიის გეგმა, მოხსენების ნიმუშები და სხვ. გაიმართა საუბრები სხვადასხვა საჭირობო საკითხებზე, ბევრ შეკითხვაზე იქნა გაცემული პასუხები.

უკანასკნელი წლების (ამერიკაეკასიის) რეგიონალური კონფერენციების შედეგად განვითარებული საქმიანი ურთიერთობების გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა სემინარის მონაწილეთა 30 კაციანი ჯგუფი (10 - 10 მონაწილე თითოეული ქვეყნიდან), რომლებიც ამერიკელ კოლეგებთან ერთად ამ სამი დღის განმავლობაში მუშაობდნენ საბიბლიოთეკო - საინფორმაციო საქმიანობის სხვადასხვა საკითხებზე. ამერიკელი ბიბლიოთეკარები უძღვებოდნენ დისკუსიებს ბიბლიოთეკების როლზე დემოკრატიულ საზოგადოებებში და ადგილობრივ სპეციალისტებთან და მომხსენებლებთან ერთად განიხილავდნენ ბიბლიოთეკის, როგორც ინფორმაციის მომწოდებლის როლს და რეგიონის ასოციაციების წვლილს ბიბლიოთეკების, ამ უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების, ინტერესების დაცვის საქმეში.

სემინარის მნიშვნელოვანი შედეგი არის მონაწილე ასოციაციების ერთობლივი ძალისხმევით ხელშეწყობა და განვითარება კავკასიის რეგიონისათვის ამ კრიტიკულ პერიოდში. სემინარის გამოცდილების გამოყენებით, რეგიონის ბიბლიოთეკები და ასოციაციები განაგრძობენ საქმიანობას საზოგადოებაში ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის როლის ასამაღლებლად, აყალიბებენ ერთობლივი საქმიანობის ქმედით გეგმებს.

სემინარი ნაყოფიერი და სასარგებლო იყო თავისი ფორმითაც და შინაარსითაც; ამერიკელმა კოლეგებმა უშუალოდ გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება, რომელთა გათვალისწინება ახალი იმპულსს მისცემს სამხრეთ კავკასიის საბიბლიოთეკო ასოციაციების საქმიანობას.

### THE BUSINESS MEETING

The Regional Workshop on the subject “The Development of the Transcaucasian Library Association “ was held in Tbilisi on 5-6 May, 2001.

The organizers of this meeting were: Library Associations of America, Azer-





სემინარის მონაწილეებს ესაუბრება ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ნენსი კრანიკი

baijan, Armenia and Georgia. The participants from different libraries and library associations had represented very interesting reports dealing with the librarianship problems, new technologies and new forms of cooperation as well. The American colleagues were talking about their own experience, the importance of visual demonstration and promised assistance in improving the activity of the Transcaucasian Regional Library Association.

ინფორმაცია მოამზადა ირაკლი ღარიბაშვილმა (საქ. საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი)

ყ ი რ ი მ ი 2001

მე-8 საერთაშორისო კონფერენცია: „ყირიმი 2001“

გვესაუბრება კონფერენციის მონაწილე: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის უფროსი გურამ თაყნიაშვილი

ყირიმში საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონფერენცია 1994 წლიდან იმართება. იგი გარდებს საბიბლიოთეკო დაწესებულებებისა და ასოციაციების საერთაშორისო ორგანიზაციის (თგლა) ეგიდით. მისი მთავარი ორგანიზატორია რუსეთის სახელმწიფო სამეცნიერო-გექნიკური ბიბლიოთეკა. თანაორგანიზატორებად ითვლებიან რუსეთისა და უკრაინის კულტურის სამინისტროები, და ამავე ქვეყნების სახელმწიფო და მსხვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკები, ასოციაციები, წიგნის პალატები.



წელს ეს კონფერენცია რიგით მე-8 იყო. იგი ჩაგარდა დევიზით: „ბიბლიოთეკები და ასოციაციები ცვალებად სამყაროში, ახალი გექნოლოგიები და თანამშრომლობის ახალი ფორმები“. კონ-

ყირიმის კონფერენციის მონაწილენი თბილისიდან (მარჯვნიდან) გ. თაყნიაშვილი და ლ. თაქთაქიშვილი რუს ბიბლიოთეკათმცოდნე ი. სტოლიაროვთან საქმიანი შეხვედრის შემდეგ

ფერენციის ადგილი მართლაც რომ შესაფერისია საბიბლიოთეკო დარგის მუშაკთათვის. ყირიმის საკურორტო ქალაქი სუდაკი მართლაც ხელსაყრელი აღმოჩნდა კონფერენციის ნაყოფიერი მუშაობისათვის. ეს პატარა, წყნარი, მღვისპირა ქალაქი 5 დღის განმავლობაში მასპინძლობდა კონფერენციის 1 1200-ზე მეტ მონაწილეს 30 ქვეყნიდან. წინა წლებთან შედარებით, ეს იყო ყველაზე წარმომადგენლობითი კონფერენცია.

კონფერენციაზე მუშაობდა 15-ზე მეტი სექცია, სემინარი, მრგვალი მაგიდა. ჩვენ მოხსენებით მოგვიწია გამოსვლა პირველ სექციაზე, ეს იყო ფრიად წარმომადგენლობითი სექცია, სადაც ძირითადი მოხსენებები შეეხებოდა მსოფლიო საინფორმაციო ინფრასტრუქტურებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში. ჩვენი მოხსენება დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში.<sup>1</sup>

კონფერენციის მსვლელობაში საქმიანი შეხვედრები გვქონდა ცნობილ რუს ბიბლიოთეკათმცოდნეებთან ი. სგოლიაროვთან, ე. სუკიასიანთან და სხვ. პირებთან. ნაყოფიერი იყო კონფერენციის მუშაობაში ჩვენი ბიბლიოთეკის ფონდების დაცვისა და ორგანიზაციის დეპარტამენტის უფროსის ლ. თაქთაქიშვილის მონაწილეობა. მისი მცდელობითა და ბიბლიოთეკის დირექციის ეკონომიკური მხარდაჭერით სუდაკში შევიძინეთ და ჩამოვიტანეთ რუსეთში 1980-2000 წწ. გამოცემული წიგნების ელექტრონული ჩანაწერის ბაზა, მ. დუის ათწილადი კლასიფიკაციის ოთხი ტომი და სხვ. საჭირო და აუცილებელი ლიტერატურა. ვესაუბრეთ რუსეთის წიგნის პალატის წარმომადგენლებს. კონფერენციის მუშაობაში გამოკვეთილი იყო სრულიად ახლებური მიდგომა საბიბლიოთეკო პრობლემებისადმი; ამასთან, შეუნელებელი ყურადღება ექცეოდა გრადიციულის შენარჩუნებას.

კაცმა რომ თქვას, ყველაფერი სიახლე იყო ჩვენთვის, ქართველი სპეციალისტებისათვის, რომლებიც არც თუ ისე განვითარებულები ვართ ასეთ კონფერენციებში მონაწილეობით. ძირითადი მოხსენებებიდან, რომლებმაც სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა, შეიძლება აღინიშნოს: „აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის კონტაქტები რუსეთთან“, „ბიბლიოთეკების როლი ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებაში“, „ინფორმაციის პოლიტიკა უკრაინაში“, „საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკების მისია ცვალებად სამოგადობაში“, „ელექტრონული ბიბლიოთეკები და სამოგადობის აქტიურობა“, „საკლასიფიკაციო პრაქტიკა რუსეთში“, „საბიბლიოთეკო კატალოგები და კატალოგიზაცია ცვალებად სამყაროში“ და სხვ.

კონფერენციის მსვლელობაში ორი დღის განმავლობაში ვესწრებოდი ინვალიდთა საბიბლიოთეკო მომსახურების სექციურ სხდომებს. კიევში დაბრუნებისას შევჩერდით და მოკლედ გავეცანით უკრაინის სახელმწიფო და ვერნადსკის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკების მუშაობას, დავათვალიერეთ ამ უკანასკნელის იშვიათი გამოცემებისა და ხელნაწერთა ფონდები, სადაც ჩვენთვის მეტად საინტერესო მასალებია დაცული.

სუდაკიდან ჩამოგანილი უახლესი პროფესიული მასალები გავატანით თბილისის საბიბლიოთეკო სისტემების მეთოდისტებს, რომლებიც გრადიციულად იკრებებიან ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში.



1. Такниашвили Г. Р. Методическая служба в главных библиотеках Грузии: наследственность, современность, новые подходы // Труды конференции. – М., 2001. – т.1. – с. 79-83.



## უებრო პიროვნება და პროფესიონალი

ქეთევან ფოფხაძე – ყველასათვის საყვარელი, პატივცემული ქალბატონი! ვინც მას იცნობს, ვისაც მასთან სიახლოვის ბედნიერება ჰქონია, ვისაც მასთან ერთად უმუშავია, დაგვეთანხმება, რომ უებრო პიროვნებასთან გვაქვს საქმე. დამახასიათებელია ერთი ფაქტი – როდესაც მისი შედარებით ახალგაზრდა კოლეგები ქალბატონ ქეთევანის საერთო ნაცნობ-მეგობრებს ვხვდებით, განსაკუთრებით ყოფილ სტუდენტებს, საუბრისას ყოველთვის, უპირველეს ყოვლისა, მას მოიკითხავენ, ერთ-ორ თბილ სიტყვას უეჭველად იტყვიან მასზე. მასაც თითქმის ყველა ახსოვს, ბევრი მათგანი სახელით ან გვარითაც კი, რითაც არაერთხელ გაუოცებია შემთხვევით შეხვედრილი დიდი ხნის უნახავი ყოფილი სტუდენტები.

ქეთევან ფოფხაძის პიროვნული თვისებები მისი მშობლების – სპირიდონ ფოფხაძისა და მარიამ ქუთათელაძის ცნობილ ოჯახში ყალიბდებოდა, სადაც მუდამ სუფევდა წიგნიერი გარემო და განათლებისადმი ღვაწლის განწყობილება.

ქალბატონმა ქეთევანმა ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა ამავე ქალაქის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ამავე დროს აქვე იწყებს მუშაობას ბიბლიოთეკის წიგნსაცავის გამგედ. ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში – იგი სამუდამოდ დაუკავშირდა საბიბლიოთეკო საქმეს და სულ მალე კვალიფიციური მუშაკი დადგა.

1950 წელს პროფ. ანგია ბოჭორიშვილის რჩევით, ის ლენინგრადის სალგიკოვ-შიხედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ასპირანტურაში აბარებს გამოცდებს. სამი წლის შემდეგ მან დაასრულა ასპირანტურა წიგნმცოდნეობისა და წიგნის ისტორიის განხრით და საქართველოში დაბრუნდა. იგი მუშაობას იწყებს საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში სწავლულ მდივნად, და სრულიად ახალგაზრდა, 1954

წლიდან შეთავსებით, ხოლო 1957 წლიდან სრულ სამტაგო ერთეულზე სამუშაოდ გადადის თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე; კითხულობს ლექციებს ბიბლიოგრაფიასა და წიგნმცოდნეობა-წიგნის ისტორიაში.

თითქმის 40 წელი იმუშავა ქალბატონმა ქეთევანმა ინსტიტუტში. სისტემატურად ღებულობდა მონაწილეობას ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, მოხსენებებით გამოდიოდა სხვადასხვა სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე. საოცრად მიმზიდველი, ღრმა შინაარსიანი ლექციებით იგი ყოველთვის ხიბლავდა მსმენელებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პროფესიონალიზმი, ერუდიცია, მასალის სრულყოფილად ფლობა და კითხვის მაღალი კულტურა. იგი გამოირჩეოდა როგორც წიგნის კარგი მცოდნე და ბიბლიოფილი. ფართო ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ფლობა სამუშალებას აძლევდა, ზღვა მასალაში ზუსტი ორიენტაცია მოეხდინა, რაშიც ეხმარებოდა მისი ფენომენალური მეხსიერებაც. დოქტორთარ ოსაძემ, მისმა კოლეგამ და დიდი ხნის თანამშრომელმა, ერთი საინტერესო შემთხვევა გაიხსენა: ქალბატონი ქეთევანი ხშირი სტუმარი იყო ბუკინისტური მაღაზიისა. ერთხელ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ბუკინისტურ მაღაზიას რომ ეწვია, იატაკზე წიგნიდან ამოვარდნილი ფურცელი იპოვა. ბუკინისტი საგონებელში ჩავარდა – არ იცოდა, რომელ წიგნს ეკუთვნოდა ეს ფურცელი. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, ქალბატონმა ქეთევანმა ზუსტად რომ დაუსახელა ამ წიგნის ავტორი და სათაური.



თავად მას საკმაოდ მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა აქვს, სადაც ათეულ წლებით



ნაგროვები იშვიათი წიგნებია თავმოყრილი. წიგნების დაცვის პირადმა გამოცდილებამ მისცა საშუალება, შეექმნა პაგარა ნაშრომი – „პირადი ბიბლიოთეკა“, რომელშიც საინტერესო რეკომენდაციებია მოცემული. მისი გულისყური გამახვილებული იყო უმეგესად სტუდენტებისათვის ხელშეწყობაზე პროფესიული ცოდნის მიღებისათვის. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტთან – ალა ოთაროვასთან ერთად რამდენიმე სალექციო კურსი შეექმნა ბიბლიოგრაფიის თეორიაში. მაგრამ მისი მოწოდება მაინც პედაგოგიური მოღვაწეობა იყო. სასწავლო – აღმზრდელი პროცესში ხომ ყველასაგან გამორჩეული სპეციალისტი იყო, რომელსაც მდიდარი თეორიული ცოდნა და გამოცდილება გააჩნდა. მისი ღვაწლი განუმომელია კადრების მომზადების საქმეში. სხვადასხვა დროს იგი იყო ფაკულტეტის დეკანისა და კათედრის გამგის მოადგილე, წიგნის მოყვარულთა პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე, კურსდამთავრებულებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე; მუდამ იყო რომელიმე კურსის დამრიგებელ-ხელმძღვანელი. სწორედ ბედმა გამიღიმა თავის დროს, რომ პირველსავე კურსიდან ბოლომდე ის ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი ყოფილიყო.

განსაკუთრებულია ქალბატონ ქეთევანის ურთიერთობა სტუდენტებთან – პრინციპული, კეთილსინდისიერი, დელობრივად მზრუნველი, ყველას გულშემაკვივარი. მან ჩვენი ისედაც ლამაზი სტუდენტური ცხოვრება კიდევ უფრო გაგვიღამაზა. დღემდე დაუვიწყარია ჩვენთვის მისი ლექციები, მეგობრული ღარიგებები, ღონისძიებები, რომლებიც მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გვიგარდებოდა. მასთან ერთად ფეხით გვაქვს შემოვლილი თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, მოვინახულეთ

საქართველოს ბევრი კუთხე; ინსტიტუტის ისტორიაში პირველად ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტები პრაქტიკაზე მოსკოვისა და ლენინგრადის უდიდეს ბიბლიოთეკებში გაგვზავნეს, რაც მხოლოდ მისი მონდომებით გახდა შესაძლებელი. ასეთივე გულმოდგინებით მუშაობდა იგი შემდეგში ინგილო და აფხაზ სტუდენტებთან, მზრუნველობით ეკიდებოდა მათ, ეხმარებოდა საგნების შესწავლა-ათვისებაში, აგარებდა სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, ჩუქნიდა წიგნებს. უმეგეს მათგანთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა წერილებითა თუ პირადი შეხვედრებით. თუკი მოახერხებდა, ცდილობდა შეეცყო ყოფილი სტუდენტების ამბები.

ყოველივე ეს გამოვლენას პოვებდა იმ დიდ სიყვარულში, რომლითაც გარემოცული იყო ის. რამდენჯერმე ჩაგარებულმა საფაკულტეტო სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სტუდენტთა შორის ყველაზე პოპულარულ და საყვარელ საგნად წიგნის ისტორია იყო აღიარებული, ხოლო ქალბატონი ქეთევანი არაერთხელ იქნა დასახელებული როგორც საუკეთესო პედაგოგი.

ქეთევან ფოფხაძის ღვაწლი სათანადოდ იქნა დაფასებული მთავრობის მიერ – მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება, არაერთხელ მიუღია სამადლობლო სიგელი, მაგრამ ვერც ერთი ჯილდო ვერ შეედრება იმ სიყვარულს, რომელსაც იგი ჩვენგან, მისი ყოფილი სტუდენტებისაგან იმკის.

ქელს ვიხრით ყველანი მის წინაშე დიდი მაღლობითა და სიყვარულით.

**მზია გოგონიძე**  
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და  
ბიბლიოგრაფიის კათედრის უფროსი  
მასწავლებელი

## საინგერესო კრებული

### ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

ბათუმში გამოქვეყნდა „სანი“-მ ფონდ „ღია სამოგადოება-საქართველოს“ დაფინანსებით გამოაქვეყნა ახალგაზრდა სპეციალისტის პეტრე გამბახიძის მიერ შედგენილი კრებული „ბავშვთა უფლებები“. მკითხველისადმი მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენი ქვეყანა, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში, იმთავითვე შეუერთდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებს. საქართველოს კონსტიტუციაში ფართოდ აისახა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მიღებულია და მოქმედებს ახალი საკანონმდებლო აქტები, რომელთა ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა“. ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია ყველა მოქალაქისათვის. სამწუხაროდ, მშობელთა დიდ უმრავლესობას მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ბავშვის უფლებებზე, ხოლო მოზარდები არც კი იცნობენ ამ უფლებებს. სუსტი წარმოდგენა აქვთ მათზე აგრეთვე ბავშვთა სასწავლო – სადამზრდელო საქმის სპეციალისტებსაც, რაც დაუშვებელია. ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შე-

საგყვისი დოკუმენტების ერთ კრებულად გამოცემას. იგი პირველი ნაშრომია ქართულ ენაზე, რომელიც ბავშვთა უფლებებს ეძღვნება.

საქართველოში არ არის მიღებული ერთიანი საკანონმდებლო აქტი ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ ბავშვთა უფლებები სამართლებრივ ვაკუუმშია. საქართველო 1994 წლის 21 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებულ „ბავშვთა უფლებათა კონვენციას“ შეუერთდა და ამით პასუხისმგებლობა იღო თავის ბავშვთა უფლებების დაცვაზე.

1950 წლიდან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 1 იენისი აღინიშნება როგორც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. მისი ძირითადი მიზანია სამოგადოებრივი ამრის მობილიზება ბავშვთა დასაცავად, ბრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიულად აღზრდა-განვითარებისათვის.

დასახელებული წიგნის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა მისი სტრუქტურული ანალიზი. ავტორი პირველყოვლისა გვთავაზობს თავს – „ბავშვთა უფლებები საქართველოს კანონმდებლობაში“, რომელშიც განხილულია შემდეგი პარაგრაფები: ბავშვის უფლებები და საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო დოკუმენტები და ბავშვთა უფლებები, საქართველოს საკანონმდებლო აქტები და ბავშვთა უფლებები, საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და ბავშვთა უფლებები, ბავშვთა უფლებების დასაცავად. მეორე თავი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციიდან ამონაწერს, რომელიც ბავშვთა უფლებებს ეხება. შემდეგ თავში წარმოდგენილია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, ხოლო ბოლო თავი წარმოადგენს „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ სრულ ტექსტს. დასასრულ ავტორი ასახელებს გამოყენებულ ნორმატიულ აქტებს, რასაც თავისებური ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს.

პეტრე გამბახიძის მიერ გამოქვეყნებული კრებული – „ბავშვთა უფლებები“ უეჭველად მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც კარგ სამსახურს გაუწევს სამოგადოებას საკანონმდებლო განათლების მიღებაში.



ბათუმი · 2000

## საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

### •5-8 მაისს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა რეგიონალური სემინარი თემაზე „სამხრეთ კავკასიის საბიბლიოთეკო ასოციაციების მხარდაჭერა და გაძლიერება“. სემინარის ორგანიზატორები იყვნენ: ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია, სომხეთის საბიბლიოთეკო ასოციაცია, ამერბაიჯანში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ასოციაცია და საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია; სემინარის სპონსორები იყვნენ: კორპორაცია კარნეგი, ღია სამოგადოების ინსტიტუტი, ინტერნაციონალური განათლების ამერიკული საბჭო და საქართველოში აშშ საელჩოს სამოგადოებრივ ურთიერთობათა სექტორი.

ოთხი დღის განმავლობაში სემინარის მონაწილეები მსჯელობდნენ ახლადშექმნილი საბიბლიოთეკო ასოციაციების როლისა და დანიშნულების შესახებ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის დელეგაციას ხელმძღვანელობდა მისი პრეზიდენტი ნენსი კრანიკი, რომელმაც სემინარის მონაწილეებს უხვად გაუზიარა საკუთარი გამოცდილება იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს და როგორ იბრძვიან ამერიკის ბიბლიოთეკები დემოკრატიის დასაცავად. ვრცელი ინფორმაცია სემინარის მუშაობის შესახებ იხ. ჟურნალის ამავე ნომერში.

### •18-23 მაისს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორი თანამშრომელი ლ.თაქთაქიშვილი და გ.თაყნიაშვილი მონაწილეობდნენ ყირიმის საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა 3 ტომად, რუსულ ენაზე. პირველ ტომში დაბეჭდილია გ.თაყნიაშვილის ვრცელი სტატია საქართველოში სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის შესახებ. კონფერენციის მონაწილეებმა თბილისში ჩამოიგანეს სპეციალური ლიგერატურის უახლესი გამოცემები რუსულ ენაზე, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია მ.დუის ათწილადი კლასიფიკაციის 21-ე გამოცემა ოთხ ტომად; ასევე ძვირფასი შენაძენია ბიბლიოთეკისათვის რუსული წიგნების ბიბლიო-

გრაფიული ჩანაწერების მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს რუსეთში 1980-2000 წწ. გამოცემული წიგნების ელექტრონულ ჩანაწერებს.

### •23 მაისს

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შეხვედრა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობასა და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგიასთან. გაიმართა საქმიანი საუბარი ასოციაციის მიზნებისა, ამოცანებისა და ახლად დაარსებული პროფესიული ჟურნალის აქტიური მხარდაჭერისა და თანადგომის, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების თანამედროვე პრობლემების შესახებ.

### •1-4 ივნისს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ქართული საბავშვო წიგნის გამოფენა. გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს წიგნის მოყვარულთა კავშირი, ფონდი „ღია სამოგადოება-საქართველო“ და თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური.

### •9 ივნისს

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივით წლის შედგა რიგით მე-2 შეხვედრა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ერთმანეთისათვის გაეცნო ქართველი საბიბლიოთეკო სამოგადოება და უკანასკნელ წლებში თბილისში შექმნილი ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო ცენტრების წარმომადგენლები. ამ შეხვედრას უმასპინძლა მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ო.შოთაშვილი), რომლის თანამშრომელთა მცდელობით შეხვედრა ძალზე საქმიან და ლამაზ გარემოში ჩატარდა. მონაწილეობა მიიღეს თბილისის სხვადასხვა ბიბლიოთეკების, ფრანგული (ალ.დიუმას სახ.) და ინგლისური (ბრიგანეთის საბჭო) კულტურის ცენტრების და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა.



წარმოდგენილი იქნა ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბიბლიოთეკის საქმიანობა და სამომავლო გეგმები. მოხსენებისა და წარმოჩენილი პრობლემების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა. კერძოდ, ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დანიშნულება და ფუნქციები, სხვადასხვა გზის ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა და ფორმები, ურთიერთობა კულტურისა და განათლების სამინისტროებთან და ადგილობრივ განყოფილებებთან (რომელთა წარმომადგენლები, სამწუხაროდ, შეხვედრას არ დაესწრნენ), არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლობაზე და სხვ. ცხადია, ყველა ეს საკითხი ძალზე ღრმა და საფუძვლიან მუშაობას მოითხოვს დაინტერესებული პირის მხრიდან. ამიგომ გადაწყდა, შემდეგ შეხვედრებზე (საბიბლიოთეკო ასოციაცია აპირებს შეხვედრების ორგანიზებას ყოველთვიურად) განსაკუთრებული განხილვის საგნად იქნეს გამოგანილი თითოეული აღნიშნული საკითხი. მიზანშეწონილად ჩაითვალა უახლეს შეხვედრებზე განხილული იყოს შემდეგი საკითხები: „ფასიანი მომსახურება ბიბლიოთეკებში, გამოცდილება, იურიდიული და ეკონომიკური ასპექტები, მკითხველთა მოსაზრება...“, „ერთიანი ინტეგრირებული კომპიუტერული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ქსელის შექმნის გზები“ და სხვ.

**•14-17 ივნისს**

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თაოსნობით (პრეზიდენტი ბ.სულაკაური) ჩაგარდა წიგნის გამოფენა-გაყიდვა. ასეთი გამოფენები ძალზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ყველა წიგნის მოყვარულისა და პროფესიონალისთვის, პირველ რიგში გამომცემლების, გამავრცელებლების, ავტორების, ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოგრაფიული ცენტრებისათვის. გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამოფენებმა უკვე გრადიციული ხასიათი მიიღო. ეს გამოფენა-გაყიდვა განსხვავდებოდა წინანდ-

ლებისაგან თუნდაც იმით, რომ იგი თბილისში ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ჩაგარდა და მრავალი მონაწილე და მნახველი მიიზიდა. ბიბლიოთეკები ყველა ქვეყანაში ბუკლური პროდუქციის ყველაზე დიდი მომხმარებლები არიან, ამიგომ გასაკვირი არ არის, რომ გამოფენა-გაყიდვამ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის, ბიბლიოთეკარებისა და წიგნის პალატის ყურადღება მიიპყრო, რომლებიც დაესწრნენ გამოფენის ფარგლებში ჩაგარებულ ღონისძიებებს. ერთ-ერთი საინტერესო (და ჩვენი აზრით მისაბაძი) ღონისძიება ჩაგარდა გამოფენის ბოლო დღეს (ეს აღბეჭდილია ფოტოებზე): ქართველმა გამომცემლებმა საჩუქრად გადასცეს თბილისის ბიბლიოთეკების ქსელს თავისი უახლესი პროდუქცია. ეს მოვლენა, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, რომელიც არა ერთხელ აღნიშნულა გამომცემლებისა და ბიბლიოთეკების შეხვედრებზე.

**•26-27 ივნისს**

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ბუკლური პროდუქციის გამოფენა. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას გამოფენაზე წარმოდგენილი ჰქონდა ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, როგორც მისი ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი, ასოციაციის წესდება და სხვ. სახის საინფორმაციო-პროგრამული მასალები.

**•27 ივნისს**

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში გაიმართა თბილისის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრაზე ისაუბრეს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მუშაობის მწვავე საკითხებზე. ამავე ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგემ გულნარა სგურუამ შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარა საკუთარი მთაბეჭდილებები თბილისში 5-8 მაისს მოწყობილი სემინარის მუშაობის შესახებ.

## სასიამოვნოდ მოულოდნელი



ნანა ზვედელიანი თავის ნამუშევრებში (ყაისნალი)

მონაწილეობა. გვინდა ზოგი მათგანი დავასახელოთ: ნინო ახვლედიანი, ეკა გადელია, რაგი დეისაძე, თამარ ღოღონაძე, თეა იოსავა, ფერილე კვაჭანტირაძე, მანანა მალრაძე, ხათუნა მუმლაძე, მანანა სამაშვილი, თათია სახვაძე, ნანა ქავთარაძე, ლალი ქვირიბა, ნანა შენგელია, ია ჩხეიძე, ლიმიკო ცაავა, ნანა ზვედელიძე, მზია ხოსიტაშვილი. ძნელია გამოყო რომელიმე მათგანი. თავის ქანრში ყველა საუკეთესო და უბადო იყო.

ჩვენი ჟურნალის გექნიკური პირობები არ იძლევა საშუალებას, სრულად წარმოვადგინოთ მთელი საილუსტრაციო მასალა. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს და გამოვთქვამთ იმედს, შემდეგ ნომრებშიც დავეთმობთ ადგილს ჩვენს ხელოვან თანამშრომლებს.

მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ამ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. წარმოდგენილი იყო ფერწერული, გრაფიკული, ხალხური რეწვისა და გამოყენებით ხელოვნების ნაწარმთა ნიმუშები. გამოფენამ დამთავლირებულთა დიდ ინტერესს და მოწონება დაიმსახურა. შთაბეჭდილებამ მოლოდინს გადააჭარბა. მოყვარულთა ნამუშევრების დიდი ნაწილი იმდენად პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული, მნახველთა გაოცებას იწვევდა. არავინ მოელოდა, თუ ავგოთა ჯგუფი ამდენად წარმომადგენლობითი იქნებოდა, დაახლოებით ოცდაათამდე კაცმა მიიღო მასში



ნინო ზვედელიძე თავის ნახატებთან



2

1

ია ჩხეიძე -

1) წამიერი მოსვენება

2) "ავტობორტრეტი" (შარჟი)



ია ჩხეიძე ანფანსში

DVD & CD

კინო და მუსიკა



### “მუზა” - ‘The Muse’ (1999)

რეჟისორი - ალბერტ ბრუქსი, სცენარისტი - ალბერტ ბრუქსი და მონიკა ჯონსონი, ოპერატორი - თომას ე. აკერმანი, მონტაჟი - პიტერ ტემნერის, მხატვარი - დინა ლიფტონი, კოსტუმები - ბეტსი კოქსის და ემანუელ უნგაროსი\* (\*შარონ სტოუნისთვის), პროდიუსერები - ჰერბ ნანასი და ბარი ბერგი, მუსიკა - ელტონ ჯონის.

დისტრიბუტორი: October Film, 97 წუთი

ჰოლივუდის ცნობილი სცენარისტი სტივენ ფილიფსი (მას ასახიერებს თვით სურათის დამდგმელი ალბერტ ბრუქსი) ჰოლივუდის ერთ-ერთი კინემატოგრაფიული “ჰუმანიტარული” პრიზით ჯილდოვდება. ფილიფსი, რომელმაც 17 ფილმის შექმნაში მიიღო მონაწილეობა, ოდნავ ირონიით აღნიშნავს, რომ ასეთი ჯილდო ერთგვარი კომპენსაციის ნიშნად ეძლევათ იმ ხელოვანთ, რომლებმაც ვერ დაიმსახურეს “ოსკარი”.

სტივენის მაინც სიხარულით ფრთებშესხმულია, მაგრამ, სამწუხაროდ, მოკლე ხანში მას ელოდება სგულია “პარამაუნტის” პროდუსერის ჯომ მარგინის მკაცრი ვერდიქტი - მისმა კალამმა დაკარგა სიმბავილე. ამ მიზეზით მას სგულიდან ანთავისუფლებენ. დალონებული სტივენი მიეშურება თავის იმპრესარიო ჰელთან, მაგრამ ეს უკანასკნელიც მას უმოწყალოდ გააკრიტიკებს და შესთავაზებს შევუბნალებაში წასვლას. ძნელია ამის მოსმენა კაცისთვის, რომელსაც მეუღლე და ორი ბავშვი ყავს სარჩენი.

სასოწარკვეთილი სტივენი მეუღლის - ლორას (ენდი მაკდიუელი) რჩევით დახმარებისთვის მიემართება თავის მეგობარ სცენარისტს - ჯეკ უორიკთან (ჯეფ ბრიჯესი), რომელიც იმჟამად კინომატოგრაფიულ ოლიმპზეა. ის გადაწყვეტს დახმაროს მეგობარს და შეახვედროს იგი თავის მუზას. ღიახ, მუზას - ანუ ახალგაზრდა ქერა ქალბატონს (შერონ სტოუნი), რომელიც შემოქმედებითად მუხტავს მასთან ურთიერთობაში მყოფ პიროვნებებს. მეგობრის წინააღმდეგობით გაოცებული სტივენი ოდნავი სკეპტიციზმით უყურებს ამ ამბავს.

ასე იწყებს ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი ალბერტ ბრუქსი თავის ფილმს. ფილმს, რომელიც საესეა იუმორით, ირონიითა და საგირით, ფილმს, სადაც წარმოდგენილია მუზის წარმოშობის ერთ-ერთი გაშარებული ვარიანტი, ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოქცეული ქრონიკული ავადმყოფის როლით, თუმცა

არც მისი მკურნალი ექიმების ქცევათა ექსცენტიულობას მოკლებული.

მუზასთან კონსულტაციებზე დადიან სახელგანთქმული ჯეიმს კამერონი, მარგინ სკორსეზე და რობ რაინერი. ისიც იფერებს ამ როლს და მოითხოვს უძვირფასეს საჩუქრებს “ტიფანისაგან” და ძვირადღირებულ აპარტამენტებს სასტუმროში “წელიწადის ოთხი დრო”. მაგრამ სტივენის განჯვა ამით არ მთავრდება - მას აძევენ როგორც სარეცელიდან, ასევე სახლიდანაც. ამის შემდეგ იგი გამყიდველად აღმოჩნდება იმ საკონდიტროში, რომელიც ლორამ მუზის შთაგონებით შეიძინა.

ერთი მხრივ, ბრუქსის ეს მეექვსე რეჟისორული ნამუშევარი მისი ჩვეული ხელწერის (იუმორისა და სოციალური ირონიის შეზავება) გაგრძელებაა. მეორე მხრივ, იგი მოგვაგონებს რობერტ ოლგმენის სტილს, კერძოდ სურათებით “მოთამაშე/The Player”(1992) და “მაღალი მოდა/Prêt-à-Porter”(1994). უდავოა პარალელი შავ კომედიასთან “მოთამაშე”, სადაც გიმ რობინსი თამაშობს სცენარისტ გრიფინ მილს, რომლის კარიერას და, აქედან გამომდინარე, ეკონომიურ და სოციალურ პრესტიჟს კრახი ემუქრება. მიუხედავად ვარსკვლავთა სიმრავლისა, რომელთა ნაწილი ფილმში თავის თავს ასახიერებს, ბრუქსის ფილმი ვერ წვდება ოლგმენის მწვერვალებს, რომლის მანერა მეგად დახვეწილი და ინდივიდუალურია. ამაში ვრწმუნდებით თუნდაც ოლგმენის ბოლო ნამუშევრით “ექიმი თი და ქალები/Dr. T and the Women”(2000), სადაც ოლგმენი კრიტიკისა და ირონიის ქარცეცხლში აგარებს დღევანდელ მაღალ ელიტარულ სამოგადოებას.

ამრიგად, ბრუქსის ფილმი დღევანდელი დასაფლური, ეგრეთ წოდებული უზრუნვეყოფილი სამოგადოების ცხოვრების ბევრ საჭირობოროტო საკითხს აღძრავს. რეჟისორი მიზეზს ხელავს არა რაიმე სოციალური მოდელის გაუმართაობაში, არამედ თვით ადამიანის ბუნებაში.

# ჯოაკინო როსინი “თურქი იგალიაში” (Gioachino Rossini ‘Il Turco in Italia’)



მიკელე პერტუსი (სელიმი), ჩეჩილია ბარტოლი (დონა ფიორილა), ალესანდრო კორბელი (დონ ჯერონიო), რამონ ვარგას (დონ ნარცისო), რობერტო დე კანდია (პოეტი), ლაურა პოლვერელი (ზაიდა), ფრანჩესკო პიკოლი (ალბაზარი); მილანის ლა სკალას გუნდი და ორკესტრი, დირიჟორი - რიკარდო შაიი

DECCA 289 458 924-2 (2 კომპაქტდისკი), 141 წუთი

შესრულება: 9 ჩანაწერის ხარისხი: 9.5

გასული საუკუნის მეორე ნახევრისთვის (ანუ აწ უკვე წუნდაუდებელი მუსიკალური ჩანაწერების ეპოქაში) როსინის ოპერას “თურქი იგალიაში” მეტი ყურადღება და აღიარება ხვდა წილად, ვიდრე კომპოზიტორის მოღვაწეობის დროს. როსინისთვის ეს იყო მეორე კომიკური ოპერა “იგალიელი ქალი ალკირში”-ს შემდეგ. *Dramma buffo*-ს ლიბრეტისტი გახლდათ სახელგანთქმული ფელიჩე რომანი, თუმცა ოპერის სიუჟეტი არ იყო ორიგინალური, ლიბრეტისტმა გამოიყენა კატერინო მამოლას არსებული გეჟსტი, რომლის საფუძველზე აქამდე რამდენიმე ოპერა იყო შექმნილი.

ოპერის პრემიერა შედგა მილანში 1814 წლის 14 აგვისტოს და მას პუბლიკა საკმაოდ ცივად შეხვდა. მაშინდელი პრესა სარკასტულად აღნიშნავდა, რომ “იგალიელ ქალს ალკირში” სჭირდებოდა შესაფერისი მეუღლე, ამიგომაც კომპოზიტორი და ლიბრეტისტი გახდნენ მის “თურქმე იგალიაში” შეუღლების მოწმენი. ერთი წლით ადრე მილანელი მსმენელი გაეცნო და გულთბილად მიიღო როსინის წინა კომიკური ოპერა, ამიგომაც მედიმედ ორი პრემიერა და თან აღმოსავლურ სიუჟეტზე დაწერილი, მეგისმეგი აღმოჩნდა მსმენელი საზოგადოებისათვის. თუმცა ეს ნაწარმოებები პრინციპულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან - თუ პირველ ოპერაში მოქმედების ღერძი არის იმბაულა, რომელიც ოსგაგურად ატყუებს მასზე გონებადაკარგულ მუსკაფას და იყენებს მას გყვეობაში მყოფი საგრფოს განსათავისუფლებლად; სელიმი ოპერიდან “თურქი იგალიაში” ფიორილას პარტნიორობა და ეს გმირები არა მარტო ურთიერთშორის არიან დაპირისპირებულნი, არამედ ჯერონიოსა (ფიორილას ქმარი) და ბოშა ქალ ზაიდასთანაც, რომლებიც თავის მხრივ სრულყოფილ პერსონაჟებად

წარმოგვიდგებიან მნებობის კომედიაში. ბოლო ოპერა არა მარტო დრამატურგიულად, არამედ მუსიკალურადაც წარმოადგენს კომპოზიტორის განუმეორებელ ხელწერას: მუსიკამ ნახა აქ შემდგომი განვითარება, ანსამბლების რიცხვმა მკვეთრად მოიმატა და ღუეგები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს - კომედიად და დრამად. სავარაუდოა, რომ როსინი მუსკად ამ ნაწარმოებში მოექცა მოცარტის ოპერის - “ასე იქცევა ყველა ქალი/*Così fan tutte...*” გავლენის ქვეშ.

დისკოგრაფიაში პირველი და უდავოდ შთამბეჭდავი კვალი დაგოვა სახელგანთქმულმა მარია კალასმა, რომელმაც ეს ოპერა 1954 წელს სტუდიაში ჩაიწერა მილანის ლა სკალას გუნდთან და ორკესტრთან ერთად (EMI 556313 2). ოთხმოციანი წლებიდან ინტერესის მეორე გალდა წამოვიდა: ჯერ იყო და მონსერატ კაბალემ 1981 წელს ლონდონში ფირმა სონისთვის (Sony S2K37859) გაკეთებულ ოპერის სრულ ჩანაწერში მთავარი პარტია შეასრულა. შემდეგ დირიჟორ ნევილ მერინერმა 1991 წელს ასევე ლონდონში განახორციელა ჩაწერა (Philips 434 128-2). ბოლო ჩანაწერი, რომელიც ჩვენი გარჩევის მთავარი საგანია, 1997 წელს რიკარდო შაიის მიერ არის გაკეთებული. ჩანაწერს ორი თავისებურება ახასიათებს: ცნობილი იგალიელი მეცო-სოპრანო ჩეჩილია ბარტოლი ასრულებს ფიორილას პარტიას, რომელიც სოპრანოს რეგისტრისათვის არის დაწერილი (რაც მისთვის პირველი შემთხვევა არ არის - მანამდე მის 1993 წლის სოლო ალბომში “მოცარტის პორტრეტები” ცნობილი სოპრანოს პარტიებიდან შევიდა არიები), რიკარდო შაიისათვის კი ეს უკვე ამ ოპერის მეორე სრული ჩანაწერია. ყველა ბოლოდროინდელ ვერსიაში კუპიურები გახსნილია, ამიგომ იგი გაცილებით დიდია, ვიდრე კალასის ვერსია.



მეცნიერებათა ქრონიკა

რევიუნი მკვლევართათვის

არსებული ჩანაწერი, როგორც მოსალოდნელი იყო, ეფუძნება პარტიკულის ბოლო, 1988 წლის კრიტიკულ გამოცემას, რომელიც ქ.პეზაროში არსებული როსინის ფონდის მიერ არის განხორციელებული. აგრეთვე რიკარდო შაიმი პირველად გააერთიანა კომპოზიტორის მიერ დაწერილი ორივე ვერსია (1814 წლის მილანის და 1815 წლის რომის), რაც ჯერონიოსა და ალბაზარის მეორე აქტის არიების დამატებით და ფიორილას საფინალო სცენის ალგურნაგიული დაბოლოებით გამოიხატა. სამწუხაროდ, ამოვარდა ნარცისის მოკლე არია "Un Vano semblante" პირველი აქტიდან, რაც მერინერის ვერსიაში ფიგურირებს.

რა უნდა ითქვას მომღერლებზე? ეს ჩანაწერი ნათლად ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ იტალიური ოპერის შესრულება უკეთ გამოსდით თვით იტალიელებს. კერძოდ, **კორბელიმ**, **პერგუსიმ** და **დე კანდიამ** ჩინებულად გაართვეს თავი პარტიების ვოკალურ სიმბოლოებს. ბანების მიერ წარმოქმნილ სახეებს კომიკური შარმიც არ დაკლებია, უბრალო ფაქტი არაა, რომ **ალესანდრო კორბელი** ბოლო ათწლეულს მიჩნეულია როსინის უბადლო შემსრულებლად. თუ სახელმობხეჭილი **რამონ ვარგასისაგან** ჩვენ არ ველოდებოდით სუსტ შესრულებას, ახალბედა **ფრანჩესკო პიკოლო** დამაჯერებლად გამოიყურება თავის "დამატებულ" არიაში. ცალკე უნდა ითქვას **ჩეჩილია ბარტოლიმე**

- მის მიერ შექმნილი სახე უდავოდ კიდევ ერთი ნათელი ფურცელია მის შემოქმედებაში. მაგრამ სოპრანოს პარტიაში ბარტოლის ხმა რაღაც უჩვეულოდ დამრგვალებულია და ოდნავ ჩრდილშია, და რომ არა ხმის რეჟისორების მიერ შექმნილი ბრწყინვალე დეკალიზაცია, შესაძლოა მისი ხმა ჩავარდნილი აღმოჩენილიყო. მაგრამ ერთი რამ უდავოა: მიუხედავად **კაბალიეს** და **სუმი იოს** (სახელგანთქმული კორეელი სოპრანო მთავარ პარტიაშია **მერინერთან**) სილადისა და შთამბეჭდავი კოლორატურისა, **ბარტოლიმე** ამ როლში ისინი მაინც დაჩრდილა.

**შაიის** ლა სკალას გამოცდილი დასი მის ჩვეულ მანერაში - ხმებთან მიმართებაში ოდნავი დისტანციით მიჰყავს. თან ისე, რომ ფორტეზე ორკესტრი არ გრუხუნებს და არ ფარავს მათ ხმებს. მაგრამ, მის ადრეულ ჩანაწერებთან განსხვავებით (როსინის "ვილჰელმ გელი" 1978-79წ. ფირმა DECCA-ზე და იგივე "თურქი იტალიაში" Sony-ზე) მან შესთავაზა ყველაზე სწრაფი ტემპი. ამიგომაც მისი ამ ოპერის მეტად გაფართოებული ვერსია 12 წუთზე ნაკლებია, ვიდრე **მერინერის** ვერსია!

ვერდიქტის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მოსაზრებით, ეს ყველაზე კარგი შესრულებაა ამ ოპერის ციფრულ ჩანაწერებში და უდავოდ საინტერესო და აუცილებელი შენაძენია როსინის თაყვანისმცემლებისათვის.

გვერდის ავტორი და რედაქტორი -  
დავით გიგინეიშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული ანდაზვორდის პასუხები:

- თარაზულად:
- 1) მასპინძელი; 5) თოკი; 6) მზე; 7) ბავშვი;
  - 9) დარდი; 12) დანა; 13) ვაშლი; 15) კისერი;
  - 19) კვიცი; 20) გამგონე; 22) მწყერი; 25) ცდა;
  - 26) კატა; 27) ბახალა; 29) ბრმა;
  - 31) ცილინამება; 32) ძირი.

- შვეულად:
- 1) მტერი; 2) სინათლე; 3) ნაბადი; 4) ენა;
  - 5) თოვლი; 7) ბრიყვი; 8) ვარდი; 10) აწლი;
  - 11) სიზმარი; 14) შვილი; 15) კბენა;
  - 16) სამართალი; 17) სიტყვა; 18) მგელი;
  - 21) გული; 22) მეზობელი; 23) ჩაღბანა;
  - 24) სიმწარე; 25) ცხე; 26) კაცი; 27) ბოძი;
  - 28) ხერხი; 30) მადლი.

## სასიაზოვნო შეხვედრა

როგორც ცნობილია, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია მთელ საქართველოში ბიბლიოთეკებს უფასოდ ურიგებს თავის გამოცემებს. ამ მიზნით ვიმყოფებოდი აჭარაში და გურიაში. ჟურნალებით დაგვირთული ჩვენი მანქანა ბათუმიდან გამოსვლის შემდეგ ჩაქვის შესასვლელთან საგზაო პოლიციელმა რაღაც გაუბედავად შეაჩერა. ჩვენმა მძღოლმა გაკვირვებით ჰკითხა, (როგორც შემდეგ გამოირკვა ენვერ თურმანიძეს) ხომ არაფერი დავაშავეთ? პოლიციელმა მორცხვად გაგვიღიმა და გვითხრა:

– არა, არაფერი დავაშავებიათ... ბოლიში, მაგრამ მაინტერესებს, რა ჟურნალებია ეს ასეთი ღამაზები?

ჩვენ ვუთხარით, რაც იყო და, ჩვენდა გასაკვირვებლად, ძალიან დაინტერესდა. ისიც გვითხრა, რომ თავად ქელიდან არის და უყვარს კითხვა. რომ გაიგო ჩემი ვინაობა, გაუხარდა; პარმენ ლორიას წიგნები დამისახელა რამდენიმე, რაც წაუკითხავს. ამ დროს მისი კოლეგა ნუგზარ მქავანაძეც შემოვიერთდა. სიხარულით გაგვეცნო. ვაგყოფი, ვერ ბედავდნენ ეთხოვათ ჟურნალი, მაგრამ ჩვენ ისედაც მივუხვდით, და მათაც ვარგუნეთ ორი ეგზემპლარი. უნდა გენახათ, როგორ გაიხარეს. სამახსოვროდ სურათიც გადავიღეთ. მშვიდობით მგზავრობა გვისურვეს და ჩვენც გამოვემგზავრეთ. დავპირდი, შემდეგ ნომერსაც გაუგზავნიდი.



### უნებლიე შეჩერება ჩაქვთან.


საგზაო პოლიციელები: ენვერ თურმანიძე და ნუგზარ მქავანაძე რედაქციის წარმომადგენლებთან – ინგა ფილაურსა და ალექსანდრე ლორიასთან ერთად.

ალექსანდრე ლორია

## კონწარას გამოფენა

არ გვეგონოთ, ეს ფოტოები რომელიმე დარბეული ობიექტის ხელს გამოსახავს, რომელიც საკმაოდაა ჩვენი. ასეთი გახლავთ ლანჩხუთის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფასადის ნაწილი. შიგნით რა ხდება, არ ვიცით. მგონი არც გამგებობამ იცის. ჩვენ გვეგონია, გამგებობას შიგნიდან კი არა, გარედანაც არ უნახავს აქაურობა. ეს რომ ვთქვი, ერთმა კონწარელმა ჩამიქირქილა: „რომც ენახა, ვითომ რა იქნებოდაო?“

ეჰ, ლანჩხუთი და ასეთი ბიბლიოთეკა?!




საინტერესოა, რას ამბობენ მკითხველები, თუ ჰყავს, საერთოდ ბიბლიოთეკას ისინი.

რედაქტორს ვთხოვ, შემდეგ ნომერში იქნებ გაგვაცნოს ლანჩხუთის ბიბლიოთეკების ისტორია. საინტერესოა, რა ხდებოდა ადრე და რა ხდება დღეს.

კონწარა





თარაზულად:

3) ..., რომ თავზე დაგბზუის, კოლოც მაშინ გიგბუნსო; 8) ... ას ტყუილს იტყვის, ერთს - მართალსაო;  
 9) ... ოჯახის ბოქაულიაო; 11) უიმედოს ... - მაჯალო და პანტა; 13) ... თუ არ გიჭამია, პირი რად გეწვისო; 15) ორი კურდღლის ... ერთსაც ვერ დაიჭერსო; 16) ... - ბარსა, თოხი - ტარსა; 17) ვირი გარბოდა ცხენთანაო, - მეც ... შენთანაო; 19) ... თუ არ დაიბადა დიდი როგორ იქნებაო; 21) ერთგული ... გაორგულებულა და ორგული ... არ გაერთგულებულა; 22) სამწყსოს, უწყემსოდ მავალსა, შესჭამს ... და მელია; 23) ... რომ კალთაზე მოგედვას, ის კალთა მოიჭერიო; 25) კაცს ... სიბერემდე არ მოსჭარბდებაო; 26) ... აღმართსა ხნავსო; 27) საცა ... მაღალია, ის იმისი მაყარია; 31) ... ან სულ აპატიებს, ან სულ არ მიუტევებსო; 33) ... პატარაა, მაგრამ მეომრის ისარზე მეტს აყეთებსო;

შვეულად:

1) ... კარგი ექიმი იყოს, თავის თავს უწამლებდაო; 2) ავი ... არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევს;  
 3) ა ... და ა მოედანი; 4) ... ისე არ დაშრება, გუბის ოდენა კიდევ არ დარჩესო; 5) ... თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდება; 6) ენას ... არ დაუდებო; 7) ... თუ თავიდან არ დაიწყე, ბოლორა მოსახმარისი იქნებაო; 10) შინაურ მღვდელს ... არა აქვსო; 12) ფეხი იქამდე გასჭიმე, სადამდეც ... გაგწვდებო; 14) ზოგ კაცსა კვირაში შეიდი ... აქვსო; 16) ... ბრმაა - დამჯერებელს შეხვდებისო;  
 18) ... საქმეს წახედენს, ფათერაყს დააბრალებსო; 19) წუნია ... უქმრობითა კვდებოდაო; 20) ხე ფესვითა დგას, ... - მოყვრითაო; 24) ... კაცს როგორც გააჩენს, ისე დაარჩენსო; 28) ალიას ... ფლავიაო; 29) სულელს ... უხაროდა, ჭკვიანს კი სწყინდაო; 30) ... მიიმეა, მაგრამ ტვირთს კი ამსუბუქებსო;  
 32) ვის გაუგონია ... უტირალი და ჭირი უცინარი;

კროსვორდი შეადგინა  
 თამარჯო ნემსიწვერიტემ

mp 11 2-

